

ვერ მოვრჩი ამ მშვენიერი სურათის ახწერას! ახლა კი სწორეთ დროა, რომ ბოლო მოულო მაგის ახწერას. მკითხველო, (მკითხველი ხარ თუ სხვა ვინმე, ჩემთვის სულერთია) ახლა ხომ წარმოიდგინე სრული სურათი ჩვენის ოთახისა? თუ ვერ წარმოგიდგინია, ხელმეორეთ გაგიმეორებ მოკლეთ. ზალა ძალიან გრძელია, ნახევარზე შეგირდების პარტიებია³⁸. პარტიების წინ კაფედრა, კაფედრის გვერდზე სანერი ფიცარი და კედლებზე რამდენიმე სურათი-ხატი. ისიც ხომ იცი, რალა თქმა გინდა, რომ კათედრაზე ზის ჩვენი მასწავლებელი (მშვენიერი სურათი) და პარტიებზე შეგირდები, რომლებიც კატებსავით შესცქერიან მშვენიერ სურათს და ცქვიტი მელიასებ ყურს უგდებენ, ეგებ ცოტაოდენი სიტყვა არ გაგვისხლტესო. ახლა ხომ წარმოიდგინე სურათი ჩვენი ოთახისა? პატარა მოიცა და ცარიელი წარმოიდგინა არ იქნება, ბოზბაში არა გნებავსთ მოგართვათ? აი ახლავე. „ვინ მოგვიყვანა ჩვენ ამ მდიდრულათ მორთულ პალატაში, ამ მშვენიერ სურათთან, და რა ნება გვაქვს ჩვენ აქ ასე სუფთათ ყოფნისა, როდესაც სალოლაშენის გმირი, ქვეყნის მუშაკი, ქვეყნის ცოდვის მზიდველი, პაპანაქებაში კევრზე უდგია და ჭირის ოფლი ჩამოსდის? რისთვის შეგვიყარა ჩვენ აქ თავი და რას ვაკეთებთ? ო, ვისაც გაგება აქვს, თუ რა არის ქვეყნის მეხანიზმი და როგორ ტრიალებს უკანასკნელი მისი ჩალხი, მასთან პირველ კითხვებზე მიგება აღარ მომინდება; მაგრამ ბოლო კითხვაზე, „თუ რას ვაკეთებთ ჩვენ დღეს ე.ი. ეხლაო რაც უნდა გენიოსი იყოს, ვერც ვერაფერს მომიგებს, და ვერც ვერაფერს გაიგებს, თუ ან მე არ უთხარი, თუ ან იმან არ დაგვიგდო ყური. მაგრამ ის საიდან დაგვიგდებს ყურს, ისევ მე გეტყვით. დამიგდე ყური, ქვეყნის გენიოსო. აი რას გეტყვი: „მშვენიერი სურათი ზის კათედრაზე. წინ უდემს ლათინური ქრისტომატია; ანგრეთვე თვითოულ შეგირდს გვაქვს გაშლილი ქრისტომატია და ვთარგმნით ოვიდის მეტამორფოზს „არიონს.“ არიონი იყო ისეთი მგალობელი, რომ იმის მღერის დროს თხა და მგელი, ძალლი და კურდღელი, მტრედი და ქორი ერთათ რომ ყოფილიყვნენ, არა ფერს არ უზამდნო. ო, აკი გითხარ, პატიოსანო გენიოსო, რომ ბოლო კითხვაზე შენ ვერ მომიგებ მეთქი! მგონი შენც და შენისთანაებსაც აზრათაც ვერ მოუვიდეთ, რომ ამისთანა პალატაში, ამისთანა სურათ-პროფესსორთან ვსწავლობდეთ

უაზრო არიონს. მგონი კიდევაც ფიქრობდი, სარამ მე გეტყო-
დი, რომ ამ ბედნიერ ოთახში ამ ბედნიერ ხალხთან მსოფლიო
კითხვები (всемирные вопросы) იხსნებოდნენ. მოტყუებულხარ!
მშვიდობით. აგე, აგე ზარის ნკარა-ნკური ისმის!!!!!!!

ჟე ვუ პრი მანჟე დე კოტლეტ,
მონ შერერ, ჟეორჟ!

12 ენკენისთვე.

ვის არ მოგეხსენებათ, რომ როცა ბლომათ სადმე შეგირდები
შეიყრებიან და თუ იქ უმფროსი არ დაიგულეს, ისე აირევიან, რო-
გორც დომხალი. ერთი მაგნაირი დომხალივით არევა სწორეთ ამ
სალამოს მოხდა ჩვენ სემენარიაში. ლამის ათის საათის ნახევარზე
შევიყარენით ჩვეულებისამებრ შეგირდები სალოცავად ზალაში.
ამ დღეს დეჟურნათ იყო ვასკა (ზედამხედველი), მაგრამ განა არ
იცოცხლე, გიგა, თუ რა გავლენა აქვს მაგას ჩვენზე. ეგ თუნდა ყოფილა,
თუნდა არა. მე როცა ვამბობ, უმფროსი არა გვყავდა მეთქი, შენ
ან რეკტორი კი არ გეგონოს, ან სხვა ვინმე; - არა. მარტო მარ-
ტო კუშინსკი. ოჰ, ხომ გაიგე, კუშინსკი არ იყო ლოცვაზე. მაგის
არყოფლობის გამო, ავირიეთ რალა! ზოგი გვერზე დადგა, ზოგი
უკულმა, ზოგმა ხმა მალლა გრიაზნოის დაუნყო ლანძღვა: „ის
მამა ძალღი ბევრს უროკებს გვაძლევსო“ და სხვა მაგისტანაები.

ხომ იცი, ნაშეგირდალი ხარ, მერმე ისიც სემენარიელი! კუ-
შინსკის აღარ მოუცადეთ, დავინყეთ მეუფეოს გალობა და რო-
გორ, იცი, როგორც თიბათვის სალამოს ხიდისთავის ჭაობებში
ბაყაყები ჯღავიან ხოლმე, სწორედ ისე! რა მხიარული სახით
გალობდნენ! გეგონებოდა, რომ ამათ თავის დღეში არც დარდი
უნახავთ და არც არა ფერი სხვა მწუხარებაო. ერთის სიტყვით,
რალა გავაჭიანურო, თავისუფლათ გრძნობდა თავის თავს ყოვე-
ლი სემენარიელი! ამ მხიარულებაში გავათავეთ „მეუფეოს“ გა-
ლობა და დავინყეთ კითხვა. ამ დროს კარებთან მდგომმა დაიძახა:
კუშინსკი! კუშინსკიო, მაგას ღვთის წყალობა საჩქაროთ მონახეს
თავ-თავიანთი ალაგი! თავში კეტ დაკრულებივით დარბოდნენ
და ეძებდნენ ერთი-ერთმანეთს: ბიჭო, აქეთ დადექი, რომ რიგი
გაკეთდესო. მაგრამ, რა დროს რიგი იყო, რეტიანებივით დარბო-

დნენ და ერთი - ერთმანეთს აწყდებოდნენ, რითიც არეულობას უფრო უმატებდნენ. აი, გიგაჯან, საცინელი დომხალივით არევა, სწორეთ ამ დროს იყო. საწყალი სემენარიელები! კუშინსკიმ თავისი ძველებური ზარი კიდევ არ დასცა! არა, ას სამოცი კაცი ერთ ზალაში უთავბოლოდ არეულ დარეული ისე როგორ გინდათ დადგეთ რიდათ, სარამ კუშინსკი მოვა, რომ ვერ შეგიტყოთ! შემოვიდა კუშინსკი!?! ყველამ პირები დაადეს და დაუწყეს ცქერა. საწყალმა ლოცვების მკითხველმაც თავი გაანება კითხვას და ჩვენ დომხალივით არეულობას გადმოხედა. შენ რაღას შეკრთი, შე კეთილო კაცო; თუ ჩვენ რიადზე არ ვიდექით, შენ ხომ ლოცვებს კითხულობდი? მაგრამ!!!.....

ჯერ სარამ ის ლაპარაკს დაიწყებდა, შეგირდებში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ანგელოზებს გვანდნენ, როცა ისინი მონინებით და დას-დასობით მიდიან ღმერთთან ან მისაცემათ თავიანთ მოქმედებებში. როცა პირი გააღო სალაპარაკოდ, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზების ბზუილს გავიგონებდით. გიგა, თუ გახსოვს, მეხუთე კლასიდან, რომ ჭუჭუტანა არი პირველ კლასში, იქიდან, რომ გეცქირა, სწორეთ გაგეცინებოდა ჯოჯოხეთის თავსმჯდომარესებ. აი რა სთქვა კუშინსკიმ: (მე და ჩემმა ღმერთმა პატიოსნურათ ილაპარაკა, მაგრამ გასავალი თუ აღარა აქვს.) „ყმანვილებო, ესა არა ფერი პატიოსნებაა, რომ ჯერ ნახევარი სემენარიის შეგირდები არ შეგროვილან და თქვენ კი ლოცულობთ. ამითი თქვენ იმათ ლოცვას აკლებთ. (დიდი რამეც მომხდარა) ან ვინ გითხრათ, რომ ლოცვა დაიწყეთო? ეს ყვირილი რაღა არის, სალოცავათ მოსულხართ თუ საჩხუბრათ, კაცმა არ იცის. თუ გულიდათ არ გინდათ ლოცვა, ჭკვიანათ მაინც დადეგით, რომ გეტყობოდეთ, ვითომც გულიდათ ლოცულობთ?“ პატიოსნური სიტყვებია, არა?

მაგრამ ეგ კი ეგ არა ფერია, უფალო კუშინსკი, რომ გვარიგებ, რაც გულში არ გიდევთო, ის სახით აჩვენეთო? როგორც ჩინოვნიკს, ეგ სიტყვების თქმა ეპატიება, მაგრამ როგორც პედაგოგს ბოლოს ნათქვამი სიტყვები არ ეპატიება. ქართველებმა რომ იციან: „დაამტუტაო“ სწორეთ ისე მოუვიდა ჩვენს პედაგოგს. ლოცვა რომ გავათავეთ, შეგირდებმა ჩვეულებისამებრ დაიწყეს გამოსვლა ზალიდან. ჯერ მეექვსელები, მერე კი მეხუთელები,

მეოთხელებიც რომ გავიდნენ, კუშინსკიმ შეგვაჩერა და გადმოგვცა: „თქვენ იცოდეთ, რომ მე ვარ მტერი, ეს ოხერი, რო ველარ გადავთარგმნე! რუსულათ «врагъ своеволия». აიგიდი, ქოთნაძე, ჩვენთანა გაქვს დიდი გული განა! არც ჩვენა ვართ ისეთი ჯაბნები, რომ ეგ შენი «врагъ своеволия» სემენარიის კედლებს ვერ გავაცილოთ! როცა კუშინსკი ამას ამბობდა, მე ჩემ გულში გავიფიქრე: შენ შვილო, «врагъ своеволия»კი არა ხარ, უფრო უმეტესი – «врагъ всякой свободы и самостоятельности». ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ზალიდან გამოვედი და შეგირდებში გავვერიე, საიდანაც ისმოდა შემდეგი ხმა: „ბიჭო, რა ნაირათ წამოგვეპარა ეგ სახე ძალღი, რომ ვერ შეუტყეთ!“.

ვუასი დე ბონნ დესსერტ,
მუსიუ ჟორჟ!

18 ენკენისთვე, ¼ 8 სალამოსი.

18 ენკენისთვე. ხუთშაფათი.

საცინელი ის არის, რომ კიდევ კუშინსკიზე მინდა ლაპარაკი: მაგრამ ან საცინელი რა არის, ან გასაკვირელი, რომ მე იმ კაცზე ვილაპარაკო, რომლის ხელშიც ჩემი აწყმო არის და მომავალზედაც კაი გავლენა ექნება. სწორეთ, რომ შესანიშნავი და საკვირველი კაცია! ვინ არ იცით გაზეთებიდან, თუ რა კაცია კუშინსკი, რაებს სწერენ მაგაზედ თითქმის მთელი ხუთი წლის განმავლობაში. ეგ თავის მამაძაღლობით ისევ სემენარიაში პარპაშობს. ეხლა მაინც რაღა მამაგონებდა, თუ ეგ აქ დამხვდებოდა მის შემდეგ, რაც ჩვენგან დაუვიწყარმა მიხაილ ბაიევიამ მიბერტყა. მაგრამ რო გეუბნებით, თუ კუშინსკი გასაკვირველი კაცია მეთქი, უნდა დაიჯეროთ!?

19 ენკენისთვეს,

საზაფხულო თეატრში ქართულმა დრამმატიულმა ტრუპამ წარმოადგინა „შემოსავლიანი ადგილი“³⁹. მე ვთხოვე კუშინსკის ბილეთი თეატრში წასასვლელად. ზალაში რომ შევედი, ის მეორე

ოთახიდან გამოვარდა სულელივით ხელებ გაშლილი და მოგვაგული. (მე მაშინათვე ვიგრძნე, რომ ეს კეთილს არა ფერს მომასწავებს მეთქი). ბილეთი ვთხოვე. „არ შეიძლება, არ შეიძლებაო“ შემომამქცია ზურგი და შევარდა მეორე ოთახში. მოდი და ამისთანა კაცს ღმერთო სთხოვე? არა ვინც გინდათ ჰკითხეთ უ. კუმინსკის არა საბუთით არა მითხომს. შარშან პირველში რომ ვიყავი, მითხრა პირველელებს არ ვითხოვო. ახლა რომ მეორეში ვარ? წრეულ თავის სიტყვა გასტეხა. ეგ კიდევ არა ფერი. მე როცა უარი მითხრა, იმ დღეს სამი შეგირდი დაითხოვა თეატრში. ამაზე არ ვიცი სწორეთ, რა ვსთქვა. ან თუ რა საბუთის ძალით არ დამითხოვა. თუ ის უწერია კუმინსკის უსტავში, რომ სამი შეგირდი გაუშვას ხოლმე თეატრში და ყიფშიძე უკან დააყენოს ხოლმე, ამაზე ვერა ფერს ვიტყვი. ეგ სწორეთ მას უნდა ეწეროს თავის „ნიგნი ცხოვრებაში“. უ.კუმინსკი, მე გთხოვ რომ ეგ მოკაკული კუდი გაისწორო, კლიაუზნიკობას თავი დაანებო, ყიფშიძე თეატრში გაუშვა ხოლმე, თორემ ხომ იცი, ჯებრიანი ვარ!...

მსიო ჟორჟ, პუი-ჟე ეუ ოფრი იუნ ტასს დე კაფე? (**puis-je vous offrir une tasse de café?**).

21 ენკენისთვე, პარასკები.

ცხელ-ცხელი ამბები.

სერგია მესხი⁴⁰ რომ ვყოფილიყა და გაზეთი დროება მქონოდა, მაშინ ამ ამბებს დღიურის განყოფილებაში მოვაქცევდი. მაგრამ რადგანაც არც მესხი ვარ და არც დროება მაქვს, მითი დავჯერდები რაც მაქვს. ოთხი მეორე კლასის შეგირდი შეკრეფილიყვნენ ერთათ და მემკვიდრეობითურთ გარდაცემაზე (Наследственная передача) ლაპარაკობდნენ. ერთი იმათგანი ამბობდა: „რაც მამაში სიცუდე თუ სიკარგე მოიპოვება, ის ცოტათ თუ ბევრათ შვილსაც გაჰყვება. ეს განა მარტო მამაზე და შვილზე კი არ ითქმის, არამედ მთელ ხალხზედაც. რაც მიმართულება, ნაკლულევანება და ხასიათიც ხალხს აქვს, იმას უთუოთ შთამომავლობას გარდასცემს. რაც ხასიათები მამა-პაპასა აქვს, კი უთოთ გამოჰყვებიან და მერმე ახალი შთამომავლობის წასვლა

თვითონ იმათზე ჰკიდია. მაგრამ პირველ ხანობით ვერც ისე განათლდებიან და გამოიცვლებიან, რომ ცოტაოდენი მაინც არა ეტყობოდეთ ძველი შთამომავლობისა.“

მეორემ იმათგანმა უთხრა: „ეგ თავის დღეში არ შეიძლება. ეგ იმასა ჰგამ, ვითომც რომ მე კოჭლი ვიყო, ჩემი შვილიც კოჭლი უნდა გამოვიდეს.“

მესამემ დაუმატა: „აი დამტკიცება იმისი, რომ „მემკვიდრეობითი გარდაცემა“ არ შეიძლება: მამა ჩემმა ლათინური არ იცოდა, მაგრამ აგერ მე კი ვიცი. პაპა ჩემი ასეთი ღონიერი ყოფილა, რომ გეჯები⁴¹ გადაუბრუნებია, მაგრამ მე კი მოკაკული წელიც ვერ გამისწორებია“. (ეგ შეგირდი წელში ძალიან მოხრილია). ამისთანა პასუხმა პირველი მოლაპარაკე ძრიენ გააცეცხლა. ვერ წარმოედგინა საცოდავს, თუ ამისთანა შეგირდები იქნებოდნენ თბილისად სასულიერო სემენარიის მეორე კლასში. ამ საგანს თავი დაანებეს და მეორეზედ გადავიდნენ.

დაიწყო ისევ პირველმა: „თავის დღეში ერთი პირი, რაც უნდა სწავლული იყვეს, ისე ვერ განმარტოვდება იმ საზოგადოებიდან, რომელშიაც ცხოვრობს, რომ ცოტათ თუ ბევრათ იმისი (საზოგადოების) ავკარგიანობა არ ეტყობოდეს.“ მაგაზე პასუხი მეოთხემ მისცა: „ეგ შეუძლებელია, აი თუნდ ავილოთ ლოცი. ისა სცხოვრობდა გარყვნილ სანახების ხალხში, მაგრამ ძრიენ წმინდა იყო. “ბრავო სემენარიელო! შენ კიდევაც ხერხიანათ ვერ მოქცეულხარ!“

მე რომ შენ ალაგას ვყოფილიყავ, ლოცს აბრამსაც ზედ დაუმატებდი და გამოვიდოდა იცი რა? ფლავი!!!

გუშინნინ მატემატიკის გაკვეთილზე, რადგანაც მასწავლებელი არ გვყავდა, კუშინსკი შემოვიდა. აქ მხოლოდ მომყამს ერთი ალაგი იმის ლაპარაკიდგან: „მე და თქვენთინ, სთქვა კუშინსკიმ, რომ მოენდოთ სასწავლებლების პროგრამის შედგენა, ვგონებ ჩვენ პირველი პროგრამის მუხლში მოვაქცევდით სამშობლო ენას და მატემატიკურ საგნებს.“ გეუბნებით, რომ უ.კუშინსკი სხვა გვარის კაცი არის მეთქი! რასაც დღეს ლანძლამს, იმას ხვალ აქებს, რასაც (ე.ი. ქართულ წიგნებს) ამ სამი წლის წინათ ენერგიულათ სდევნიდა, თავის სასწავლებლიდან, დღეს შეგირდებს ეუბნება, რომ ამ საგანს პირველ პროგრამას მუხლში მოვაქცევდით.

ჩვენ – მეორე კლასში ერთი ორიოდე ცრუ პოეტები გახლანან. მე ვკითხე, რატომ ლექსებს არა სწერთ მეთქი? იმათ მითხრეს, დრო არა გვაქვსო. მაშ სპენსერს⁴² ასი მილიონი წელიწადი მოუნდებოდა თავის თხზულებების დასაწერათ?!!!.....

28 ენკენისთვე. პარასკევი

დღეს ერთი მეხუთე კლასელი ამეკვიატა და დამინყო ლაპარაკი. მე თუმცა დიდი გულგრილობა ვაჩვენე ლაპარაკში, მაგრამ ის ძალიან ენერგიულათ ლაპარაკობდა. გაუგონია სანყალს, რომ ახალგაზდობის წიგნების გამჭრიახავი შერჩევა უნდაო, მომჩერებია, მამაცხონებული და თავს აღარ მანებებს. ახლა საქმე იმაშია, რომ მე მაგას არ ვიცნობდი ხეირიანათ, და ასე მალე კიდევ გამიცნო (მე იმასთან ლაპარაკი არსად მქონია) წიგნებსაც მირჩევს საკითხავათ! მაგრამ ვის არ გაუგონიან, თუ რა ძალა აქვს პროტექციას! მაგან იცის, რომ ამ სამი ოთხი წლის წინათ სემენარიაში იყო ერთი ყიფშიძე, სახელათ გიგა, გოდორია და სხვა. ეს ყოფილა თურმე ერთი რალაც დაუყენებელი, ცელქი ბავშვი, კუშინსკის არ ემორჩილებოდა თურმე; კითხულობდა იმისთანა წიგნებს, რისასაც მართებლობა ნებას არ აძლევდა. კუშინსკის ურიგებია. მაგრამ იმას ყურშიც არ შეეშვა. ამისთანა ურჩობისათვის ის დაითხოვეს სემენარიიდან. მკითხველო, ისიც იქონიე სახეში, რომ ამ სამ ოთხი წლის წინათ სემენარიიდან გამორიცხვა შეგირდებისათვინ – დიდი სახელი იყო! იმათ განათლებული საზოგადოება დიდის პატივით იღებდა. „ოჰ, ოჰ, გამოგდებული სემენარიელი, ეჰ, ეტყობა მაგასაც ვერ უჭამია კუშინსკისთან ერთ ჯამში.“ ამას რომ იტყოდა „განათლებული საზოგადოება“ მაშინ გამოგდებულს მხარზედ ხელს გადასდებდა და შუბლზე აკოცებდა. აბა რასაკვირველია „გამოგდებულსაც“ ამისთანა სიტყვები „განათლებული საზოგადოებისგან“ მაშინ ღმერთს ერჩინებოდა და რომელი არ მოინდომებდა სემენარიიდან გამოგდებას. მე მგონი ი გოდორიაც, რაც იმას კუშინსკი გამოგდებისაგან ჩენას წაუკითხავდა, სიხარულით ფეხზე ვეღარ იდგა. იმასაც შეხვდებოდა თავის იაგოსა და ეტყოდა: „შენ კი გენაცვალე, ბიჭო, შენა! იმისთვინ გზდიდი და გპატრონობდი, რომ

ენგრე გექნა, თორემ სხვასაებ რომ სემენარიაში დარჩენილიყა, ხომ ზედაც აღარ შემოგხედამდით. ხომ გაიგე ახლა, თუ ამდენი რისთვის ვიყბედე, ჩემო მკითხველო. მისთვის, რომ გიჩვენო, თუ განათლებული საზოგადოება ამისთანა პატივს სცემდა გამოგდებულს.“

შენ წარმოიდგინე, თუ რა სახელი ექნებოდათ იმათ თვითონ სემენარიაში გაუნათლებელ შეგირდებში! იმ ჩემს მეხუთელსაც კარგათ ეხსომება ის გოდორია. როცა მე გამოუცხადე, რომ მე იმ გოდორიას ძმა ვარ მეთქი, რომელიც ერთხელ კუშინსკიმ აბარგა თქვენის სემენარიიდან, საწყალი სიხარულით კინალამ გაგიჟდა. შენ იმის ძმა ხარო, იმისიო! ჰო, იმის ძმა ვარ მეთქი. როცა მე კუშინსკის ბილეთი ვთხოვე თეატრში წასასვლელათ, ეს რომ შეიტყო, კინალამ ცას დაენია. შენ ნამდვილათ იმისი გამოჭრილი კოპიო იქნებიო. ახლა ხომ გაიგე მიზეზი, მკითხველო, თუ ასე მალე როგორ გამიცნო და წიგნებზე რათ მელაპარაკება. დაუბრუნდეთ ჩვენს მუსაიფს.

ეხლა შენ რა წიგნები გაქვს საკითხავი, მითხრა მეხუთელმა. მე მიუგე რომ პოლიტიკური ეკონომია ბლანკისა⁴³, მეორე ტომი ბაირონისა და ისტორია სტასულევიჩისა⁴⁴. მე უნდა გითხრა შენ, გააგრძელა იმან, რომ წიგნებს როცა კითხულობ ოროლთაობით ნუ კი წაიკითხამ, არამედ ეცადე სულ ერთათ წაიკითხო ხოლმე, თორემ თავში სვიაზი არ დაგრჩებაო – „კაცო, ანგრე რო ვიკითხო, გაკვეთილები როდის დავისწავლო. მანგრე კითხვა მაშინ შეიძლება, როცა თავისუფალი იქნები. სტასულევიჩის კითხვა კი ანგრე უნდა, როგორც შენ მეუბნები – სტასულევიჩი მაშინ უნდა იკითხო, როცა მასწავლებელი გაკვეთილს მოგცემთ.

მკითხველო, ყური კარგათ გვიგდე, თორემ ბევრ ალაგას ვერ გაიგებ. თავის დღეში მაგის კითხვაში წინ არ უნდა გაიქცეო. მეო, განაგრძელა იმან, მეორეში რომ ვიყავიო, ლოკკი⁴⁵ და ლეიბნიცი⁴⁶ წავიკითხეო (ეს მწერლები, როგორც მახსოვნან ერთი ბროშურკიდან, დეკარტის⁴⁷ კვალის კაცნი უნდა იყვნენ. აბა რასაკვირველია, სემენარიელი თუ წაიკითხამს წიგნს ყველას ან პლატონს, ან სოკრატეს, ან კიდევ იორნანდს, თორემ სხვა წიგნებს სად იშოვნის, სემენარიის ბიბლიოთეკაში არ არიან ახალნი, და გარეთ გზა არ იცის) და ეხლა კი სტასულევიჩს და კოსტომარო-

ვის ისტორიებს ვკითხულობო. მე რომ მაშინ პატრონი და ხელმძღვანალი მყოლოდაო, ასე აღარ მომივიდოდაო. ლოკკისა და ლეიბნიცის კითხვა ხელახლად მომდის. (ხედამთ, როგორ შორსა სწევს! თავის თავი ჩემ ხელმძღვანელათაც გახადა და პატრონათაც!). ამ კაცმა ახსენა, კოსტომაროვს ვკითხულობ. რა ვქნა ეს კოსტომაროვი⁴⁸ ვინ უნდა იყვეს? ეს ის პროფესორი კოსტომაროვი ხომ არ არის, რომელიც არის მოხსენებული დობროლიუბოვის კრიტიკულ სტატიებში, თავის გამოკვლევით სლავიანებზე, ვარიაგებზე და სხვაზე. სწორეთ ის უნდა იყვეს. მოისმინეთ რას ამბობს ეს ყმანვილი ამ კოსტომაროვზე. მე როცა ვკითხულობდი კოსტომაროვსო просто я увлекся—ო, ხედამთ, სემენარიაშიც ყოფილან იმისთანა გვამნი, რომელსაც შეუძლიანთ გატაცება რითიმე? უბრალო სემენარიელო, გატაცება შეიძლება და განა კოსტომაროვის გამოკვლევით, საცა ცარიელ სახელების მეტი არა არის რა!!

მე უნდა გაგიტყდეთ, თუ რა გულგრილათ ვეკიდებოდი ამ ჩემს ნომინალურ მეგობარს, რომელიც ღრიჭინს და ბუქვას არ იშლიდა. სტასულევიჩი ხომ გაქვსო, დაიწყო ხელმეორეთ, მერმე კოსტომაროვიც რომ წაიკითხო კარგი იქნებაო. ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ სთქვა: აი კიდევ ეს ორი წიგნი, ქრისტომატიკა ოვსიანიკოვისა⁴⁹

და გრიგორიევის ქრისტომატიებით გათავდა ჩემი დიდი პედაგოგის დარიგება! მე ბოლოს შემრცხვა ჩემი სიჩუმისა და უთხარი შლოსსერის⁵⁰ ისტორიაც კარგია მეთქი. ოჰ, ეგეც კარგიაო, შენ არ გიკითხამსო, მკითხა გახარებულმა. პირველი ტომი წავიკითხე მეთქი (უნდა გავტყდე ყმანვილებო, პირველათა ვსტყუოდი კაცთან ასე წუნკათ. მე შლოსსერის ისტორია თვალითაც არ მინახამს, მაგრამ სადღა კი გამიგონია. სულ განაბულმა ყური დაგვიგდე, აბა დახეთ ამბავი აი!).

ქართველებზე არა ფერი ეწერაო, მკითხა მეხუთელმა. არა ფერი მეთქი. რა ვქნა მაშ როგორი მსოფლიო ისტორია არისო? იქ სხვა და სხვა გამოკვლევა არის-მეთქი. და რო იცოდეთ, დამიჯერა!...

აბა ჩემო დღიურის მკითხველო, მედა ჩემმა ღმერთმა შეგამკო ამბებით. მეორე კლასიდან დაწყობილი ვიდრე მეექვსემდე,

ამბებს არ მოგაკლებ, მაგრამ პირველელეებზე კი ბევრს ვერა ფერს. მე რომ ან ბერნეს⁵¹ ენა მქონდეს, ან სიტყვიერება, ან ჭკუის გამჭრიახობა მისი, მაშინ ამ უბრალო ამბებს ისეთ ნაირათ აგინერდით, რომ ტუჩები გელოკნათ. თუ არა და ეხლა რა გიყოთ. გამიჭიანურებია დიღმი მინდვრისიებ, გათავება ველარ მომიხერხებია. ეხლა მგონი ჩემზე კიდევაც ამბობთ: ე მამაცხონებული, ერთხელ წავაქეზეთ, რომ დღიური აქვსო, მოჰყოლია და გათავებას აღარ აპირობსო. ღმერთმა მშვიდობა მოგანიჭოთ მაგისტანა ხასიათისთვის.

„ღვინობისთვე“

7 კვირა. ღვინობისთვე.

რადაც უბედურება გვეწვია ჩვენ საწყალ სემენარიელებზე. დილით საღამომდინ რომ იარო სემენარიის კედლებს შუა ერთს მხიარულ სახეს ვერ შეხვდები. თითქოს პირობა შეეკრათ, რომ ყველამ თავ ჩაქინდრულნი იარონ. აბა სწორეთ ამ სიტყვებზე მომაგონდა ჩვენი ფრანციცულის მასწავლებელი, რომელიც ამ დღეებში თავს დაგვანებებს. ისე არ გაივლის გაკვეთილი, რომ ერთი ათჯერ არ გაგვაცინოს. ერთხელ გვითხრა, რომ სიცილი და მხიარულობა ჯანმრთელობის მიზეზია და გასაკვირველიც არის, თუ როგორ ეს ბებერი კაცი ჩვენთან ასე მხიარულათ ატარებს დროს? ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ სემენარიელები დაღონებულნი იყვნენ, როცა ერთათერთი მასწავლებელი, რომელსაც შეეძლო ჩვენი გამხიარულება, ისიც კი მიდის! შარშან ბაიევი დაითხოვეს, ეხლა ეგეც მიდის, აქ ვილა რჩება? ერთი ყალიბის ხალხი! რომელსაც სარტყელი რომ მოუჭირო, ღმუილსაც არ ამოუშვებენ, ისეც შეეწყობიან.

ამ ჟამათ ჩვენი სემენარია წარმოადგენს იმ დროს ქუთაისის ღიმნაზიისას⁵², როდესაც მას ასწერს გრ. წერეთელი თავის მოთხრობაში “ჩვენი ცხოვრების ყვაილი”. ჩვენი ეგ ორი მასწავლებლები იმ მასწავლებლების კოპიოები იყვნენ, რომელიც სტავროპოლიდან გადმოიყვანეს ქუთაისის ღიმნაზიაში, და რომელსაც გული უკვდებოდა, რომ ხედამდა გამოყეყეჩე-

ბულ ყმანვილებს ზეპირობისგან. მაგას თავი დავანებოთა და დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს. მკითხველო, საქმე იმაშია, თუ სემენარიელები ასე დაღონებულები რათა ვართ? კაცი რომ თავის სისუსტესა გრძნობს, და წამალი ვერ გამოუძებნია, მაშინ იმან ჯავრისაგან არ იცის რა ქნას. მე რომ საჩინენიეს დავწერ ხოლმე, ან უცქერი სუსტ ალაგებს, გძელ პერიოდებს, უაზრო ფრაზებს, ზოგად და ზოგად ძლივს გადაბმულებს, სწორეთ რომ დავფიქრდები, გამეცინება ხოლმე, რატომ ვერ გავასწორებთქო. მე რატომ კარგი რუსული ენით არ ვწერ? იმიტომ რომ რუსული ენა არ ვიცი კარგა. ჩვენ სასულიერო ზავედენიებში ძვირათ თუ ვინმემ იცის კარგათ რუსული. სწავლის დაწყებიდგან აქამდისინ ვცდილობდი, რომ რუსული კარგათ მესწავლა, მაგრამ ვერას გავხდი. ცარიელი წიგნების კითხვიდგან ანგრე მალე ვერ შეისწავლი! ეს რაც ეხლა მოგახსენეთ მარტო ჩემზე არ ითქმის. ერთს მეოთხელ შეგირდს, რომელიც სწავლით ყველას სჯობია თავის კლასში, უთხარი ეს ჩემი შენიშვნა ჩემს თავზევე. იმან სიცილით მითხრა, ეგ სწორეთ მეც მომივა ხოლმეო. ისე სოჩინენიე არ დამინწერიო, რომ მევე მომწონებოდესო. ამასაც თავი დავანებოთ, რაც მე შემეხება და ჩემს მეოთხელს, სრულებითაც არ შეადგენს საზოგადო მიზეზს სემენარიელების დაღონებისას.

რა ვართ, რა შედეგი ანუ რა მომავალი მოგველის ჩვენ, სემენარიელებს! ღვდლებათ უნდა წავიდეთ. მაგრამ რა არის ღვდელი ჩვენში? ის, რომელსაც არ შეუძლიან არავითარი სარგებლობა მოუტანოს ხალხს. მას არ შეუძლიან ხალხის შვილებს შკოლებში ასწავლოს, არ შეუძლიან მალ მალ ეკლესიებში ქადაგებები სთქვას, იმიტომ რომ იმისმა ქადაგებამ ცენზორის კალმის ქვეშ, ე.ი. ეგზარხის ხელში უნდა გაიაროს, თავის თავის ქადაგებაში ერთს იმისთანა აზრს ვერ იტყვის, რაც სამღრთო წერილს არ ეკუთვნის. თქვენც დამეთანხმებით, რომ ამისთანა ქადაგების თქმას სჯობიან სულ არა ფერი სთქვა. მაშ, რის მანქანები არიან ღვდლები? მისი, რომ ქელებებში და ალაპებში თავს ისინი დასხდნენ. თქვენ დამიჯერებთ, რომ ბევრს სემენარიელს არ შეუძლიანთ ამისთანა ხელობაში შესვლა! მთელი შარშანდელი კურსიდან არც ერთი ღვდლათ არ წასულა! სამღვდლო შკოლიდან ღვდლებათ არ მიდიან, რაც გინდათ თქვით. მაგრამ ეს ძრიენ გასაკვირველია!..

რახან ღვდლათ ვერ წავალთ, მაშ სად უნდა წავიდეთ? მეტყვიით – სოფლის მასწავლებლებათაო. მართალია აქამდისინ სემენარიელებს ნება ქონდათ სოფლის მასწავლებლებათ წასვლისა, მაგრამ ახლა ეგეც აღარა გვაქვს. ახლათ გამოსულმა მასწავლებლებმა ახალი გახსნილი სამასწავლებლო შკოლებიდან, ჩამოგვართვეს ეს ნებები. რახან მასწავლებლებათაც არ შეიძლება წასვლა, მაშ, მეტყვიით, სამოქალაქო სამსახურში შედითო. მანდაც არ შეიძლება. აი რატომ: სამოქალაქო სამსახურში რომ შეხვიდე, რაც ექვსის წლის განმავლობაში დახარჯულა 7800, სულ ერთიანათ მოგთხოვენ. ხომ ხედამთ, სიტყვიით შესვლა კი შეიძლება და საქმით კი არა. რომელ სემენარიელს შეუძლიან მაგ ფულის შეტანა? პაპა ჩემი ფილიპეს ადგომას თუ მოუცდი, თორემ მე თავის დღეში მაგ ფულს ვერ მოვაქუჩებ! ხომ ხედამთ, მკითხველო, რა მდგომარეობაში ვართ სემენარიელები. განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება რომ სემენარიელი ძრიენ ღრმათ არ დაფიქრდეს თავის ბედზე და მომავალზე. მაგრამ მომითმინეთ, კიდევ გვაქვს გზა – ეს გზაა მაღალი სასწავლებლები, უნივერსიტეტები და აკადემიები! მაგრამ აქვე უნდა შევნიშნო, რომ მაღალ სასწავლებლებში წასვლა ყველას არ შეუძლიან, ისინი არიან ძრიენ ცოტასთვინ. ვსთქვათ გამოვიდა ერთი ორი ბედნიერი, რომლებსაც შეუძლიანთ წასვლა მაგ აკადემიაში. იქ რა უნდა გავაკეთოთ? ხელმეორეთ ბიბლიის ზეპირობა უნდა დაიწყონ! ჰო, არც ეს არის შესაძლო ჩემისთანა გვამისთვინ და სხვისა კი არ ვიცი?!. ახლა მე მეტყვიით, თუ აკადემიები არ მოგწონთ ღვთის მეტყველური საგნების გამოო, რატომ უნივერსიტეტებში არ წახვალთო? უნივერსიტეტები! მათი კარებები დიდი ხანია სემენარიელებისთვინ დაიკეტა! ეს ქნა ღვთისაგან დაწყევლილმა “მეორე აპრილმა!” ნეტა ვის მოუტანა ამ უბედურმა აპრილმა სარგებლობა? ჩვენ, თქვენ, მკითხველო, თუ თვითონ მსროლელს, ან ხელმწიფეს, ან კიდევ სახელმწიფეს? მე მგონი არავის. ზარალის მეტი არა მოუტანია რა და ეგ ზარალი პირველათ ჩვენ სანყალმა სემენარიელებმა ვიგრძინეთ!! ესეც უნდა ვსთქვა, რომ უნივერსიტეტები სრულებით არ არიან ჩვენთვის მიუდგომელნი. ჩვენ შეგვიძლიან ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლა. სახემწიფოს თითქოს მიზნად ის აქვსო, რომ ფილოლოგებათ მარტო ღვდლის შვილები იყვნენ! აბა ერთი წარმოიდგინეთ,

ფილოლოგათ ვინ წავა? ეს მეექვსე წელიწადია, რაც ძველ ენებს ვსწავლობ, და ვინ იცის, რამდენი დრო დავკარგე მაგათზე, რა-ნაირათ ტვინი შემიწყის და გამჭრიახობა დამიჩლუნგეს.

მე მგონი ამის კითხვაზე ღიმილით სთქვათ, ჩემო გვრიტო, ხომ არ გნებავს დედარო ტვინი შერყეულ და ჭკუა დაჩლუნგებულ ბოკლს, სპენსერს, მილს და სხვებსა, რომელთაც უსწავლიათ კლასიკურ სკოლებშიო. მე კი ჩემსას ვიტყვი და შენ რაც გინდოდეს, ისა სთქვი ამ სტრიქონების კითხვის დროს. როგორც გინდოდეს ისე ახსენი, თუ ჩვენ, სემენარიელებს რათა გვწყენს კლასიკური ენები და ინგლისელებს რათა რაცხს. ახლა ხომ სრულებით დაგიხატეთ სურათი სემენარიის ცხოვრებისა. რასაკვირველია ამის შემდეგ შენც იტყვი, რომ საწყალ სემენარიელებს რაღა დარჩენია სასიხარულო”.

ამ დღეებში “თბილისის მოამბეში” იყო დაბეჭდილი შემდეგი: „წელს ვორონეჟის სასულიერო სემინარია დაასრულა 40 შეგირდმა. ექვსმა ამათგანმა იშოვნა ალაგი პსალომშიკათ და მწერლებათაო, დანარჩომნი კი უალაგოთ დაეხეტებიანო. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ეს ორმოცივე შეგირდი იზრდებოდა სახელმწიფო ხარჯზე, და მაშასადამე, სამოქალაქო სამსახურში ვერ შევლენ, სანამ არ წარმოუდგენენ იმ სუმმას, რაც იმათ აღზრდაზეა დახარჯული”. ამ ამბავს, რომ წაიკითხამდენ სემენარიელები, აბა მითხარით არ დაფიქრდებოდნენ თავის მომავალზე! მგონი მეტსაც იზამდენ. კიდევ მომწყინდა ამდენი ლაპარაკი სემენარიელების სევდაზე და დაფიქრებაზე. ეხლა სემენარიის შუა ბალკონზე რომ ამოხვიდეთ ნახამთ აქა-იქ კუთხეში მიყუჟულ შეგირდებს. აბა გამოიცან, თუ ისინი რაზედ ლაპარაკობენ! თუ შენ ვერ გამოიცნობ, მე დაგეხმარები – ისინი ლაპარაკობენ კლასიკურ ღიმნაზიაზე⁵³. ეხლა კლას. ღიმნაზია ჩვენში დიდი რამ არის! თან ბრაზები მოგვდის თუ რა დავაშავეთ ჩვენ საწყლებმა, რომ ჩვენ ყველა ფერი ჩამოგვართვეს და კლასიკურ ღიმნაზიას მიანიჭეს და თან კი გულში ვნატრულობთ, ახ, ნეტა ერთი კი იქა მქნა და სხვა არა მინდა რაო! სწორეთ ერთ იმისთანა ჯგუფს, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენ წარმოვადგენდით ნუხელის შვიდს საათზე ბალკონზე, რომელზედაც კარგათ ბნელოდა. სულ ვიყავით სამნი. ერთმა სთქვა, ეი შენ, ლაზარე, იყიდე ღიმნაზიის პროგრამმა?

ვიყიდე ეს ოხერი, მაგრამ 1878 წლისა იყო. თუ არ გამოდგეს, და ფულიც ტყუილათ დავკარგეთ. რას ამბობ, შე - ოხერო, განა ანგრე მალ-მალე ცვლიან, რომ შარშანდელი წრეულ აღარ ვარგოდეს, მიუგო სანდრომ.

ახლა სთქვა ლაზარემ, ყმანვილებო, საქმე იმაშია, რომ მეექვსე კლასისთვის რას მოგვთხოვენ პირველიდან დაწყებული მეექვსემდინო, თუ მარტო მეხუთისას?

სან. დიახ კარგი შენმა მზემ, თუ მარტო მეხუთისას მოგვთხოვენ, მაგრამ როგორც გავიგონე სუყველა კლასებისას თხოულობენ.

სან. შენი მტერი რომ ცუდი საქმე მოგვივა, თუ სუყველა კლასებისა მოგვთხოვენ. რა ჯანდაბა გაიმეორებს ფილოსოფიას, კატეხიზის, სლავიანურ ღრამატიკას და არითმეტიკას?

სან., მაგას კიდენ გადაუცვდეს, როგორც იქნება გავიმეორებთ, მაგრამ ამ ალგებრას და გეომეტრიას რა უყოთ, მაგათ ღიმნაზიაში ძრიენ თხოულობენ.

ლაზ. მაგას ის უნდა უყოთ, რო ახალი მასწავლებელი რო მოგვივა, უნდა ვთხოვოთ რომ დაგვაშუროს, ეგებ გავათაოთ.

სან. ყველა ანგრე, მაგრამ ფრანციცულს რაღას უშვრებით?

სან. მაგ საგანს ისეთ ყურადღებას არ აქცევენ ღიმნაზიაში, როგორც სხვებს. პროგრამმას ბოლოსაც არის ამაზე ნათქვამი.

ლაზ. ჰე, ძრიენ კარგად რომ მოყვებით, მარტო ის დაგვიშლის, რომ ჩვენ სემენარიელები ვართ!

სან. რას ამბობ, კაცო, განა იმისთანა მხეცია მარკოვი⁵⁴, რომ არ მიგვიღოს მარტო იმისთვის, რომ ჩვენ სემენარიელები ვართ? თავის დღეში არ შეიძლება მას იმისთვის მიელო იმოდენა განათლება, თუ კი მაგისთანა უბედურ გარჩევას მოახდენს, ეგ არ შეიძლება, რომ სემენარიელებს ნუნკი ახალგაზრდები დაიმჯობინოს? საშ, შენმა გაზდამ თუ მარტო მაგის გულისთვის დაგვინუნეს, მაშინ წყალში გადავარდნა ლა გვრჩება. ლაზარე, ძმაო, ვისაც იქ შესვლა უნდა პროტექცია უნდა ყვანდეს. მე კარგათ ვიცნობ იქაურ სიტყვიერების მასწავლებელს, ბერძენია და მიშუამდგომლებს ღიმნაზიის გამგეობაში.

სან. ოხ, ღმერთო, იქამდისინ მიგვიყვანე ეს უცოდველნი გვამნი, რომ ამ სამგლე სიტყვებს გვაბარებინებ? ოხ, დაწყველილო სემენარია. ხომ ხედამ რა შვილებსაც ზდი, ჩვენ ნუ კი გგონივართ რომ

უბრალონი ვიყვნეთ, არა ჩვენ ვართ მეორე კლასის წარმომადგენლები! ჩვენვე ვიქნებით მეექვსე კლასის წარმომადგენლები და იქიდან ცხოვრებაში გავალთ მოუმზადებელნი, გზა-კვალ დაკარგულნი. ეს, სამსონ, ამას ბერძენი ყავს, წავიდეთ ჩვენ თათრების და სომხების უბანში. ეგება იქ ვიშოვნოთ ვინმე.

ამ ნაირ ბაას ყოველ სემენარიის კუთხეში გაიგონებთ. ზემო ბალკონზე, შუა ბალკონზე, ქვემოთ, ერთის სიტყვით, საცა გინდა.. ზემო მოყვანილს სცენას ჩემი ძმა რომ წაიკითხამს, მემგონი შემომითვალოს, არა გრცხვენთან ბიჭო, მაგ სცენაში მონაწილეობას როგორ იღებდიო! შენ ის არა ხარ, რომელიც ამ ორი წლის წინათ მეუბნებოდი ნეტავი სემენარიაში არ შევსულიყავო, გარეთ დავრჩომილიყა და ცხოვრებასთან მებრძოლაო. კარგი ბრძოლაა – თავ-გზის დაკარგვა, მალე ჩანოლილხარ ლაფშიო! ვინ იცის, ეგება კიდევ ჩავნექ, მაგრამ ჩემის აზრით ხბოს რომ ლაფლაფოში ფეხი ჩაუვარდება, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ის იქიდან სრულებით ვეღარ ამოვა. სწორეთ ახლა კი კმარა ამდენი ბლაჯნა. ეს სულ შენი ბრალია, აი, გიგო, მეუბნები სწერე ხოლმე, რაც გულში გიდევს და გიჯერებ! მე წერა არ მეზარება და შენ კითხვა კითხვა განაგდოს.

ღვინობისთვე 17. ოთხშაფათი

დღეს მეორე გაკვეთილის შემდეგ ისეთი სიცილი და ხარხარი ასტყდა, სიხარულისაგან ჩვენს ოთახში, რომ მისი აღწერა არც კი შემიძლიან! რაარის ამ სიხარულის მიზეზი, რომელმაც ელექტრული ძალასაებ ყველას ტანში გაურბინა? ერთმა შეგირდმა კიდევაც კინალამ თავი მოიმსხვრია ამ სიხარულისაგან. ეს საცოდავი პარტაზე იჯდა და დაღვრემილი დასცქეროდა ბედკრულ ოდისსეის⁵⁵. ეს ოხერი, კაცს გაეცინება, რომ დაფიქრდეს. ზოგი ლამის ჭკუაზე შესცდეს ამ ოდისსეის სიმშვენიერისაგან და შეგირდებს კი ჭირივით გვეჯავრება! ოჰ, ეს საცოდავი სწორეთ პარტაზე იჯდა, როცა შეგირდები შემოცვივდნენ ოთახში ყვირილით: ბერძნულის მასწავლებელი არ არისო! გრაზნოი არ არისო! იმ საცოდავმა ეს ამბავი გაიგონა თუ არა, იმის სხეული ინსტიკტურათ შეინძრა! პოლზე ტყააჰ! თქმაც კი მრცხვენთან ამ მიზეზისა, ისეთი

უბრალო არის! განა დიდი რამ არის და რომ მასწავლებელი ერთს გაკვეთილს დააკლდეს: განა აქ სასიხარულო რა არის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თუ კიდევაც სამწუხარო არ არის? მაგრამ თქვენ რომ არ იცნობთ უ. გრიაზნოის, საიდან იგრძნობთ ჩვენ სიხარულს? მაშ ჩვენი სიხარული ჩვენთან დარჩეს და მოგახსენებთ, რაც გახლამთ უ. გრიაზნოი და ანგრე ძიენ რათ გაგვეხარდა მაგ კაცის დაკლება.

ეგ კაცი არის ერთი, რაღაც უმზგავსო, აქვს ტირანული მიხვრა მოხვრა. საშინელი თავის მოყვარე, ეგოისტი, დესპოტი, ჯოჯოხეთის აგენტი და ტარტაროზი! არც ერთი მასწავლებელი არ გვექცევა ანგრე ცუდათ, გაზრდილი ძველ პედაგოგიურ ტეორიებზე, ბუნებით ძრიენ ბრაზიანია და თავის სიბრაზეში ხანდისხან იქამდისინ მივა ხოლმე, რომ აღარ იცის, რა ქნას. ჩვენ არავითარ პატივს არ გვცემს, გვიცქერის ისე, როგორც ძველი პედაგოგები ახალგაზრდა ყმანვილებს. მაგის აზრით ჩვენ არც ნება გვაქვს, არც სურვილი, არც თავისუფლება და არც ხმა საზოგადოებაში. როცა ჩვენ მას პროტესტს გამოუცხადებთ ხოლმე ბევრს გაკვეთილზე, ის გაბრაზებული დაიყვირებს: “დასხედით, ჩემი ნება არის და ანგრე უნდა იყვეს; მე გიბრძანებთ დაწერას და კიდევაც დასწერთო”, აი დევიზი ამ ხასიათ გაფუჭებული კაცისა! ამ კაცს, მე მგონი, მიზნათ ის აქვს, რომ ჭკუით დაცემულნი სემენარიელები თავის ბერძნულით გააცოცხლოს! აბა, ამისთანა კაცისგან, რომ ერთას საათსაც არის თავისუფლება მივიღოთ, სასიხარულო არ არის?

ესეც უნდა ვსთქვა, რომ შარშან ანგრე ბოროტი არ ყოფილა, რამდენიც ხანი გადის იმდენი ფუჭდება. ბოლოს ვედარ მოვითმინეთ ამდენი ჩვენი ღირსების შეურაცხყოფილება იმისაგან. შევიყარენით ზემო მოხსენიებულ სიხარულის დროს ერთათ თავი და დავინწყეთ ლაპარაკი, თუ როგორ და რა მოუხერხოთ უ. გრიაზნოის! გადავწყვიტეთ, რომ ვიჩივლოთ რექტორთან⁵⁶. სალამოს შვიდს საათზე გაგვგზანეს რექტორთან სამნი. ამოვიჩარე ილლიაში ოდისსეი და თავჩაქინდრული წავედით რექტორთან. მივედით კარებთან და შევჩერდით, არ ვიცოდით რა გვექნა! შევკრთით! ბოლოს როგორც იყო გავაღეთ კარები და შევედით. რადგანაც ჩემს ამხანაგებზე წინ მე ვიდექი წიგნით,

ხელზე კოცნა პირველად მე მერგო. მოვახსენე მიზეზი, რისთვისაც მივედი. მერმე ჩემი ამხანაგებიც მოვიდნენ, კურთხევა აიღეს და გაჩერდნენ. რეკტორმა მკითხა მერამდენე კლასელი ხარო. მეორელი მეტყვი. მერმე იმათ მიუბრუნდა. თქვენ რაღა გინდათო და რომელი კლასებიდან ხართო. იმათ უთხრეს: მეორელები ვართო და მაგ საქმისთვის ვართო, რისთვისაც ყიფშიძეო, ამ საქმისთვის ესეც კმარაო, თქვენ მიბრძანდითო.

მე მოვახსენე, რომ გრიაზნოი ძრიენ გვანუხებს და გვაგინროვებს მეტყვი. გაკვეთილებს სასტიკათ თხოულობს და ძრიენ ბევრსაც გვაძლემს. თითო გაკვეთილზე ოც ლექსზე მეტზე გვაძლემს. ამ დიალექტს ჯერ კარგათ არ ვიცნობთ, და ჯერ-ჯერობით ცოტ-ცოტა უნდა მოგვცეს. გაკვეთილებს კიდენ გადაუწყდეს, როგორც იქნება ვისწავლით, მაგრამ საშობაოსთვის მოგვცა (100) ასი ლექსი, რომლებიც ორნაირათ უნდა გადუთარგმნოთ, წმინდა რუსულით და სიტყვა სიტყვით, სინტაქსურათ გავარჩიოთ და გომერის⁵⁷ საკუთრებები (!) (особенности) ვაჩვენოთ. მაგრამ ნათქვამია, კედელს ცერცვი შეაყარეო! მე თუმცა სხვაც ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ მე მგონი არც კი გაუგონია. ბოლოს დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ რა მითხრა, რომ იტყვიან: “მე მანონს ვეუბნებოდი, ის დოს მოარბენებდაო”. სწორეთ ისე მოხდა: მე გრიაზნოის უჩივოდი, ის კი მეუბნებოდა, რომ ბერძნული ძლიერ უნდა ისწავლოთო; ეს ახალი უსტავით არის დადებულიო. მე მინახამსო, რომ ვოლოდდის სემენარიაში უფრო ბევრიც უთარგმნიათო, მაგის გარდა ეხლა ღიმნაზიებში ძრიენ თხოულობენო. მე დავატყე, რომ ეს ჩემს სასარგებლოს არღარას იტყვის მეტყვი, რადგანაც ჩემი ჩივილის საგანი ბანზე შეისროლა და სიტყვის შებრუნებაც ველარ გავბედე, ავდეგ და გავჩუმდი. იტიტინა, იტიტინა და ბოლოს დამითხოვა. საჩქაროთ გამოვარდი გარეთ, საცა ძლიერ თავისუფლათ ამოვისუნთქე. ამხანაგები კარიდორში მოცვივდნენ, გამოვყავ თუ არა თავი კარებიდან ხარხარით მომცვინდნენ, რა გითხრა, რა გითხრაო?

შემოვედი ოთახში და ერთი სიტყვით უთხარი “რეკტორზე ტყუილათ ნუ გვაქვს იმედი, ის არამც თუ გვიშველის, არამედ ცეცხლზე წყალს დაგვისხამს”. ყველას შეეტყო რომ ამ სიტყვებმა იმათ სახეზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშ რა ვქნათო,

დაიძახეს ყველამ ერთხმად. ის ვქნათ უთხარი მე, რომ შევიყაროთ ერთათ, რამდენიმემ, თავები გადავთარგმნოთ რამდენიმე ლექსი და მიუგდოთ, მერმე რაც უნდათ ის ქნან. მე შევატყე, რომ ეს არავის არ ესია მოვანა. წამოდგა მერმე მეორე და თამამათ დაიძახა: “სულაც ნურაფერს დავწერთო”. ამ სიტყვებმა ხელახლა გაამხიარულეს ჩემი ამხანაგები და ტაშიც ბევრი უკრეს. “ერთ სიტყვასაც არ დავწერთო, არ დავწერთო!”. ყვიროდნენ აქეთ იქითგან. მე რასაკვირველია თავი ჩავლუნე სირცხვილისაგან, ვფიქრობდი, თუ ასე უალაგო ალაგას რათ წამოვროხე ეს უადგილო აზრი და ან რა დროს მართებლობის მხარეს დაჭერის დრო იყო? არა, ნუ იფიქრებთ, რომ მე ეს წამომეროხოს. მე ეს კარგათ მქონდა აწონილი და ვიცოდი, რომ დრო არ იყო მაგრამ მაინც უნდა მეთქვა. მე ჩემს ამხანაგებს კარგათ ვიცნობ, რაც შვილები არიან. ეხლა თუ ანგრე ცხარათ იძახიან “არ დავწერთო”, უყურეთ, საშობაოთ, როგორ ჩუმ-ჩუმათ შეუდგებიან მის წერას! აბა თუ მოიგონებთ შარშანდელ დღიურში რომ მქონდა აღწერილი, თუ როგორ პირობა შევკარით, გაკვეთილი აღარ მიგვეგო და ეგ პირობა ვერ ავასრულეთ! მაგ პირობაში დავიხარჯე ყველაზე პირველათ მე და ეხლაც მე მგონი მევე დავისჯები. მე ეს კარგათ ვიცოდი და მსურდა უბედურება ამეცილებინა როგორც ჩემი თავისგან, ისე ამხანაგებისაგან, მაგრამ ჩემმა მოწინააღმდეგემ დამჯაბნა! მაგრამ მე ყურს დაუგდებ! ვნახოთ ბოლო რას გვიჩვენებს.

21 ღვინობისთვე. კვირა.

ნათქვამია “ცხენს ვერა დააკლო რა, უნაგირს მივარდაო.” დღეს კუშინსკიმ დამსაჯა მითი, რომ გარეთ არ გამიშვა. რადგანაც მე მაგას ვერას დავაკლებ, ჩემს ძმას წავეკიდები. ისე, მართლა კი არ გეგონოთ, რომ მე იმას წავეჩხუბო. არა, ისე, ხუმრობით! თევზს რომ დინგი აქავა ხოლმე, ქვიშაში წაურევს, მეც ენა მაქავა და პატარას ვიყბედებ.

ხა, ხა, ხა, რა საცინელია გიგას ქცევა ჩემთან! იმას პირველათ რომ ჩემი დღიური ხელში ჩაუვარდა - ერთის მხრით ძრიენ გაეხარდა. ეგება ეგონა, რომ იმის ძმა არხიმედის ურდულს იპოვიდა, - მეორის მხარით - დაფიქრდა, ეგება ის აღარ დასწეროს

დღიურში, რასაც გრძნობსო და ეს ერთობ ცუდი იქნებაო. ამის გამო ადგა და მითხრა: “დღეის უკანაც ისე იქონიე დღიური, როგორც აქამდისინ, ვითომც მე არც კი ვიცოდეო” (ამის გამო წავიდა და მთელი ქვეყანა შეყარა, ჩემს ძმას დღიური აქვსო! ასე გაშინჯეთ ანთიმოზსაც კი შეატყობინა!). რომ მე დღიურში ნამდვილი გულითადი გრძნობა მეწერა ამაში მით უფრო დამარწმუნა, რომ ბერნეს სტატია, რომელშიაც არის ახსნილი, თუ როგორ კაცი სამას დღეში გახდეს ორიგინალურ მწერლათ, წამაკითხა. სწორეთ ამ ნაირ აზრისა იყო ჩემი ძმა ჩემზე წარსულ კვირამდისინ. ეგება ის არც კი იყო მაგრამ მე კი ანგრე ვიფიქრებდი. წარსულ კვირას წავედი ჩემ ძმასთან და წაულე დობროლიუბოვის⁵⁸ წიგნი. ამ წიგნზე შენიშვნა არ დაგინერიო, მკითხა იმან. არა მეთქი, უთხარი მე. თუ კი რადიშჩევის წიგნზე დანერეო? როგორც ეტყობა ახლა რომელ წიგნსაც იმას გამოვართმევ იმ პირობით, რომ მე მათ კრიტიკა ან შენიშვნები უყო ჩემს დღიურში. ეს ხომ ძალის დატანება იქნება მერმე! თუ არა და მე მორდოვცოვის გარჩევა საიდან უყო? პუგაჩოვზე მე პირველათ მორდოვცოვში ვკითხულობ და ასე მგონია, რასაც ამბობს სულ მართალია მეთქი. მართალია, მე მორდოვცოვში ბევრი ალაგები არ მომწონს, მაგრამ მისი რა ბრალია, ჩემს მოწონებას ხომ არ უყურებს. თუნდ მაგალ. იმოდენა რაპორტები რომ ქრისტიანულ ენაზე გადმოეთარგმნა, მითომ ისტორია რას წააგებდა? მორდოვცოვი იმასაც ამბობს, რომ ისტორიკოსმა უყურადღებოთ არ უნდა დაარჩინოს ხალხში მოსიარულე ამბები. მაშ შეკრიბოს რაც ხალხში პუგაჩოვზე ზღაპრებია, იგავები, ლეგენდები და გამოვა პუგაჩოვის ისტორია! მე ვერც დობროლიუბოვს და ვერც მორდოვცოვს კრიტიკას ვერ უზამ, ამიტომ რომ თხლათ გახლავარ. სულ სამი კრიტიკული სტატია არ წამიკითხამს და წადი და დობროლიუბოვი გაურჩიე მას დღიურშია. მართალია, ამ ლაპარაკში ბევრი ვიტყუე ჩემ ძმაზე მიტომ რომ ის არ მეუბნება, რომ უთოთ წაკითხულს წიგნებს მე კრიტიკა უყო, მაგრამ მას ხომ მეუბნება, რომ დავწერო ის, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩემზე წიგნი. კარგი, მე ზოგი წიგნი მომწონს ძიენ, ზოგი ცოტათი. მაშ ვწერო რაღა ესა და ეს წიგნი ძრიენ მომწონს მეთქი. ეს და ეს არა. ამას ძრიენ ცუდი შედეგი ექმნება. მე რომ წიგნს დაუნყებ კითხვას, იმას კი აღარ

ვეცდები, რომ წიგნში ამოვიკითხო კარგი და ცუდი, არა, იმას, რომ რა დავწერო დღიურში. იმისთანა ბლაჯვა სწორეთ ჩქარა მომწყინდება და დღიურსაც თავს დამანებებინებს. მე რომ ჩემს ძმას უარი უთხარი, რომ დობროლიუბოვის წიგნზე შენიშვნა არ დამინერია მეტეი, იმან მითხრა: თუ კი რადიშჩევზე დასწერეო? მე თუ მკითხამთ არც იმაზე დამინერია. მე მხოლოდ დავწერე, რომ არ ღირდა მაგდენი ვაი ვაგლახის ატეხა ერთი მოგზაურების გულისთვის. ავტორზე ჯერ სულ არა მითქვამს რა და თუ ვთქვი, ისიც ძრინ ცოტა. ასტე ჩემო ძმაო, საკრიტიკო მე კი არა მაქვსა რა, შენ გაქვს – ჩემი ენა ან დღიური. უჰ, კინალამ არ დამავინცდა! შენ გაქვს კიდევ ვარინსკის ვეჩერი? აი გიგო ბიჭო, იარე, იარე და ვარინკას მიადექ? რო იტყვიან

ორშაფათი, 20 от 12 го часа. 22 октября.

30 ღვინობისთვის, სამშაფათი. საღამო.

გუშინ წინ პაშინოს⁵⁹ ვეჩერში ვიყავი. სიმართლე გითხრათ, რომ ჩემზე პაშინომ არაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ - ვერც თავის ენის სიმშვენიერით და ვერც თავის საგნის შინაარსით. ისე მომწყინდა ჯდომა კინალამ დავიძინე, მაგრამ სხვა ფიქრებმა გამიტაცა. და თუმცა მიზეზი ამ ამბის დღიურში ჩანერისა არის პაშინო, მაგრამ მასსზე მე სრულებითაც არას ვიტყვი და არც ღირს. მაშ მასსზე უნდა ვილაპარაკო, მკითხამთ თქვენ, როდესაც პაშინოს ლიტერატურულ ვეჩერში მოდიხარ.

მასზედ, მოგაგებთ მე, რასაც სრულებით არ მოელით. მე როცა ჩემს ძმას უთხარი, რომ პაშინოს ვეჩერისთვის ბილეთი ავიღე მეტეი, თუმცა ჯიბეში თაგვები მითამაშებდნენ, იმან მითხრა: “არა ღირს იქ წასვლაო”. ერთის მხრით ეს მართალიც არის, ამიტომ რომ, როგორც გითხარით, პაშინოს ლექციამ კინალამ დამაძინა. მაგრამ მეორეს მხარით, ეს უნაყოფოთ არ დარჩა. მე იქ ვნახე ის, რაც აქამდისინ არ მენახა, იმ აზრებმა გამიარეს გულში რასაც აქამდისინ არ აუღელვებიათ ჩემი ახალგაზრდა გული. მკითხამთ, რაშია საქმეო? მოგახსენებთ დაწვრილებით, რაც მე მაშინ ვნახე და რასაც მაშინ ვფიქრობდი. პირველათ შევედი თუ არა “კრუჟოკის” საწინაო ოთახში და ავიარე ფეხიანი მარმარი-

ლოს კიბე, მაშინათვე ვიფიქრე: ეხ, ღმერთო ჩვენმა ხემნიფეებმა საიდან უნდა იგრძნონ თავიანთი ხალხის სიმწუხარე და სიღარიბე? თუ მე უფალო თბილისის “კრუჟოკმა” ასრე გამაკვირვა თავის სიმდიდრით, ხემნიფეების პალატები რაღა უნდა იყვეს? ტყუილათ არ ამტყუნებენ ხელმნიფეებს! იმ სამოთხეში აღზრდილმა შვილმა საიდან თანაუგრძნოს გაჭირვებულს გლეს და მის ბრანძებს? საფრანგეთის ლუდოვიკებს ან სხვა იმათ ტომს საიდან ეგრძნოთ მდგომარეობა პარიჟის “მუშაკისა” და მხნეთეს-ველის გლესისა? საიდან მოეხდენათ წინ-დანინ ცვლილებები და რეფორმები რომ შეენახათ თავიანთი საკუთარი ტყავი და როგორმე აეცილებინათ ის საშინელი “რევოლუცია”, რომელმაც თავის ტალღებში ჩანთქა დიდი მათი ძლიერება. რომელზედაც პისარევი ამბობს, რომ აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. მაგ აზრისაა კიდევ უ. მორდოვცოვი, რომელიც ამბობს რომ ყოველ გვარი მაგ ნაირი ისტორიული მოძრაობა არის “დასჯა ჩვენი ჩვენთა წინაპართა შეცდომისთვინო”. ახლა მკითხამთ, “განა მაგისტანა უბრალო სიმართლე აქამდისინ არ იცოდით”? ვიცოდი, წიგნებიც ბევრი მქონდა ნაკითხული, მაგრამ როგორც ეხლა ჩემის საკუთარის თვალებით ვნახე ეს სიმდიდრე და შევადარე გლესების სიღარიბესთან, ორმაგათ დავფიქრდი. ისე, როგორც არასოდეს, არც წიგნის კითხვის დროს არც სხვის გარდმოცემაზე. ერთის მხარით, სიცხვილიც არის სემენარიის შეგირდმა, რომელიც იღებს განათლებას, სცხოვრობს ევროპულ ქალაქში, ეს უბრალო რამე აქამდისინ არ მქონდეს ნახული, მაგარამ რას იზამ? დაემდურეთ ჩვენს აღზრდას, განათლებას და მის წარმომადგენელს უ.კუშინსკის! ან კი როგორ მოხდა, რომ დაგვითხოვა? ამის მიზეზი ერთის მხრით, ის უნდა იყვეს, რომ თითონ პაშინომ სთხოვა რომ სემენარიელები ყოფილიყვნენ იმის ლექციაზე, რადგანაც ის მუსლიმანების სარწმუნოებაზე (რელიგია) ილაპარაკებდა. აბა კუშინსკიც პაშინოს წინ თავის თავს რეტროგრადისტად რათ გამოიჩინდა. და ან რათ დაგვითხოვდა?. მეორე მიზეზი, ის უნდა იყვეს, რომ მე მგონი კუშინსკიმ კარგად იცოდა რომ პაშინოს ბლუ ენა ჩვენ გოგრა თავებს ვერ აადულებდა და ვერ გამოგვიყვანდა ამ მძინარე მდგომარეობიდან. უ.კუშინსკი კი “არც წვადს დაწვამ და არც შამფურსო” ე.ი. შეგირდებს გაუშვებ მე

პირნათლად დავრჩები ხალხთან და ჩემი შეგირდებიც ცარიელები დამიბრუნდებიანო. ეს სულ კარიდორში იყო, ახლა შიგ კრუჟოკში შევიდეთ. ავიაროთ გძელი მარმარილოს კიბე და შევჩერდი ზალის კარებში. აქ სული ამოვისუნთქე და მივიხედ-მოვიხედე. ღმერთო რა არ ვნახე! რომელ კედელსაც შევხედე, ყველაზე დიდ-დიდი სარკეები ეკიდა, სარკეების წინ ჩოთქ-სავარცხელი! აქ ეტყობა ხალხის დანიშნულება ის ყოფილა, რომ თავიანთ სიცოცხლეში სულ თმა იბარცხნონ და იჩოთქონ! ესეც უნდა გითხრათ, რომ ჩვენ სემენარიელები იმ ზალის კარებიდან შორს ვერ წავიდოდით, თუ იღბალზე ზედამხედველი არ მოსულიყო. იკითხამთ, თუ რა კაცია ეს ზედამხედველი, რომელმაც ამისთანა შრომა გაგვინია კუშინსკის ცხვრებს(!)? მე თვითონ არ ვიცი, რა მიზანი ჰქონდა, როცა ის ჩვენ გვატარებდა ელდორადოს კუთხეებში; ის რომ ჩვენთვის ეჩვენებინა, ის, რასაც ჩვენ ვერ ვნახამდით; თუ ის რომ როცა შეგირდების ზალაში ჩაივლიდა ტუჩების და ხელების ნძრევით, ესა და ეს ამას ნიშნამსო და როგორც ალკივიადზე ისე მაგაზე გამარჯვების ორიოდე თბილი სიტყვები გვეთქვა. თუ ვის ინტერესები ჰქონდა, ჩვენი თუ თავისი, ეგ ღმერთმა იცის. მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ თუ არა ის, ჩვენ ვერაფერს ვანახავდით. ზედამხედველმა შეგვიყვანა ერთს სპარსულად მორთულ ოთახში. კედლები და ჭერი იყო სულ შუშისაგან, იატაკი მისთანა იყო, რომ შიგ სახეს ვხედამდი. ერთის სიტყვით, საითაც მივიხედე სულ შიგ ვხედამდი შეგირდებს, ბურსაკულ ბოჟეთ-სერთუკებში. არ ვიცოდი თვალი რაზედ გამეცერებინა? თვალებმა იდიოტურათ დაიწყეს აქეთ იქით ცქერა. მანდიდან გამოვედით ერთ დიდ გრძელ ზალაში, სადაც ხალხი სეირნობდა. მე უნებლიეთ აქ ამ ნახულმა ჩამაფიქრა. აი სად მისდის ხალხის შრომით ნაშოვნნი გროში! აქ ხომ ჩვენი ხარაზიანთ დემეტრის გროშიც ერევა! ეს ყოფილა რალა, “ჩვენი დიდი რუსეთის იმპერია”? ეს არის “მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფია”? მაშ რითი სჯობიან ეს თქვენი ფილოსოფიის საუკუნე ბარბაროსებისას?

მაშინ იყო ახალა, ახლა მოტყუება! მაშინ ძლიერი პირდაპირ ართმევდა სუსტს რაც ჰქონდა. ახლა კი მოტყუებით, გაიძვერაობით? მაშინ დაწერილი ზაკონი არ იყო, ხლა გაქთ *juris corpora*, მაგრამ რითი სჯობიან ეხლანდელი გლეხის მდგომარეო-

ბა მაშინდელს? მაგ ზალიდან გაივლი სხვებში, ევროპიულათ მორთულებში, მაგრამ იქ შესანიშნავი ვერა ვნახე რა ცარიელი სიმდიდრის მეტი ბევრი გაგეცინებათ ამ სიტყვებზე, რომ არც არა სხვა არის რაო. შესანიშნავი, მაგრამ თქვენ თქვენი გზით მე ჩემი. მანდედან გავედით ერთ დიდ უზარმაზარ ზალაში, რომელიც კარტის სათამაშოს სტოლებით იყო სავსე. სტოლების გარშემო უსხდნენ სტულს - დამები და სტატ-ტუზები ღმერთო რა აღტაცებით თამაშობდნენ ქალაღდს. ვაჟბატონები თითქოს ღმერთს ქვეყანა იმიტომ გაუჩენია, რომ სულ ქალაღდი ითამაშონ?! ზალაში რომ ჩავიარეთ ზოგმა ისეთ ნაირათ შემოგვხედეს, რომ ამდენი ცეზარ-კეისარსაც არ უცქერია თავის დიკტატორობის დროს. ოხ ქალებო ქალებო ეგვიპტის კლეოპატრებო თქვენმა ქცევამ აქ ამ ზალაში სულ გამასულელა!...

ეს ყოფილა, რაღა, თბილისის კრუჟოკი საცა ჩარჩი მაროჟნის ჭამის და ქალაღდის თამაშობის მეტს არას აკეთებენ? სახელი პრტყელია. რას იტყვით? ტყუილად არ არის ნათქვამი: “ რას ვეძიებდი და რა ვიპოვეო”.

ორ შეგირდს ბერძნული სიტყვები აქვთ ამონწერილი ერთ რვეულში. გრიაზნოიმ უთხრა ერთ იმათგანს: “ეს რა კომმუნიზმობა არისო”. ჩვენ შეგირდებმა ხვალ დაფაზე უნდა დაუნწროთ: «Класицизм да коммунизм - горшок котлу не товарищ».

31 ღვინობისთვე, 9 საათი საღამოსი

“გიორგობისთვე”

6 გიორგობისთვე.

პირველს ღვინობისთვეს თბილისის სასულიერო სემინარიის სასამართლოში მოვიდა სინოდლიდან გარდაწყვეტილება უ.კუშინსკის და რეკტორ აბრამის დათხოვნაზე. ჯერ ეს ამბავი მე მგონი არც რეკტორს და არც კუშინსკის შეეტყოთ, რომ მთელმა სემენარიამ იცოდა ეს ამბავი! ძლივს არ ეღირსათ სემენარიელებს მაგის მოშორება! სინოდმაც ძლივს არ გაბედა მაგის დათხოვნა, მაგრამ მოუსვენარი გაზეთები რას არ იზამენ! (თუ მართებლობას რათ ეზარებოდა უ. კუშინსკის დათხოვნა, ამას შემდეგ

შეიტყობთ). იმ ღამეს, როცა შეგირდებმა კუშინსკის დათხოვნის ამბავი შეიტყვეს ისეთ ნაირი მხიარულება იყო სემენარიაში, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, რომ გარდმოცემაც არ შემოძლიან. მე კი სიმართლე გითხრათ გულით მაინც ვერ ვგრძნობდი მხიარულებას, სიხარულს მიტომ რომ ჩემს დროს არც ერთი შეგირდი არ გამოურიცხია, არავისთვის ნიგნი არ წაურთმევია, ერთი სიტყვით მისთანა არა უქნია რა, რომლისთვისაც შეიძლებოდა ანგრე ძრინენ მიხაროდეს მაგის გამოცვლა. მე ამითი იმის თქმა კი არ მინდა, რომ კუშინსკის გაგდებაზე ვწუხდე სრულებითაც არა! თქვენ თუ ანგრე შეიტყვეთ ძრეელ სცდებით. აი ჩემის აზრით მაგაზე ამ განშორების დროს რას ვიტყვი: ეგ იყო უპირველესად ხასიათ გაფუჭებული კაცი, ცხარობდა იქ, საცა სრულებით საჭირო არ იყო და რბილობდა კიდენ იქ, საცა იყო საჭირო სიცხარე. ამ სამის წლის წინათ უ. კუშინსკი რიცხამდა შეგირდებს დროების ქონისთვისაც კი. ახლა კი სემენარიაში მოიპოვება შეგირდი რომელმაც გაასალა რამდენიმე შეგირდი. ერთის სიტყვით კუშინსკის და ჩემს დროს სემენარიაში არიან: პედერასტიკები, გარყვნილები, ლოთები და შპიონები. ესენი, როგორც ხედავთ, სემენარიიდან არ ირიცხებიან. ეს მიტომ ვსთქვი, რომ გაჩვენოთ თუ კუშინსკი ვის რიცხამდა, და ვის არა. რასაკვირველია, მე მაგისთანა კაცის სიყვარული არ შემოძლიან. მაშ რატომ არ მიხარიან მაგის გაგდება, მიტომ რომ ჯერ არ ვიცი მაგაზე კარგი მოგვივა თუ ცუდი. მე აქ მიჭირამს საშუალო ალაგი. არც მენყინა მაგის გაგდება, არც მიხარიან, მაგრამ საქმე ჩემით ხომ არ გათავდება. საქმე იმაშია, თუ რათ უხარიანთ სემენარიელებს (მაღალ კლასელებს) კუშინსკის გაგდება? ამაზე ბევრი ჩემი ლაპარაკი სრულებითაც არ არის საჭირო, მთელმა ქვეყანამ იცის, რა ფრინველიც არის უ. კუშინსკი! მე კიდევ ვიტყვი ცოტას მას, რაც ვერ გაბედეს გაზეთებში გამოცხადება: პირველად: ის იყო მტერი ყოველგვარი თავისუფლებისა. (ამაზედ ზემოთაც მქონდა ლაპარაკი. იხილეთ დღიურში 12 ენკენის თვე 1879 წელსა). მეორედ: ყოველგვარი რუსული და განსაკუთრებით გარედან შემოტანილი ნიგნებისა, ანგრეთვე ქართულისა, ის იყო გაუკითხავი მტერი (იხილეთ 21 ენკენ. 1879 წელსა). მესამედ: რომ მაგის ხელში შეგირდები ჭკუა გონებით უკან მიდიოდნენ, სარამ წინ, ამაში ეჭვი არ არის (ეს

ითქმის მხოლოდ მომეტებულ ნაწილზედ. უფრო თხელ ხასიათებზე. ამისთანა ნატურები, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ მას, ირიცხებოდნენ). მეოთხე, რომ კუშინსკის მიზნად ჰქონდა ერეკნა თავის შკოლიდგან უფრო ნიჭიერი, ჭკუა გახსნილი შეგირდები, იმის მსხვერპლად განსაკუთრებით ხდებოდნენ თბილისის უჩილიშჩის შეგირდები! თუ კუშინსკი როგორ ეკიდებოდა იმ შეგირდებს, რომლებსაც ცუდათ უცქეროდა, ამისთვის მოვიყვანო რიოდ ფაკტს. ჩემი დღიური ძველს სემენარიელს რომ ჩაუარდეს ხელში ჯერ გაიცინებს როგორც ფილოსოფოსი და მერმე იტყვის, იფ! რა ფაკტები მოჰყავსო! ეგენი ღირს შესანიშნავი არც კი არიანო! არიან თუ არ არიან რასა იქ! უარაფრობას ცხრა უღელი კატა სჯობიანო, იტყვის ქართული ანდაზა. ჩემთვის არც ძმას და არც მის გამორეკილ ამხანაგებს არა ფერი უთქვამთ. სემენარიაშიც ბევრი ვერა შევიტყე რა მაგის მეტი, სწორე გითხრათ, გულითაც არ მომინდომია; იმიტომ რომ ბევრი ფაკტების მოყვანა საჭიროდ არ ჩავრაცხე. აი ის ფაკტი. ათს საათზე, როდესაც ყველა შეგირდებს ეძინათ, კუშინსკი შევარდა პატარა სპალნიაში, მივარდა ერთ კოიკასთან და შეგირდს დაუძახა, “ეხლავე აღზდექი და ტანთ ჩაიცვიო! გულ გახეთქილი შეგირდი წამოვარდა და უთხრა: რა გნებავსთო. კუშინსკი: ეხლავ ტანთ ჩაიცვი, ჯანდრები გველიანო; სანყალი შეგირდი შეკრთა. ვერ წარმოედგინა, თუ ან რა დროს კუშინსკი იყო, ან ჯანდრები! უბედურმა კანკალით ტანთ ჩაიცვა და გაყვა თავის ჯალათს, ძირს ჩაიყვანა თავისი მსხვერპლი და უთხრა: “გატყუებო, წადი დაიძინეო და დილაზე მოგელაპარაკებო!” აი კუშინსკი რანაირათ ხდიდა თავის შეგირდებს!.. ერთხელ სთქვა ერთმა მეხუთელმა: სადილის შემდეგ ჩვეულებისამებრ წამოვედით მალლა ბალკონებზე. ამ დროს მომესმა ხმა უკნიდან: “კუშინსკი მოდის ქართული წიგნების, დასაჩხრეკათაო!” მე საცოდავს ერთათ ერთი ქართული წიგნი მეგდოო, იმასაც წავავლე ხელი და ზარულში ჩაუძახეო. ამის მომსწრემ, როგორ არ გავიხარო კუშინსკის გაგდებაზე, დაუმატა მეხუთელმა. ახლა რა შედეგი ჰქონდა უ.კუშინსკის გაგდებას, ანუ მაგის გაგდების შემდეგ რა მოხდა ჩვენს სემენარიაში? ღმერთო ჩემო, რა ამბები არ მოხდა სემენარიაში ამ ერთს კვირას! მიკვირს იმიტომ ეს ყველაფერი, რომ ჯერ ამის გვარი სემენარიაში არა მომხდარა

რა ჩემს დროს! მე აქამდისინ ხეირიანად არ ვიცოდი, თუ ესეები შეეძლოთ სემენარიელებს! (გთხომ მკითხველო, რომ ამ ნაწერს უცქეროდე შენ, როგორც დღიურულს ნაწერს) მე კარგად ვიცი, რომ შენ გაგაკვირვებს დღევანდელი სემენარიელების ნება და წინანდელი ამათი ლანძღვა. დღიურულს ნაწერს ეს თვისება ჰქონია. დღეს ვხედამ საქებურს - ვქებ; ხვალ დავინახამ ცუდს - ვაძაგებ. ან კიდევ, როცა გითხარი “სემენარიელებიო” სუყველა კი არ გეგონოს, არა, ძრიენ ცოტა იმათგანი. მაგ. ქვემოთ ჩემს ლაპარაკში სიტყვა “სემენარიელი” განსაკუთრებით აღნიშნავას მეხუთე და მესამე კლასის შეგირდებს, მაგრამ რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ მისი ქნა კუშინსკის დროს არ შეიძლებოდა. თავის დღეში ყოველგვარი ახლად დაბადებული აზრი ან სურვილი თავისუფლებისა იქვე, ჩასახვის დროს უნდა გაქარწყლებულიყო ამას იმიტომ ვამბობ რომ კუშინსკი ამ კვირაში აქ იქნებოდა იმის ნიშანსაც ვერ დავინახამდი რაც ეხლა ვნახე. მე რომ ამ კვირაში სემენარიელების ქცევას უცქირე, დავრწმუნდი რომ სემენარიელებს უკუშინსკოდ უფრო კარგად შეუძლიანთ ცხოვრება, სარამ მაგისტანების ხელში. ახლა კი სწორეთ დროა ვილაპარაკო მასზე რაზედაც მინდა მაგრამ ამ ჩემს ნაწერს ეპიგრაფათ გაუკეთებ შემდეგს აზრს: “ერთის ზანუდისს თავისუფლებამ აღადგინა და განაცოცხლა სემენარიელები. მოიყვანა მოძრაობაში და ათქმევინა მათ რომ ისინიც ყოფილან ქვეყანაზედ და ხმა მალლა დაიჩხავლეს: ჩვენც ვყოფილვით ჩვენცო! დავინყოთ თავიდან და ჩამოვთვალთ ის ამბები, რომლითაც მე მინდა გაგაკვირვოთ.

პირველ ღამეს, როცა კუშინსკის დათხოვნაზე შევიტყეთ, პირსაბანს ზალაში კარგი დრო გავატარეთ. ბევრი ვილხინეთ და ვითამაშეთ. ისეთებმაც ითამაშეს, რომლებისგანაც სრულებით არ მოველოდით. რამდენიმე ხნის შემდეგ წაველით დასაძინებლათ მხიარულის გულით. ეს არაფერი, დღე მშვიდობიანათ გათავდა. მეორე დღე უფრო ცხარე იყო: მეხუთელები შეუდგნენ შპიონების გამოძებნას. პირველს ორ დღეში შინაურულად უმტკიცებდნენ შპიონებს. განსაკუთრებით მეხუთელებს, შპიონობის იმ ფაქტებით, რომელიც თვითონ იცოდნენ. მესამე დღეს კი ოფიციალურათ დაუნყეს დამტკიცება. მეორე დღესვე მეხუთის ინიციატორებმა გამოსცეს საშინელი ედიკტი, რომელიც გვიცხადებ-

და შპიონების სახელებს და გვიკრძალამდა მათთან ლაპარაკს. ურიგო არ იქნება, რომ თქვენც იცოდეთ უპირატესი შპიონების სახელები: უ. ბერიევი, რეკტორის შპიონი, უ. ივანე ობოლენსკი, ორთავეს რეკტორისაც და ისპეხტორისაც. უნიკო მახათაძე (ორთავეს ის ესენი სულ მეხუთელები) და მეოთხე მიხა, მახათაძე, პირველი მახათაძეს ძმა, ისპეხტორის შპიონი (ეს კი მესამელია). პირველათ, როგორც ვთქვი შინაურულად უნდა დაემტკიცებინათ და შპიონი გაეტეხნათ, მეხუთელი შპიონები ვერ გატეხეს. ამის შემდეგ იხმარეს სხვა საშუალება. მოინვიეს მთელი სემენარიიდან ყოველი შეგირდი, რომელმაც კი იცოდა რანაირიმე ფაქტი შპიონების დასამტკიცებლად. ამ სახით მეხუთე კლასში შევიყარენით ორმოცამდინ კაცმა. თქვენ კი არ იფიქროთ, რომ აქ არეულობა ყოფილიყვეს რამე. სრულებითაც არა. პოლიციისკის როლს ასრულებს ორი სემენარიელი, რომელნიც იდგნენ ორ კართან; თავმჯდომარეთ გვყავდა უ.ტარასი ჭიჭინაძე, რომელიც იჯდა შუა ალაგას. მის წინ იჯდა ობერსეკრეტარი უ.სიმონ ჯაჯანიძე, რომელიც სწერდა შეგირდების ჩვენებებს. ერთს გვერდზე სეკრეტარის და თავმჯდომარისა იდგნენ ორნი ბრალმდებელნი *обвинители* (უკაცრავად სიტყვის უცოდინარობისგან, ჩუბინოვის ლექსიკონი ვერ ვიშოვნე, თორემ არ შემცდებოდა, ეგ სიტყვაც ერთმა იმერელმა შეგირდმა მასწავლა). მეორეს მხარეს იდგნენ დამნაშავენი ე.ი. *подсудимые*... ღმერთო რა ცეცხლი ეკიდებოდათ და აღმური ასდიოდათ საწყალ შპიონებს. უ. ობოლენსკიმ ველარ მოითმინა, წამოხტა და თავმჯდომარეს უთხრა: «Разве не достаточно что обвинили в шпионаже в виду целого класса, что еще призвали сюда всех семинаристов? Ведь еще не доказали что мы шпионы? Разве возможно, чтобы ученик высшего класса судился учеником низшего класса?». ამ სიტყვებზე ნილოს უთხარი, მე რომ შპიონების მინისტრი ვყოფილიყავ მეთქი, რასაკვირველია ვერ მოვითმენდი მე რო გავეკიცხე უბრალო პოლიციისკის, თუ არ თვითონ კაროლს! ეს უთანხმოება რომ გამოაცხადა, თავმჯდომარემ უთხრა “დაბრძანდითო”, საცოდავი დაემორჩილა. ოი, დედა, რანაირათ გამოიცვალა დრო? გუშინდელი კუშინსკის მონა დღეს შეუბრალებელი ჯალათი გახადა! ნათქვამია: რასაც დასთეს იმას მოიმკიო. კუშინსკი დიკტატორულათ სჯიდა სემენარისტებს. ეს-

ნიც მაგ ნაირად სჯიან თავის ტყვეს. მაგრამ დაუბრუნდეთ თვითონ ყრილობას. ჩვენების ჩამორთმევა დაიწყეს მეორელებიდან. სამის მეტი არ გამოჩნდა მეორეში, რომელსაც წარედგინა ყრილობისთვის რაიმე შპიონების წინააღმდეგი ფაქტები. შეგირდი რომ გაათავებდა ლაპარაკს, პრეზიდენტი დასვამდა მას და წამოაყენებდა იმ შპიონს, რომლის წინააღმდეგაც იყო ლაპარაკი. შპიონი თვის გასამართლებლად იტყოდა რასმეს და დაჯდებოდა. ობერ-სეკრეტარი ამაებს სუყველას სწერდა. მერმე ხმოვანი გასინჯამდენ, ფაქტს მოყვანილს, ექნება რაიმე ძალა თუ არა, შეუძლია დაუმტკიცოს შპიონს შპიონობა თუ არა. რეზოლუციასაც საჩქაროთ ობერ-სეკრეტარი შეიტანდა დოკუმენტებში.

ამგვარათ ჩამოართვეს მეორელებს ჩვენებები. შემდეგ პრეზიდენტმა მოიწვია მესამელები. მესამელებმა ყველაზე ბევრი ფაქტები წარუდგინეს ყრილობას შპიონების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ორმა შეგირდმა უ. ოდიშარიამ და უ. ბორისოვმა. უ.ბორისოვმა ყრილობა აღტაცებაში მოიყვანა თავის მშვენიერის ლაპარაკით! მეხუთელებს ყრილობაში თავიანთი ფაქტები არ წამოუდგენიათ, რადგანაც მაგათ წინა დღეს ცალკე ჰქონდათ ლაპარაკი. მეოთხელებმა ძრიენ ცოტა ილაპარაკეს და მეექვსელებმა ხომ სულ არაფერი. ვერ გამიგია ეს რა მიზნით მოხდა, მაგათ უფრო ბევრი არ უნდა სცოდნოდათ? ეს ერთმა ჩემმა ამხანაგმა ახსნა ამ გვარათ: ეგენი იმიტომ მოლოდინენო, რომ წელს გასვლას აპირობენო და ეშინიანთ, რომ ზდილობა პრავლენიამ არ გაგვიფუჭოსო. თუ ეს მართლა ანგრეა, სირცხვილი მაგათ ვაჟ-კაცობას! თუ საინტერესო იქნება, მოვიყვან ორიოდ ჩვენებებს, რომლებიც წარმოადგინეს მესამელებმა შპიონის წინააღმდეგ. ჩვენება ეკუთვნის უ. ფარეიშვილს. უ. ობოლენსკი, სთქვა ფარეიშვილმა, ამა და ამ დროს მე მქონდა შენახული წიგნი “ცისკარი” პარტაში, როდესაც შეგირდები ოთახში არ იყვნენ, თქვენ შეხვედით იქ და რაღაცას ჩხრეკდით. მეორე დღეს უ.კუშინსკიმ დამიბარა და გმორიცხვას დამემუქრა ქართული წიგნების ქონისათვის. ამაზედ რას იტყვიო უ.ობოლენსკი, ჰკითხა თავმჯდომარემ, «Я, сказал Оболенский, не отрицаю того, что ходил тогда по комнатам. Я имею привычку ходить по комнатам во время урока грузинского языка и отыскивать книги для чтения». —

«Странная у вас привычка г. Оболенский», ответил г. Парейшвили. Такой остроумный ответ заставил всех дружно расхохотаться.

სხვა ფაკტების მოყვანაც შესძლო, მაგრამ ერთის მხრით ძრიენ ბევრს ალაგსაც დაიჭერდა, და მეორეს მხრით, საჭიროც არ არის ბოლოს, როცა ჩვენების სიით ჩამორთმევა გათავდა, ყრილობაც დაიშალა. ეს ერთი ამბავი კარგათ გვიმტკიცებს, თუ როგორ გამოიყენეს ერთი კვირის თავისუფლება სემენარიელებმა! ახლა მოგელაპარაკებით მეორეზედ. თუმცა აქ შესანიშნავი არ არის, როგორც პირველი, მაგრამ მაინც და მაინც ჩემის აზრით ღირს რომ მოვიხსენიო.

ერთმა მესამე კლასის შეგირდმა (უ. ტარიელოვი) მოიპარა ღამე საათი. აიგიდი თუ იფიქრა, ეხლა კუშინსკი აღარ არისო, ვინღა მიპოვნისო მაგრამ მოსტყუვდა, მესამელები უფრო ცხარეთ მოეკიდნენ მას, სარამ უ. კუშინსკი. მეორე დღეს ე.ი. დილით შეიტყეს თუ არა მესამელებმა, რომ იმათმა ამხანაგმა საათი დაჰკარგა, იფიქრეს ეს უთოთ ჩვენივე ამხანაგი უნდა იყვესო, მიტომ, რომ იმ სანოლში, საცა საათის დამკარგავი იწვა, სწვანან მარტო მესამელები. (ქურდის გამოძებნას ენერგიულათ შეუდგნენ, მიტომ, რომ დღეს თუ ერთმა დაკარგა, ხვალ მეორეც დაკარგამს. ერთმა შეგირდმა ხმა მალლა გამოაცხადა, რომ ყველას ყუთები და ჯიბე-უბეები უნდა გაუსინჯოთო მესამე კლასში. ზოგმა ჯიბეების ჩხრეკა დაიწყეს და კიდენ ზოგმა ყუთებისა. ამ დროს შენიშნეს, რომ ერთ შეგირდს ფერი მისდის და მოსდის. რაკილა ქურდმა იგრძნო, რომ გამსინჯამენო, ადგა და ზაბულში წავიდა. მას რამდენიმე შეგირდი უკან გაჰყვნენ. ქურდი შევიდა ზაბულში და იქ ფიცარის ქვეშ ამომალა. რაც ის გამოვიდა, მოყურყუტეები შევიდნენ და საათი იპოვნეს.

ახლა მკითხამთ, თუ გასაკვირველი რა იყო? გასაკვირველი ის ვნახე, ჩემო საყვარელო მკითხველო, რომ ჩვენ რომ ისევ კუშინსკი გვყოლოდა, ვერც საათს ვიპოვნიდით და ქურდიც სემენარიაში დარჩებოდა. მითომ რისთვის, ხელმეორეთ მკითხამ შენ. მიტომ, რომ კუშინსკი რომ აქ ყოფილიყო საათის დამკარგველი იმასთან გასწმდა და ეტყოდა ასე და ასეო. კუშინსკი ამოვარდებოდა და დაიწყებდა ლანძღვას: ასეთები ხართო ისეთებიო და საქმე მით გათავდებოდა. შეგირდებიც ენერგიულათ არ მოეკიდებოდნენ

ამ საქმეს, მიტომ რომ გვყავს უმფროსები, რომელთ ვალი არის ამისთანა საქმეები. რადგანაც უმფროსმა ვერა ქნა რაო, ჩვენ რაღას ვიქთო და დაანებებენ თავს. აქედან კიდენ იმ დასკვნას გამოვიყვან, რომ რესპუბლიკა სჯობიან მონარქიას.

ამ ორ ამბავზე თუ ბევრი გელაპარაკეთ, ახლა უფრო ერთგვარი ამბები არიან და ცოტასაც ვილაპარაკებ. საქმე იმაშია, თუ ამ ანარხიის დროს შეგირდები რაგვარ ეკიდებოდნენ თავიანთ მასწავლებლებს ის უბრალო სიმართლე ხომ ყველამ იცით, რომ ჯაჭვიდან აშვეებული ძალღი უფრო ავია, სარამ თავისუფალი? ასტე სემინარიაში იყო. ჯაჭვი იყო უ. კუშინსკი, ძაღლები სემენარიელები და მასწავლებლები კი გამვლელ-გამოვლენი. თქვენც კარგათ იცით, რომ ჯაჭვი აგვაცალეს, გაექანენ მერმე, ჩემო ბატონო, ეგ გაბოროტებული ძაღლები, ანუ სემენარიელები, ეცნენ თავიანთ მასწავლებლებს და ვაი თქვენს მტერს, რაც იმათ დღე დააყენეს! ზოგს კუნთი გამოაგლიჯეს, ზოგს ფიფი ჩამოაფხრინეს, ზოგს შლიაპა დაუჭყლიტეს და ზოგი კიდენ შიშისაგან ცხრა მთას უკან გარდილენა.

ეს ბედი ყველას არ ენია. თქვენ ისიც კარგად იცით, რაც უნდა ავი და ბოროტი ძაღლი იყვეს, მაინც საყვარელი ჰყავს. ესე ჩვენ სემენარიაშიც იყო. იმის გამო რომ ძაღლებსაც საყვარლები ჰყავთ: ჩვენს სემენარიაში ზოგიერთს პროფესორებს არამცთუ დაახიეს ფრაკები, არამედ არც კი დაყეფეს.

ამით ვათავებ ჩემო საყვარელო ძმავ უ. გოდორია⁶⁰, ერთის კვირის აღწერას სემენარიის ცხოვრებიდან! ამ ჩემი ნათქვამიდან შენ შეგიძლიან გამოიყვანო ის დასკვნა, რომ კუშინსკი საჭირო ყოფილა მართებლობისთვის, რაზედაც ცოტა ზემოთ მოგახსენეთ. აი რისთვის, კუშინსკი რომ აქ ყოფილიყო, არამც თუ არ მოხდებოდნენ ეს ამბები, მე მგონი აზრათაც არ მოსვლოდათ ესეები სემენარიელებს. რადგანაც ამისთანა დემონსტრაციები განსაკუთრებით შკოლებში, სრულებითაც არ მოსწონს მართებლობას, მაშა სადამე, ის კაცი, რომელიც ძირიდან ამოფხვრიდა ამისთანა დემონსტრაციებს, უნდა ყოფილიყო საყვარელი მართებლობისა! საცინელი არ არის, რომ ის საშუალო კაცი, რომელიც არის ჩვენსა და მართებლობას შუა, რომლის ვალიც ის არის, რომ ჩვენ მართებლობა შეგვაყვაროს და მართებლობას კიდენ ჩვენი

თავი, ერთს მხარეს ასე ეჯავრებოდეს და მეორეს კი უყვარდეს! აქედან ცხადათ სჩანს, რომ მართებლობას სულ სხვა უნდა და ჩვენ სულ სხვა.

10 გიორგობისთვე. ლოცვის შემდეგ. შაფათი.

შემდეგში მოგელაპარაკები უ.დროებით ისპეხტორებზე, პოტოცკიზე და მის საქმეებზე. ანგრეთვე მაზედ, თუ როგორ ჩაუშალა სემენარიელებს საქმე შპიონების გამო.

13 სამშაფათი. აღებლამე. გიორგობისთვე.

ხვალ უქმეა და მაშასადამე უფრო გულიანათ შემიძლიან ფქვა. ჩვენმა პრავლენიემ დროებით ისპეხტორათ და რეკტორათ ამოირჩია უფ. პ. ს. პოტოცკი⁶¹ ისპეხტორათ და ფავორსკი – რეკტორათ. ორთავენი სამხრთო წერილის მასწავლებლები არიან. მე ამ შენიშვნაში ვილაპარაკებ მარტო პოტოცკიზე და სრულებით არა ფერს ვიტყვი რეკტორზე. მითომ რათაო, მკითხამთ ზოგიერთი. მიტომ რომ ჩვენ სემენარიებში რეკტორებს არა ფერი მნიშვნელობა არა აქვთ. იმათი საქმე - ლოცვაა. საქმე ისპეხტორია! თუ ისპეხტორი კარგია, რეკტორი ფუჭ! ერთის სიტყვით ისპეხტორზე კიდია სემენარიის ბედი და უბედობა. ამიტომაც ჩემი ლაპარაკის საგნათ იქნება პოტოცკი - ისპეხტორი და არა რეკტორი - ფავორსკი.

ჩვენს დროებით ისპეხტორს ჰქვიან სახელათ პავლე სიმონიჩი, მაგრამ შეგირდები ეძახიან პავლიას, მეც მაგ სახელს უწოდებ. უნდა გითხრათ, რომ სანამ პავლიას ინსპეხტორათ ამოარჩევდნენ, როგორც ბიბლიის მასწავლებელს, შეგირდები ცუდათ ექცეოდნენ მაგას. შეგირდები ამბობდნენ მაგას, რომ ისპეხტორობა მისცენო, ძრიენ სასტიკათ მოგვეკიდებო და შეგვანუხებსო. ეს ჩვენი ამნაირი მაგაზე შედგენილი აზრი, კინალამ არ გაამართლა უ. პავლიამა, ანუ პავლე სიმონიჩმა. მეორე დღეს ისპეხტორად დაყენების შემდეგ, ლოცვის შემდეგ (შაფათი იყო) შემოვიდა და გვითხრა: ეკლესიაში ძრიენ ცუდათ დგეხართო, ხან ერთ ფეხზე გადაწვებით, ხან მეორეზეო და წამდაუნუმ გა-

მორბიხართო გარეთაო. სხვა ზავედენიებში, მაგ. კლასიკურში მე ეს არ მინახამსო. გთხომ რომ აღარც სემენარიაში იყოსო ეს. ამ სიტყვებმა სულ ერთიანათ დააფრთხო სემენარიელები. რასაც ვფიქრობდით გვიმართლდებაო, იძახდნენ სემენარიელები. ამ ნაირათ დაიწყო უ. პავლე სიმონიჩმა ისპეხტორის მოვალეობის ასრულება და ამ ნაირათ მიიღეს შეგირდებმა. ახლა ქვევით წავიდეთ. როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენს სემენარიაში დიდი არეულობა და მღელვარება იყო შეგირდებში შპიონების გამო. ამ საქმის გამოსაძიებლათ პრავლენიემ დანიშნა უ. პოტოცკი. ერთს კვირა დღეს, მაგან შეკრიბა მთელი სემენარიელები (პირველ კლასელების გარდა) ერთს დიდ ზალაში, სადაც გამოძიება იყო დანიშნული. პოტოცკი შეუდგა გამოძიებას. შეგირდები ფაკტებს ადგენდნენ და შპიონები თავს იმართლებდნენ. უ. პოტოცკიც თავის მხრით რაც შეეძლო ამართლებდა შპიონებს. ეს რასაკვირველია, შეგირდებმა კარგათ შენიშნეს. პატოცკი თხოულობდა ნამდვილს ფაკტებს, შეგირდებმა ის ვერ წარუდგინეს და ამის გამო ჩვენი საქმე ცუდათ მიდიოდა. ბოლოს ერთმა შეგირდმა ველარ მოითმინა და უთხრა პავლესა: - „ნამდვილს ფაკტს რას ეძახითო?“ ნამდვილს ფაკტს იმას ვეძახითო, მიუგო გამომძიებელმა, რომ ვისმეს ყური მოეკრას, როცა შპიონი ამბავს უზიდავდაო. ჩემის აზრით, ამ სიტყვებს სულელიც არ იტყოდა, არამც თუ განათლებული კაცი! არა, ისეთი ოხერი ვინ იქნება, რომ სეკრეტი რამე სალაპარაკო ჰქონდეს, სხვა კაცი დაინახოს და არ გაჩუმდეს? მაგის გარდა: რა არის შპიონობა! ის არის დაფარული საქმე. მაშ, თუ ანგრეა, შპიონს ისეთს ფაკტს და დამტკიცებას წარუდგენ, რომ თავი არ გაიმართლოს? აი მაგალითებრ: ერთი ფაკტი, თუ შპიონმა როგორ გაიმართლა თავი. თუმცა ძრიენ გაგრძელდება უიმისოთაც გრძელი ბაასი, მაგრამ მოვიყვან სიტყვა-სიტყვით. ფაკტი ეკუთვნის, უ. ბორისოვს, “ამა და ამ დროსო, სთქვა ბორისოვმა – მე და სიმონ შანშიევი წაველით ფერშალთან ქეიფის გასატარებლად, სადაც ფერშლის გარდა იყვნენ კიდევ ორნი ეკონომნი, ახალი და ძველი. ამ დროს წმინდათ ღამის თორმეტი საათი იყო. (ეს აზრი არ შეიძლება რომ ტყუილი იყვეს, მიტომ, რომ ამაზე ადრე კუშინსკის გამო ქეიფეფს ვერ გაბედამდნენ. ეს თორმეტი საათი კიდენ მითია შესანიშნავი, რომ ამ დროს სემენა-

რიაში ყოველს სულდგმულს სძინავს. სემენარიაში იძინებენ ათს საათზე და თუ რომელიც შეგირდი არ დაიძინებს ამ დროს, თუ კუშინსკი შეუტყობდა, ანგელოზებს დაუფრთხობდა) - ცოტაოდენი რომ გადაუსვით – განაგრძელა ორატორმა, სიმღერებიც შემოვძახეთ. ამ დროს შევნიშნეთ, რომ ერთი ვიღაც პირი ნელ-ნელა ხან ერთ კარებთან მოვა და დაგვიგდებს ყურს, ხან მეორე კარებთან (ის ოთახი, რომელშიაც სვამდნე, არის საავადმყოფის გვერდზე და აქვს ორმხრივ კარებები). ჩვენ შეგვეშინდა, გვეგონა რომ რეკტორია, რადგანაც იმას ჰქონია ჩვეულებათ პირველ საათზე საწოლებში და საავადმყოფოში სიარული შეგირდების დასახედათ. ადგა კამპანიიდან ძველი ეკონომი და გამოიხედა გარეთ. იქ მან ნახა კოიკაზე უ. ივან ობოლენსკი. იმავ მინუტში დაბრუნდა და გვითხრა, ჩუმათ იყავითო, გარეთ ერთი ვიღაცა ზისო. მეორე დღეს, სთქვა ბორისოვმა, დამიბარა კუშინსკიმ და გამლანძლა, გამორიცხვასაც დამპირდა. ეს ამბავი ვინ შეატყობინა უ. კუშინსკის, თუ არა ობოლენსკიმ, ჰკითხა გამომძიებელს უ. ბორისოვმა. ახლა შენი რიგია, უთხრა გამომძიებელმა ობოლენსკის. იმანაც დაიწყო: “ყველამ იცით კუშინსკი გაზეთების კითხვას გვიშლიდა, მაგრამ მაინც ვკითხულობდით. ბოლოს გაზეთი დღისით მე არ მერგო, ის მომცეს ვახშმათ უკან. წასაკითხათ სპალნიაში ვერ წაველი, რადგანაც შეგირდებს დაუშლიდით. ავდექ და საავადმყოფოში წაველიო. საავადმყოფოში, რომ შეველიო, ყველას ეძინა და ლამპაც ჩაშვებული იყო. ლამპა ვერ ამოუნთქე, რადგანაც მეშინოდა, რომ შეგირდები არ გავალვიძო მეთქი. იქიდან გავედი კარრიდორში, დავჯექ კოიკაზე და დავიწყე კითხვა, სადაც მერმე მნახეს”. აი ჩემო მკითხველო ფაქტები, ახლა აქედან შენ დაუმტკიცე, რომ ობოლენსკი⁶² შპიონია. მე ახლა მოგაგონებ, რომ იმ თორმეტს საათზე ზემოთ ტყუილათ არ გელაპარაკე. მე კი ჩემის აზრით, ვიტყვი, რომ ობოლენსკის არ შეეძლო თორმეტ ანუ პირველ საათზე კითხვა გაზეთისა საავადმყოფოში. თუ იმას გაზეთი მისცეს ვახშმის უკან, მაშასადამე, გაზეთის კითხვა მოხდებოდა ათიდან თერთმეტ საათამდინ და არა თორმეტს და პირველს საათს შუა. გაცხარებული პოტოცკი ამ ფაქტს რომ არჩევდა, ამართლებდა შპიონს. შეგირდებმა ეს ველარ მოითმინეს და პირდაპირ დაუწყეს ჩხუბი. ნილომ უთხრა: შენი ვალი ის არისო

რაც გითხარით ჩასწეროთ და გამგეობას წარუდგინოთ, არა ისა, რომ აქ ჩვენ გვეჩხუბო. ეს ჩემი ნებაა – უთხრა პაველ სიმონიჩმა, ჩავრაცხამ საჭიროთ, წარვუდგენ პრავლენიეს. არ ჩავრაცხ საჭიროდ, არ წარვუდგენ. ჩვენ ბევრიც, რომ ვიჩხავლოთ, ველარას გავარიგებთო. ამ დროს ერთი შეგირდი ადგა გამოვიდა გარეთ, იმას უკან სხვები დაედევნენ, დარჩა მარტოკა ერთი პოტოცკი კათედრაზე! თუ რაგვარ ან გაყვითლდა და ან განითლდა, ეგ თქვენ წარმოიდგინეთ! საცოდავი პოტოცკი არ იტყოდა თავის გულში ეს რა ჯოჯოხეთში ჩამაგდესო! ერთი ორიოდ შეგირდი დარჩა იქ და იმათ აუხსნეს, რომ შეგირდები კმაყოფილნი არ არიან თქვენის გამოძიებითო. ეს კიდევ არა ფერი, ცეცხლი ის არის, რომ შეგირდები როცა ზალიდან მიდიოდნენ, ყვიროდნენ: «Подкуплен, пристрастно судить!». ასეთ ნაირათ მიიღეს სემენარიელებმა თავიანთი დროებითი ისპეხტორი, რომელმაც პირველ თავის მოქმედებებში ნამდვილი ფიასკო მიიღო! პატოცკის პირველი მოქმედებები სემენარიაში ამით არ გათავებულა, მომსხო ქვემოთ არის!

(ეს ჩემის ნებით მოყვანილი აზრი რადგანაც ჩემს ძმას უთხარი, ამას მოვიყვან ძრიენ მეზარება, მაგრამ რომ თქვენ პოტოცკიზე ცუდი აზრი არც შეადგინოთ, საჭიროთ ვრაცხ მაგის მოყვანას). საქმე იმაშია, რომ პოტოცკი დანიშნეს თუ არა ისპეხტორობის ალაგზე, იმ ღამეებსვე დაიწყო კლასებში სიარული და ერთს წამს შემოირბენდა ხოლმე კლასში ყველა პარტიებს. ის რასაკვირველია, ყველას უსინჯამდა, თუ ვინ რას კითხულობსო. რადგანაც შეგირდები დაშინებული არიან წინანდელის ისპეკტორისგან, შენიშნეს თუ არა პატოცკის ამ ნაირი ქცევა, ცოტა არ იყო გულში ფახათ მიეცათ. ამის გამო შეგირდები დაინახამდნენ თუ არა უ.პოტოცკის კლასში შემოსულს, წინ კურთხეულის ფილასეტის ქადაგებებიც რო ქონოდათ, ინსტიტურათ ხელს წამოავლებდნენ და პარტიაში თავს ამოუყოფდნენ. შემოვიდოდა პატოცკი, მისუნ-მოსუნსულებდა და რაკილა სალაპარაკოს ვერას იშოვიდა, კუდ ამოძუებული გასწემდა ხოლმე.

ბოლოს ველარ მოითმინა ამ ნაირი შეგირდების მოღერება და ერთხელ გვითხრა: მე ძრიენ მიკვირს, რომ თქვენ სრულებით წიგნებს არ კითხულობთო. უწინდელი სემენარიელები მით იყ-

ვნენ კარგები, რომ ბევრს წიგნებს კითხულობდნო. ერთის მხრით ეს სიტყვები ძრიენ მესიამოვნა, მაგრამ მეორეს მხრითაც ძრიენ დამაფიქრა. ვინ იცის თუ ეგ რა ნაირი წიგნების ნებას გვაძლემს. თუ მარტო ჩვენი ბიბლიოტეკას, ამისთვის დიდ მადლობას არ გეტყვი უ. პოტოცკი, თუ სხვა წიგნებსაც – ამისთვის კი спасиши! დანარჩენი შემდეგში.

ჩემს ძმას ვამტყუნებ წერის სიზარმაცეში, მაგრამ მე უარესი მომდის. ძლივს გავათავე ეს უბრალო შენიშვნა.

24 დეკემბრისთვის. 4 საათი საღამო.

“ქრისტეშობისთვის”

4 ქრისტეშობისთვის, სამშაბათი.

დანარჩენ პოტოცკის სემენარიაში მოქმედებებზე მე აღარაფერს დავწერ, მიტომ, რომ ერთის მხრით მთელი ბიოგრაფია გამოვა შეუნიშნავი კაცისა და მეორეს მხრით, ჩემი დღიური მაგის აღწერას მოუწდება, რაც, რასაკვირველია, დიდი ინტერესი არ იქნება. თუმცა პირობა მოგეცით, რომ პოტოცკიზე აღარ ვილაპარაკებ მეტეი, მაგრამ იძულებული ვარ მოვიხსენო ეხლაც.

ამ ორი კვირის განმავლობაში სემენარიის მართებლობამ გამორიცხა ოთხი შეგირდი. ამ ამბავს შეგირდები, რასაკვირველია, სუყველანი ერთნაირათ არ უცქერდნენ. ერთნი კუშინსკის მომხრენი, იძახიან: “არ ვამბობდით, რომ კუშინსკის შემდეგ უფრო ცუდი დრო დაგვიდგებაო!” ერთის სიტყვით ეს პარტია ამ საცოდავების გამორიცხვას აწერს უ. პოტოცკის. მეორენი ამბობენ, რომ ეს ანარხიის და ინტრიგანობის ნაყოფიაო, მესამენი კიდენ – რომ ეგენი ღირსნი არიან გამორიცხვისაო. მე კი არც ერთი პარტიის აზრს არ ვეთანხმები. მე ჩემის მხრით ვიტყვი, რომ სემენარიაში სულ სხვა ჯიშის ხალხია, ესენი სრულებით არ გვანან სხვა ზავედენიის შეგირდებს. რაც აქ ამბები ხდება, ამათ მე მგონი სხვა შკოლებში ალაგი არა აქვთ. აი მაგალითებ: მესამელები რაპორტით რეკტორთან სჩივიან ერთის მასწავლებლის დათხოვნაზე. ეგევე მესამელები თხოულობენ ერთის მასწავლებლის დათხოვნას, რადგანაც ვითომ მას გაელანძლოს. ერთი

შეგირდი ეუბნება მასწავლებელს: «Г. Вы радуетесь отсутствием властей, я сам воспользуюсь», ე.ი. მიგბერტყამო (ეგ შეგირდი არ გამოურიცხამთ).

ერთმა შეგირდმა სადილზე ისპეხტორის წინ სცემა მეორეს. არც ეგ შეგირდი გამორიცხეს. ერთი მასწავლებელი იძახის, რომ ვისაც სასჯელის მიღება უნდაო, პირველს და მესამე კლასებში შევიდესო. ერთი შეგირდი ზედამხედველს ეუბნება: “ჩქარა შენ გაგაძევებენ აქედან – სარამ მეო”. ეგ შეგირდი საეკლესიო ხარჯის დათხოვნით დასაჯეს. ამისთანა მაგალითები სემენარიაში მუდამ ბევრი ხდება, მაგრამ სუყველას მოყვანა საჭირო არ არის. ეს ფაკტები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ სემენარიის შეგირდები იმ დონეზედ არიან, როგორც სხვა ზავედენიებში. თუ ეს ღრმა არის, ჩემო მკითხველო, მდაბიურათ გეტყვი. ის, რაც სემენარიაში ადვილათ ხდება, სხვა ზავედენიებში ძვირად ხდება. მე ამით ჩვენ დანჯღრეულ სემენარიას საფრანგეთის ინსტიტუტებთან (მაგ. როგორც ნანტისა⁶³, რომლის სტუდენტებმაც ერთის პრაფესსორის ისტორიკოსის ლექციის შემდეგ, ზავედენიეს თავი დაანებეს და წავიდნენ მტერთან საომრათ) კი არ მინდა შეადარო, არა, მხოლოდ თბილისის გიმნაზია ინსტიტუტებთან. მკითხამს გაჯავრებული მკითხველი: რა შედარება, რა გადადარებაო! შენ იქნება გგონია, რომ ჩამოთვლილი ფაკტებით სემენარიელებს სახელს გაუკეთებ და არამედ ღირსებას დაუმცირებ! დაუმცირებ თუ წაუმატებ, ფაკტები მაინც თავისას იტყვიან. რომ სემენარიის შეგირდები განსხვავდებიან გიმნაზიელებიდან და მათთან ვერ ერთდებიან – ეს ადვილი ასახსნელია. პირველი - რომ სემენარიელები ცხოვრობენ ბურსაში და მაშასადამე, მისი ხასიათი უნდა ჰქონდეთ. მეორე – მთლათ სემენარიელები რო არიან სოფლელები, გიმნაზიელები კი, ან აზნაურობა, ან არისტოკრატობა. ეს ელემენტები როგორც იცით, ძნელად თავსდებიან ერთათ. მაგრამ კითხვა იმაშია: რატომ სემენარიას ახვევია იმისთანა მოუდრეკელი ხალხი და გიმნაზიებს კი ელასტიკური! მიტომ, რომ არისტოკრატია ზრდის თხელი ხასიათის შვილებს. თუ ამ პარალელის გავლებაში ბევრად ვსცდები, მეპატიება მიტომ რომ გიმნაზიელებს ძრიენ სუსტათ ვიცნობ.

18 ქრისტეშობისთვის, ორშაფათი

გუშინ მე და ჩემი ძმა ბაღში დავსეირნობდით. ამ დროს ბაღში ჩამოიარა გაჩქარებულათ ერთმა პირმა, რომელმაც მიიქცია ჩემი ძმის ყურადღება. ჩემმა ძმამ დაინახა თუ არა, დაღრეჯით და ამოოხვრით მითხრა: “ბედკრული მუშააო” და ჩაღუნა თავი სანყალმა. ბოლოს გადაღლილმა გიგამ, მე მგონი თავის თავი იცნო ამ ახალგაზრდის ბედსა და უბედობაში, ამ ახალგაზრდის, რომელმაც ასე მწარეთ ამოაოხვრინა გიგას, მიმზიდველი სახე არ ჰქონდა, ეტყობოდა, რომ იგი შრომას მოუმტვრევია. იგი იქნებოდა 28 წლისა, კარგათ მაღალი იყო და წელში მოხრილი. სახე მოყვითალო და ცოტა-ოდენი ღმეჯები შეპარვოდა. არც ტანი სამოსი ეცვა ამ ბედკრულს მუშაკს. გაქონილი შლიაპა, შავი გაცვეთილი საზაფხულო პალტო, შავივე ტლაპოიანი შარვალი და მოქსოვილი წაღები. ხელში რაღაც რაღაცეები ეჭირა და ეტყობოდა, რომ საღაცას მიეჩქარებოდა. აი ეს პირი იყო, რომ ისრე მწარეთ დააკვნესა ჩემი ძმა. მე ვკითხე, რაია, ვინ არის ეგ პირი მეთქი. აი რა მითხრა. ეგ არის სომხის ახალის ჟურნალის შრომისა რედაქტორიო, რომელიც სცემს სომხურს და რუსულს ენებზედ. მე გამიკვირდა, თუ როგორ ეს ბრანდი ჟურნალის რედაქტორი იქნებოდა და უთხარი, ბიჭო, შენვე არა თქვი, რომ ემილ ზოლამ თავის ლიტერატურულს შრომით პარიჟში პალატები⁶⁴ ალაშენაო? განა ვითომ ის ამაზედ ანგრე მეტს შრომობს, რომ იმან სახლებიც ააშენოს და ამან ქონიანი შლაპაც ვერ გამოიცივალოს მეთქი? მართალია, ემილ ზოლა ტალანტია, მაგრამ განა მარტო იმას აქვს ნება ცხოვრების დაფნის ფოთლის მოგლეჯა და ამ ჩვენ პატარა მუშაკს კი არა? რა მიზეზია, რომ ერთი პიტერში თვეში ათას თუმანს შოულობს, მეორე პარიჟში პალატებს აშენებს და ამათი ამხანაგი ლიტერატორი თბილისში ლუკმა პურს ვერ სჭამს და თბილათ ტანთ ვერ იცვავს? მაგაზედაც მომიგო: ეგ იმას ამტკიცებს, რომ საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და რუსეთში ხალხი დანინაურებულაო. განათლება წინ არისო, და მიტომ ლიტერატურული მოთხოვნილებაც იქ ძრიენ მისთვის არისო, სარამ ჩვენ ქვეყანაშიო.

ორიოდე სიტყვა ახლა თვითონ მაგ პირზე, რომელიც ანგრე გულიანათ თანაუგრძნობს სანყალს, უბედო ლიტერატორს. ეგ თვითონ ჩემი ძმა ეკუთვნის იმ კატეგორიას, რომლის ერთი ნევრიც ეხლა ზემოთ ავწერე. ე.ი. იმ კატეგორიას, რომლის ნევრნიც არიან ახალგაზრდა პატიოსანი, ღარიბი ხალხი, მოსურვენი სულით და გულით დიდის განათლებისა და კეთილისა თავის ქვეყნისთვის. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ღარიბს ბედი სულ მუდამ სდევნის, სწორეთ ეგ შავი ბედი ზედ შუა სურვილის და მიზნის გზაზე გადაეჩხირება ხოლმე შავ ვარსკვლავზე დაბადებულ ღარიბებს. ჩემს ძმასაც სწორეთ ეგ შავი ბედი სდევნის, თუმცა მე კი გიგას ბედნიერს ვეძახი, მიტომ, რომ ვგრძნობ მის გონიერულს სიმაღლეს და პატიოსნებას. ცოტათ თუ ბევრათ მისი საქმეები მიდიოდა კარგათ სემენარიის მესამე კლასამდინ; მის შემდეგ ბედის ჩალხი უკუღმა დაბრუნდა და აქამდისინ უკუღმა ტრიალებს. ბედმა აღარ გაუცინა! ჩემი ძმა გრძნობდა მაშინ ძალას, ქონდა ენერჯია, ახალგაზრდული სისხლი ფეთქდა ძარღვებში, უნდოდა სწავლა, უნდოდა უნივერსიტეტი, მაგრამ ამ პატიოსნურ აზრში თანაგრძნობა ვერ ვისში ნახა! მხიარული სახის მაგივრათ აჩვენეს მოკუზული ზურგი. ახალგაზრდას ერთის ზურგის ჩვენებით ვერ გააჩერებ! ერთგან თუ თავის სურვილს ვერ აასრულებს, მეორეს ეცემა, თუ ვერცა არა ფერი იქ გახდა, მესამეს, ენგრე ერთითგან მეორეს წააწყდება, სარამ ძალა და ყმანვილური ცეცხლი არ გამოელევა. სწორეთ ჩვენი გიგაც ზურგის ჩვენებამ ვერ გააჩერა. უნივერსიტეტი თუ ვერ ეღირსა წავიდა სოფლის შკოლაში. ხალხის სამსახურათ. მაგრამ რაკილა ნახა, რომ ხალხს მაგ სწავლით ბევრს სარგებლობას ვერ მოუტანს, მასაც თავი გაანება. უნივერსიტეტის სურვილმა და დიდი განათლების მიღებამ ხელმეორეთ იფეთქეს გიგას გულში! რადგანაც დაწყველილი უნივერსიტეტი უფროს შორს წავიდა რამდენიმე ვერსით წინანდელზე, მაგ აზრს დროებით კიდევ თავი დაანება და შევიდა ქართულის ტრუპაში. ტიატრიც კარგი საქმეა.

განა არ იცით, მაგრამ ჩვენი ტიატრი არამც თუ აკეთებს ხასიათებს, არამედ რყვნის. მაგასაც თავი დაანება და შინ ბიბლიოტეკაში, სადაც დარჩა ერთი თვე და მერმე ეგეც მიატოვა. ამ ნაირათ ჩემი ძმა, რომელიც ოცდაერთის წლისა ძლივს არის,

თითქმის გამოიცადა ცხოვრებაში, რომელსაც ათას ნაირათ ებრძოლა და ყოველგან კი ფიასკო მიიღო. ამას, რასაკვირველია, თვითონაც კარქათ გრძნობს და ამ ორი დღის წინათ, როცა მასთან მე ლაპარაკი მქონდა, მითხრა: “მე ის აღარა ვარმ, რაც აქამდისინ ვიყავი.” დავბერდიო. მე ამ სიტყვებზე ტანმა დამიჭრიალა, მაგრამ რას იქ. ჩვენი ეხლანდელი ცხოვრების მაშინა ისრეა მომართული, რომ მაგისტანა ახალგაზრდებმა მე ოცდა ერთს წელზე უნდა დაკიდონ ცხვირები! სწორეთ იმ დროს ბაღში, როცა ზემოთ აღწერილმა ლიტერატორმა ჩამოიარა, ვლაპარაკობდით ამაზედ, თუ როგორ მოახერხოს წასვლა უნივერსიტეტში. ამ ნაირათ ჩემი ძმის სურვილმა უნივერსიტეტში წასვლაზე გამოიარა რამდენიმე ფაზა...

26 ქრისტიშობისთვე. ოთხშაფათი.

გუშინდელი დღე ე.ი. შობა დიდი დღე იყო ქრისტიანებისათვის. აბა იმაზე რაღა დიდი უქმე უნდა იყვეს, როდესაც ხალხნი თავიანთ ღმერთის დაბადებას უქმობენ! თუმცა მე ბევრი არა შემიტყვია რა, თუ როგორ მიეგება “შობას” ჩვენი თბილისელი ქრისტიანობა, მაგრამ დარწმუნებით შემეძლიან ვთქვა, რომ ეხლანდელი ქრისტიანები იმ სიხარულს და აღტაცებას ვერ გრძნობდნენ გუშინდელ დღეს, როგორსაც პირველნი ქრისტიანები. მაგრამ მის თქმაც არ შემეძლიან, ვითომც თბილისში მხიარულება არ იყო, არა იყო და უფრო მომეტებულიც. აი თუნდ ჩვენ კლასში საღამოზე რომ მოვიდნენ ღვინის სული ამოდიოდა ზოგიერთს, მაგრამ ვიმეორებ, ეხლანდელი მხიარულება ძრიენ განირჩევა ძველებიდან. მაშ რაღათ მხიარულობენო, მკითხამს ვინმე, თუ კი ხალხს დიდი გულს წრფელობა არა აქვსო იმ პირთან, რომლისთვისაც უქმობენ ამ დღეს? მიტომ რომ დანყი-დაბადებიდან მიეჩვიენ, რომ ოცდახუთს ქრისტიშობისთვეს უნდა ვიმხიარულოთო.

ან ტყუილათ ხომ არა არის ნათქვამი: “ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო” ანუ «привычка – вторая натура». რადგანაც მე ქრისტიანი ვარ და რადგანაც მაგ ანდაზას ჩემზედაც უნდა ქონდეს ძალა, უნდა მეც მხიარულებით მივგებებოდი ღმერთის შობას, მაგრამ სრულებითაც არა, ძველის პალტოს კლაპანიც არ

გამოუცვალე და ისე წავედი სასეირნოთ. მე ქრისტეს შობა სხვით არაფრით შემეიტყვია, როგორც მითი, რომ საჭმელი შეგვიცვალეს, აბა გასახარელია არ არის, ექვსი კვირა ძალათ გამარხულონ და მერმე სუქან-სუქანი ღორის ნაჭრები მოგიყარონ წინ, გულიანათ არ შეექცევით თუ? მაგრამ ბოლოს კი ვინანე, რადგანაც მუცელი ძრიენ ამტკივდა. არ ვიცი, ხარბმა ჭამამ მიყო, თუ ხორცის პირში ცუდათ დაუღეჭებლობამ, რადგანაც კბილები არ მივარგა.

აი ჩემო ძმავ, რა ნაირათ მივეგებე მე შობას და რა ნაირი სადილი გიახელი, თუმცა კი შენ “მილანში” მიგერთმია სადილი “კოტესთან”!

არა ჩემო ძმავ, კი არ იფიქრო, ვითომ ყველა სემენარიელები ჩემნაირად მიეგებნენ შობას, სრულებითაც არა. ზოგს იქვე დილითვე ეტყობოდა, რომ რაღაც შეწუხებულის სახით ხან ერთ-თან მივიდოდა და ხან მეორესთან. ზოგს ყელსახვევი აკლდა და მას თხოულობდა, ზოგს შარვალი, ზოგს ქუდი და ზოგს კიდენ წაღები. ხომ იცი, შეგირდი ისე ვერ მოენყობა, რომ არა ფერი აკლდეს, ერთი კიდენ გაცხარებული ნევსს და ძაფს დაეძებდა პალტოს დასაკერებლად. მე მაშინ ფერთან სკამზედ ვიჯექი და ჟურნალში ვკითხულობდი ერთს სტატიას: “პასუხის გება ეკონომიურ სწავლაზე დ.ს. მილლისა”. ნევსი და ძაფი რომ იპოვნა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: “რას იტყვი, შაშა, ცოდვა არ არის, რომ უქმე გავტეხეო?” მე გამეცინა და თავი ჩავლუნე. იმან იგრძნო ამ სიტყვის ძალა და ფიცხლავ გაკურცხლა. მერმე ველარ მოვკარ თვალი. არ ვიცი დააკერა პალტო თუ არა.

რელიგია, რელიგია! განა კიდევ აქვს რამე ამას მნიშვნელობა განათლებული კაცისთვის? აი თუნდ ჩვენი ქრისტიანული რელიგია. პირველს საუკუნოებშიაც ძალით ავრცელებდნენ და ეხლაც ძალით უჭირავთ. ჩვენს შეგირდებში, გარნმუნებთ, ძიენ ცოტა მოიპოვება იმისთანა, რომელიც სიხარულით მიდიოდეს ეკლესიაში, დანარჩენს, როგორც ჭირი ისე ეჯავრებათ. ძალათ რომ არ შეგვრეკამდენ ხოლმე, განა კი ვინმე შევა! ზოგჯერ ჩვენი ეკლესია გაიმსება ხოლმე ხალხით, მაშ ეს რას ამტკიცებს, თუ არ ხალხის სიყვარულს რელიგიისადმი? სრულებითაც არა. იქ სულ მოდისტკები და მოფრანტები არიან, რომელნიც მოსულან

სალოცავათ კი არა, უფრო ტანისამოსის საჩვენებლათ და გულის გასართობათ.

რელიგიაზე შემდეგ.

იმ დღეს მე და ჩემს ძმას მოგვივიდა შემდეგი ლაპარაკი: ზაქარია ჭიჭინაძე⁶⁵ რა ტიპს ეკუთვნისო? შემდეგ მე ვიფიქრე: ნეტა კი ვიცოდე, ჩემი ძმა რაღა ტიპს ეკუთვნის? ნატვრის მაგიერათ, სჯობს ცხოვრებას დავაკვირდე, და მასში სუყველას ამოვიკითხამ!...

1880 წელი, 6 იანვარი

ყველა გაზეთებმა მოგვილოცეს ახალი წელი და ძველს “მშვიდობა” გაუგზავნეს. უკაცრავათ, მე მოლოცვა არ ვიცი და ნურც დამემდურებით! ოროლ საათიანი წირვა ლოცვა რომ არ იყვეს, არცკი მამაგონდებოდა თქვენი “ახალი წელინადი” და “ნათლისღებაა”, თუ რაღაც კვერცხის ღება! ოჰ, ეს “წირვები”, ჯოჯოხეთივით შემძულდა! ამ ორ კვირას თბილისში დავრჩი და საქმის გასაკეთებლად და საქმის მაგიერათ ეს ძვირფასი დრო წირვას შევწირე! მე რომ ერთ ღამეს რუსების მონარხი მაქნა, სულ მოვსპობდი ამ ქვეყანაში რაღაც წირვები არიან და გავგზავნიდი მონასტრებში ბერ-მონაზნებთან.

აი მაგალ. როგორ გავატარე ეს დღე. რვის ნახევარზე ავდექი. სანამ პირს დავიბანდი და ტანთ ჩავიცვამდი 10 შესრულდა. დილის ლოცვას და ჩაის მოუნდა ერთი საათი. ჩაის შემდეგ ნახევარ საათი ლაპარაკს მოუნდა, საათ-ნახევარიც ვიმეცადინე. ეგეც 11 საათი. დარეკეს შუა დღის ლოცვა, რომელმაც მოითხოვა 2 ნახევარი (რადგან წყლის კურთხევა იყო). წირვის შემდეგ სადილი. ეგეც სრული ორი საათი. სადილის შემდეგ ერთი საათი კიდენ ლაზლანდარობას მოუნდა. საათი კიდენ ვიმეცადინე. მერმე ნამესტნიკი მოვიდა. ერთი საათი იმის ცქერაში და იმაზე ლაპარაკში გავიდა, ეგეც ხუთი საათი. მერმე საღამოს ჩაი, რომელსაც მოუნდა ნახევარ საათი. მერმე საღამოს ლოცვა დარეკეს. ზარის წკაუნს მოუნდა ნახევარ საათი, ეგეც სული ექვსი. საღამოს ლოცვას მოუნდა საათნახევარი. ეგეც რვის ნახევარი. რვა საათზე ვახშმისას რეკამენ. მაშასადამე, ვახშმობიდან დამრჩა

თავისუფალი დრო, სულ ნახევარ საათის. მაგ ნახევარ საათშიც აგერ დღიურში შენიშვნას ვწერ. სხვები მაგასაც ვერ აკეთებენ. ნახევარ საათი დარჩა ვახშობამდინ, რაღას წავიკითხამთო და ლაზლანდარობდნენ. იმ დროს, როდესაც ნამდვილი პედაგოგების აზრით, ბევრი შეუძლიან შეგირდს, ვსწავლობ მხოლოდ ორს საათნახევარს დღე ღამეში. ერთმა სწავლულმა გამოიანგარიშა, რომ ბეჯითი კაცი წელიწადში წაიკითხამს 240 ტომსო. თუ ასე ვიმეცადინე, მე მგონი ორი მაგდენიც წავიკითხო.

აი მიზეზი ჩემო ძმავ, თუ რისთვის ვინატრე ერთს ღამეს რუსის მონარხოზა, რომ сразу одним взмахом уничтожить людския плуности! ეს რუსული სიტყვები დავწერე თუ არა, საათი ვნახე და ცხრას ხუთი მინუტი აკლდა. ჩვენი ისპექტორიც შემოვიდა და დღიური მივჩქმალე. იმან გვითხრა: “ხვალ შვიდ საათზედ უნდა ადგეთო, რადგანაც წირვა დაიწყობა რვა საათზედო. ერთის სიტყვით счастье!!

5 იანვარი 1880 წელსა

გასაკვირველია, რომ მე როდესაც რასმე დღიურში ვწერ, იმას მოვიფიქრებ ხოლმე ეკლესიაში, როცა იქ შეგვრეკამენ. ეხლაც სწორეთ ანგრეა. იქ დავფიქრდი, თუ რას უნდა ნიშნავდეს მეთქი ჩემი წუხანდელი სიზმარი. იტყვიან, რომ რაც კაცს მოელანდება, ალბათ იმას გრძნობსო, რომ მერამდენე ნაწილი მისი მაინც აუსრულდებაო. ეგ თუ ანგრეა, ვინ იცის რა არ მამელანდება ხოლმე. ხან ალექსანდრე დიდი ვარ, ხან ნაპოლეონი, ხან მთელი ევროპის რეფორმატორი, ხან ქართლის განმათავისუფლებელი, ხან კიდენ უდიდესი პოეტი და ხან უბრალო ლიტერატორი და სხვა ამგვარი.

წუხელის სიზმარში ვიტანჯებოდი და დღესაც ორი დიდი განსაცდელი გამოვიარე. პირველი, რადგანაც წირვაზე ჯერ პოტოცკი არ იყო, მე მეგონა სულ აღარ იქნება მეთქი და გამოვიპარე. შევედი ოთახში და დავიწყე “სლოვოს” კითხვა. ამ დროს შემომივარდა ისპექტორი, დახედა წიგნს და მითხრა: “თქვენ უნდა იცოდეთო, რომ ეხლა ლოცვა არისო” და წავიდა. მე უკან მივჩხავლე, პაველ სიმონიჩ, ფეხზე მაზოლი მაქვს მეთქი. მაგრამ არ გასჭრა ჩემმა სიტყვამ. “მაგითი ფონს ვერ გახვალო” და გაჰქრა.

იტყვის ვინმე, დიდი განსაცდელიაო!

საქმე იმაშია, რომ ჩვენს ისპექტორს ვეგონე, რომ ჭიასაც ვერ გავალვიძებდი და ახლა კი ნახა რომ არამც თუ ჭიას “სლოვოს”-აც კი ვჯიჯგნიდი. პატოცკი იტყოდა თავის გულში: “აქამდინ მე ამას ვერ ვიცნობდიო, ესეც უთოთ თავის ძმის ფეხი უნდა იყვესო”.

მეორე განსაცდელი უფრო ცხარე იყო. საღამოს 4 საათზე, როდესაც უფრო ცოტა შეგირდები იყო სემენარიაში, დაიყვირეს: “ველიკი კნიაზი მოდისო!” მეორე კლასის ოთახში სულ სამი შეგირდი ვიყავით. ყველანი დაფაცურდნენ და კლასებს დაუნყეს დალაგება. ზოგი ძველ პალტოებს ეცა, ზოგი აქა-იქა გაფანტულ წიგნებს და მე კიდენ ჩემს “ბედკრულს დღიურსა”. რათ შემეშინდა ისე ძიენ! განა დღიურსა არ ერჩივნა პარტიაში ყოფნა, სარამ უბეში? მაგრამ მტრის დანახვის დროს დედა თავის შვილს კუთხეში არ მიჩქმალავს, მხოლოდ გულში მიიკრავს, და მზათ არის მასთან სული დალიოს. აბა სწორეთ მეც ისე მომივიდა. პატიოსანი კაცი, რომელმაც ცოტათი იცის სემენარიის ისტორია, იტყვის: დღიურის ქონა განა საშიში არისო; განა იმ შეგირდს ჩვენი უფროსი დასჯისო, განა ის შეგირდი საჩუქრის ღირსი არ არის თავის უმფროსისაგან, განა ის შეგირდი ყველასაგან საყვარელი არ უნდა იყვეს? ჩვენს სემენარიაში სრულებითაც არ არის ენგრე. აქ ყოველის მხრით სდევნიან მას, რომელიც გაბედავს მაგეების ქონას. განა კეზელის⁶⁶ უბრალო ნაწერები, რომლებიც ისე გააზვიადეს, ჩემ უბრალო ნაწერზე ისე ცხარი იყო, რომ ასე სასტიკად დასაჯეს? არა მჯერა და! აი მიზეზი, თუ რისთვის ერთის სახელის გაგონებაზე დღიურს თბილი უბე ვანახვე. ზემო ახწერილი შიში არაფერია, მომსხო ქვემოთ იყო. ნამესტნიკი ჩვენს ოთახში რომ შემოვიდა, წინდანინ დასალაპარაკებლათ ჩემთან უნდა მოსულიყო, რადგანაც სხვები ამისთანა ალაგას იდგნენ, რომ იქ ვერ მოუდგებოდა, და ძალით ხომ არ მიუქცევდა! გამარჯობა-გაგიმარჯოს! (კი არ გაგეცინოთ ამაზე, ხომ იცით სემინარიელები უბრალო ხალხი ვართ. რაღაც Здравия желаем Ваше Императорское Высочество! ვერ მოვიგონეთ. როცა წავიდა მაშინ მოვედით გონს). გამარჯობის შემდეგ მე სახელი და გვარი მკითხა. მის შემდეგ ჩემი პალტოს ბიოგრაფია იკითხა,

მერმე ბლუზის ისტორიაც მოინდომა! მაშინ კი გულმა დაინყო ცახცახი! აბა ბიჭო, ახლა მოგადგა დიდი განსაცდელის დღე! რო გინახოს და პანლური გიჭიროს, ვისთან წახვალ? შენ ძმასთან? იმასაც არა აქვს პური და შენ რა გაჭამოს? Великий день великих испытаний!! ჩემი დღიური ხომ არაფერია, მაგრამ ნამესტნიკი სემენარიელებს სხვა თვალებით უცქერის; მათი ფერიც კი ეჯავრება! (ჩვენც მას უძღვნიო!) იტყვიან გოსუდარი – მამააო, და მოყმე – შვილიაო. აქ როგორია მამაშვილობა! შინ მამა ჩემს ასეცა დაუჭყვივლებ ხოლმე, რომ სირცხვილით ვერცკი შემომხედამს. ისიც თავისი მხრით ანგრე მექცევა, როცა საჭიროა. “ველიკი კნიაზს” მესამეში ერთისთვის ეკითხნა: შენ ვინ ხარო? სვანოო. ოჰ, შენც ბუნტოვჩიკი იქნებო! მიუბრუნდა რეკტორს და უთხრა: «Обратите на него серьезное внимание. Они у меня бунтовщики!» ეგეც შენი მამა-შვილობა!

6 იანვარი, 1880 წლის⁶⁷

დღეს მე სრულებით ბედნიერი ვარ. მშვენიერი დიდი პროცესია ვნახე და მას თან ზარბაზნების სროლა. ეგ ოხერი ზარბაზნები რა ყოფილან, დედა, დედა. ელვას ზედ ისროდნენ და მე მეგონა, აგერ გაზეთში ამოკითხული ბომბები ჩემს ყურთან დააბრიალებენ მეთქი. მაგოდენა ფრანკო-პრუსიის ომი 1870 წლიდან და პარიჟის “ბომბარდიროვკა”. (ღმერთო ჩემო, და არა სხვისა). აქ ათმა ზარბაზანმა ერთს არშინზედ შემახტუნა და იქ რო დავსწრებოდი, როცა ნემენცები “პარიჟს” ესროდნენ და ფრანცუზები პასუხს აძლევდნენ, მგონი ორ ვერსზედ ზეცაში წავსულიყა! მონგოლფიერის შტუბკა საჭირო აღარ იქნებოდა!. ცოტ-ცოტათი შეგირდებმაც დაინყეს ჩამოსვლა და რალაც მხიარულება და სიცოცხლე მოიტანეს. ეტყობათ, რომ ყველას აქვს ძალა შემდეგის შრომისათვის და მათ სახეზედ იხატება კმაყოფილება. უმაგათოთ თითქოს სემენარიაში ავამყოფები შემოუყვანიათო, სიცოცხლეს ხმა არსად ისმოდა. მე მეგონა თუ ეს ორი კვირა სატუსალოში გავატარე მეთქი. ამ ორს კვირას შემძაგდა სემენარია და დღეს შემიყვარდა. აქ ვარ ოთახში ბუნხართან შეგირდები ქართულის სიმღერებს მღერიან, ნიშანი მხიარულები-

სა, ბედნიერი ვარ ამ წუთში, მაგრამ ვინ იცის, თუ ხვალ რა იქნება!
 “ღმერთო, რა ძვირფასია შეგირდული დრო!! მერმე ვინ იცის თუ
 ცხოვრების ტალღა სით გაგიტაცებს და რომელ ტლაპოში ჩაგ-
 ბლავს?!... მოვკვდები, ვინ იცის, თუ როგორ! სენატორათ, თუ
 სოფლის მასწავლებლათ; ლიტერატორათ, თუ ჩინოვნიკათ!!... ...

Странное стечение обстоятельств! დღეს თიატრში მივდიოდი
 ბილეთის ასაღებათ, რომ დონკიხოტის სისულელესთვის მეცქი-
 რა. გზაზედ ვნახე ჩემი ს.....ელი, რომელიც აგერ ექვსი თვეა შო-
 რიდანაც აღარ მინახავს! იმის შავმა თვალებმა გულშიდ ლახვარი
 გამიყარეს. შემომხედა, გამიცინა, ჩემი სახელი ახსენა, და მე კი
 პასუხი ვეღარ მივეცი დაბრანძული ტანისამოსის გამო! გავწით-
 ლდი, თავი დავლუნე და გავსწიე ჩემს საპყრობილეში. მისი მარ-
 გალიტის თვალები მოსვენებას არ მაძლევენ! იმ წამს ტანისამოსი
 შემძაგდა, როგორც ურიას ღორის ხორცი. ოხ, ნეტავი ისიც ასე
 უცქეროდეს ტანისამოსს, როგორც მე!

Полного счастья нет на свете

1/2 8 ян.1880

არ მინდოდა ამის დაწერა, მაგრამ სხვასთან ეგეც იყვეს.
 Несчастливая любовь.!

14 იანვარი. 1880

სტამბოლის ალება რუსებს ისე არ გაეხარებოდათ, რომ
 ევროპელებისათვის ეთქვათ თქვენის კავშირებით ფეხებსაც ვერ
 მომჭამთო და ვერც თქვენი დაუცხრომელი ბისმარკ-ბიკონფ-
 სილდი-ანდრაში მიზამენო და ისე მეჩტატელ-პატრიოტებს არ
 გაუხარებოდათ საქართველოს თავისუფლება, როგორც დღეს
 სემენარიელებს უხაროდათ! დღეს წმინდა ნინოს დღესასწაული
 იყო. იქნება იფიქროთ, რომ ნინოს უქმე გაუხარდათ? სრულე-
 ბითაც არა. გაუხარდათ ის, რომ ნირვა ქართულს ენაზედ იყო
 ჩვენს ეკლესიაში. ზემოთ მოგახსენეთ, თუ რა ნაირათ სემენარიე-
 ლებს ეზარებათ ეკლესიაში სიარული, მაგრამ დღეს სუყველანი
 იქ გახდნენ! რა ნაირი ფაცა ფუცი შეუდგათ! ზოგი ჟამს არჩევ-

და, ზოგი სამოციქულოს და ზოგნი კიდენ საგალობელის გიმნებს. სწორეთ გითხრათ, წირვა სრულებითაც იყო ტკბილი გასაგონი! ყველას ეტყობოდა, ღვდლიდან დაწყობილი შეგირდებამდინ, რომ თავის სამშობლოს ენაზედ ღვთის დიდება არ შეუძლიანთ. მღვდელმა ნახევარზე კი ქართულათ იცოდა და მერმე გადურუსულა; მთავარი სრულ რუსულათ ჩხაოდა, მხოლოდ ორიოდ სიტყვა კი ქართულად სთქვა, რამაც უფრო ძრიენ ააჭრელა წირვა. ისევ შეგირდებმა აჯობეს მღვდელ-თავარს. ამათ რაც წასაკითხები იყო, სულ მშვენივრათ წაიკითხეს. მაგრამ გალობა კი!... როდესაც “აკურთხე სული ჩემი უფალო.....” გააფუჭეს, ზედამხედველს და ისპეხტორს შევხედე, რომლების სახეზედაც დაცინვა ამოვიკითხე და, მაშინ ტანმა დამიჟრიალა და ჭირის ოფლმა დამასხა! ღმერთო ჩემო, ეს რომ აღკრძალული ნაყოფი არ იყვეს, ასე ხომ არ წავეტანებოდი და ასეც აღარ შემრცხვებოდა, ვილაც რუსისა! ოხ, სამშობლო, რა ტკბილი ხარ, მაგრამ უფრო უუტკბილესი ხარ ამ მდგომარეობაში!... რომ წირვა-ლოცვა სემენარიაში ქართულს ენაზე აღკრძალული არ იყვეს, ხომ ახლაც ისე ზარმაცულათ შემოვიდოდი, როგორც აქამდისინ დავდიოდი! ლამის იქამდისინ მიგვიყვანონ, რომ ყოველი სამშობლოური ცუდია თუ კარგია, ღმერთათ მიგვალეზინონ! *Prope vencto, sed rope victori!*

1880 წელსა, პარასკევი, 25 იანვარი,

ეს ერთი კვირაა რაც აქაური გაზეთები ერთხმათ კავკასიის უნივერსიტეტებზე ლაპარაკობენ და პატარა დროება კიდენ იმას უმატებს, რომ თავადაზნაურობამ ისარგებლოს ხემნიფე-იმპერატორის იუბილეინის დღით და უნივერსიტეტის გახსნა სთხოვონ ამ ჩვენს ქვეყანაში. რასაც დღე ნახამ, ღამე ხომ არ მოგელანდება! სწორეთ მეც ისე მომივიდა. წუხელის უუსაშინელესი სიზმარი ვნახე. „ვითომც ხემნიფე-იმპერატორმა იუბილეინის დღეს საყოველთაო ამნისტია მოგვახდინა და ჩვენ ავტონომია. ავტონომიური საქართველო შეიცვავდა ალაგს აბხაზეთიდან ტრაპზუნამდინ და ფოთიდან – „შემახომდინ“. ფანტაზია არ არის, მართლა არის!...

ხელმწიფის განკარგულება მამა ჩემს გარდავეცი. სიხარულით არ იცოდა, რა ექნა. ახლა კი მე ვიცი, იძახდა მამა ჩემი, თულა მე აბაზათა ვწირამო და ხუთს შაურათ არ გავხდი, მაშ ღვდელი აღარ ვყოფილვარო! მე თუმცა ვარწმუნებდი, რომ ავტონომიის დროს წესები უფრო სასტიკნი იქნებიან მეთქი და მაგისტვინ დაგსჯიან მეთქი. იმას არ ჯეროდა და გაიძახოდა, რომ წირვას ხუთს შაურათ⁶⁸ გავხდიო!“ ეგ იყო წუხანდელი ჩემი სიზმარი! აი გიდი თუ მამა ჩემისთანა ხალხი ყოველგვარ დროს ეძებენ, რომ ჯიბეები გასტენონ!...

„სწორეთ დღეს გაუხდა ჩემ დღიურს ერთი წელიწადია. დავინყე 1879 წელსა, 25 იანვარს, და ვათავებ 26 იანვარს 1880 წელს.

ჩყოთ-ჩაპნელსა!!! - 69

დღიური ერთი სემენარიელისა.⁷⁰

1880 წელსა 7 თებერვალსა.

7 თებერ. დღეს გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ ხელმწიფე იმპერატორის საზამთრო სახლში ნაღმი აუფეთქებიათ⁷¹ და მასთან რვა კაცი მოუკლამს და ორმოცდახუთიც დაუჭრიაო. ღმერთო, რა ნაირი გაძრიელდნენ ეს სოციალისტები! საწყალი ხელმწიფე რა მდგომარეობაში უნდა იყვეს! აღარც სახლში მაქვს მოსვენება, აღარც მგზავრობაში, აღარც საზღვარს გარეთ და აღარც ღვთის სახლში! ერთი პოლიციისკი მყავს ნაცნობი და იმან მითხრა, რომ ეხლა სოციალისტები ძრიენაც გამრავლდნენ და ძრიენაც ძრიელნი არიანო. რამდენი უბაშპორთონი მოდიან აქ პეტერბურლიდან. დარჩებიან ერთს ორს კვირას და მერმე გაჰქრებიან. სოციალისტები ამბობენ, რომ წარმომადგენლები სენატშიც კი გვყავსო. ეს აზრი ეგების ძრიელაც არის გაზვიადებული, მაგრამ პეტერბურლში სოციალისტების მოქმედება ამტკიცებს, რომ ისინი იქ არც ცოტანი არიან, და არც უძლურნი. ეხლანდელი რუსეთის მდგომარეობა – სრულებით ემსგავსება რომის მდგომარეობას კონსტანტინე დიდის დროს, როგორც მაშინ დაბერებულ იმპერიას მოედო ქრისტიანობა, ისე ახლა რუსეთს ედება სოციალური აზრები. ვინც აჯობებს, უწყის მომავალმა.

20 თებერვალი. გუშინდელი დღე ჩვენთვის სემინარიელებისათვის სწორეთ შესანიშნავი იყო. განა რისთვის? მისთვის კი არა, რომ ხელმწიფის ტახტზე აბძანება იყო და ქალაქში დიდი მხიარულებაა – სრულებითაც არა. ჩვენ სულ სხვაგვარი მხიარულება გვქონდა. სადილის შემდეგ, რომელზედაც ჩვენი ხელმწიფის სადღეგრძელო დავლიეთ, შეგირდები ქალაქში წავიდნენ სასეირნოთ. შვიდ საათისთვის თითქმის ყველანი ისევ სემინარიაში შეიკრიფნენ. რეკტორი შევიდა ზალაში და ყველა შეგირდებიც მიიწვია. გამართა ბატონო მხიარულება მისთანა, რაგვარიც არ უნახავს ჩემს დაბნეულს თვალებს! თვითონაც ძრიენ იმხიარულა და ჩვენც გვამხიარულა. თვითონაც ძრიელ იხარხარა და ჩვენც სიცილით დაგვხოცა! თვითოეული ჩვენგანი იმ ღამეს ისე თავისუფლათ იყო, როგორც მამაჩემის⁷² ოჯახში მარიამობას. წუხელის ჩვენმა უმფროსმა არამედ თუ რეკტორობა, არამედ ბერობაც კი გვერდზედ გადასდო. რეკტორი წუხელი ჩვენთან მარტო კი არ იყო, ზოგი მასწავლებლებიც, ისპეკტორი და ეკონომიც თან ჰყავდა. თავის დღეში ისინი ჩვენთან

შუაში არ ჩასხდებოდნენ, მაგრამ რაკილა რეკტორი მას ჩადიოდა, ისინიც იძულებულნი იყვნენ ემხიარულათ. სწორეთ გითხრათ იმათაც რიგიანად იხარხარეს. განსაკუთრებით ისპექტორმა და ეკონომმა. ზედამხედველებსაც კი არა დაუშავებიათ რა, მაგრამ ყველას შეგირდებმა გადააჭარბეს. სწორეთ ურიგო არ იქნება რომ აგინეროთ, რაგვარი იყო ჩვენი მხიარულება: რასაკვირველია ამას ბევრისთვის დიდი ინტერესი არ ექნება, მაგრამ რომ გაჩვენოთ, რომ ყოველ ზავედენიებში, სადაც განსაკუთრებით ბერები არიან უმფროსებათ, ესეები არ შეიძლება, რაც ჩვენ ამ ღამეს გვექონდა, ცოტა დაწვრილებით მოგახსენებთ. რეკტორი დაჯდა თუ არა ჩვენ სუყველანი გავჩუმდით, გვეგონა ან «Боже царя»-ს გვაგალობებს, ან კიდევ სხვას რასმეს რუსულსო, მაგრამ არა. აბა ერთი ითამაშეთო, თქვა მან, ვნახოთ ქართველები როგორ თამაშობთო. დავჯექით ირგვლივ და ერთმა ჩვენგანმა დასძახა “რირავაშა”. მაგის შემდეგ დაუკრეს ლეკური და ვინც ზორბათ იცოდნენ, იმათ ლეკური ჩამოურბინეს. სუყველაზე იცინოდა, მაგრამ ლეკური ძრიელ მოეწონა. ლეკური რომ გავათავეთ, მერმე დავინყეთ სიმღერა, მაგრამ რაები არ ვიმღერეთ. პატიოსნურიდან დაწყებული კინტოურამდინ ჩავედით. აბა დამშლელი ვინ იყო. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ რეკტორს არ ეყურებოდა, რას ვამბობდით და იმას ეგონა სულ კარგები ვიმღერეთ. შემდეგი: მრავალჟამიერ, გაზაფხული, ჩიტი, არაგვი, მუხამბაზი, კურდღელი ჩამოცანცალდა, ПТАШКА, ОХЪ ТЫ ВОЛЯ და სხვა მრავალი წვრილი ქართული ლექსები. ამის შემდეგ კიდევ ლეკური, ყარაბალული და მერმე კიდევ სიმღერა. ბოლოს დავაბით ფერხული და ისეცა ხტოდენ, რომ გვეგონებოდა კვირინის კალიები არიანო. მერმე ერთი პატარა ლექსი საშა შეგირდმა (ბერძნულათ) იმღერა. ამის სიმღერამ ისე გაახარა ბერძნულის მასწავლებელი, რომ იმის ტაშის კვრამ ყურები დაგვიჭიდა. ბოლოს მომღერლებს ერთი მანათიც უთავაზა. აი ჩემო ბატონო ამ გვარი იყო ჩვენი მხიარულება. შესანიშნავი რითიაო, მკითხამთ. ყოველი კარგი უფროსი ანგრე უნდა მოიქცეს, დრო გამოიცვალო. აბსოლიუტნოთ რომ ავილოთ, მართლა არაფერი, მაგრამ თუ შევადარებთ ხვალინდელ თავისუფლებას კუშინსკის დროსთან და პარალელს გავავლებ - ცვლილება დიდი იქნება.

დილა 9 საათი.

24 თებერვალი. კლასსიკების მომხრენი ამტკიცებენ, რომ კლასიკური მწერლები ყოველი ახალგაზრდასთვის სამაგალი-თონი არიანო, იმათ უნდა ჰბაძონო და იმათგან უნდა მიიღონ ჭკუა და გამჭრიახობაო. ამის გამო არამც თუ ევროპაში, არამედ რუსეთშიც კი თითქმის ყოველგვარ შკოლებში პირველი ალაგი დაიჭირეს. მართალია, ერთ დროს საჭირონი იყვნენ, მაგრამ ახლა ვადა გაუვიდათ. მაგათი ავტორიტეტი დაეცა. რა საბუთს გვიდგენენ კლასიკოსების მომხრენი ისეთებს, რომ ავტორიტეტ დაცემული ენები კიდევ უპირატესობენ ჩვენ შკოლებში. იმათ საბუთებში პირველი ალაგი უჭირავს ენის სიმშვენიერეს და განსაკუთრებით გარეგან ფორმას. მეც როგორც შეგირდი ვსწავლობ ერთავ კლასიკურ ენებს, მაგრამ იმათ მწერლებში ვერც მშვენიერ ენას ვხედავ, და ვერც კარგ ფორმას. ეგ იმიტომო, მეტყვიან კლასიციზმის მომხრენი, რომ ჯერ კარგათ არ იციო. (შვიდი წელინადი კია რაც ვსწავლობ და რამდენი უროკებით!). დაგეთანხმებით. ამ დღეებში ნავიკითხე შესანიშნავი რომაული პოეტის თხზულება რუსულ თარგმანში. მანდაც ხომ ვერ მეტყვით, რომ ვერ გაიგეო; თუ არ მომეწონა სხვა მიზეზი უნდა მოძებნოთ, რისთვის? ნავიკითხე, მაგრამ ვერც ენის სიმშვენიერე, ვერც პოეტური ალტაცება, ვერა ფერი ვნახე. თუ არ მოგეწონა, მისთვის, რომ რუსულათ ისე არ არის გადმოღებული, როგორც დედანშიო, მეტყვით. მაგაებით ფონს ვერ გახვალთ. ბაირონი ნამდვილში არ მიკითხია, მაშ არ მომწონებია რაღა! მაშ გორაციო, მეტყვით კიდენ, ისრე დაეცაო, რომ მანუჩარა სემინარიელსაც აღარ მოსწონსო! (ვაი ჩემი ბრალი კატკოვმა⁷³ და K° - რომ შემეიტყოს მე მგონი სემინარიაში კი არა სათათრეთშიც აღარ დამაყენოს!) სრულებითაც არა, ის ისევ დიდი გორაციო იყვეს, მე რა დავა მაქვს კაცთან, რომელიც ორი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა! მე მხოლოდ მინდა, ჩამოერთვათ იმათ ის უპირატესობა, რომელიც ჩვენს შკოლებში უჭირავთ და მათი ალაგი მიეცეთ რეალურ საგნებში. ამ წინაზე “სლოვოში” ნავიკითხე სტატია, «земская медицина». ავტორი იხილამს ამ სტატიაში, თუ რამდენს ხარჯამს მოსკოვის ზემსტვო ამ კეთილ საქმეზე და ბოლოს იმ დასკვნასთან მიდის, რომ ამოდენა ხარჯს არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, ზარალის მეტიო. ამის გამოც გირჩევთო, რომ მაგ უბრალო ხარჯს სჯობს თავი

დაანებოთო. მეც სწორეთ ამას ურჩემ ჩემს უფროსებს (თუ კი შეინყნარეს!), რომ კლასიკურ ენებზე ტყუილ უბრალოთ ფულს ნუ ხარჯამენ. აი გამოვიანგარიშოთ თუნდ ჩვენს სემინარიაში, თუ რა უჯდება მართებლობას თითო წრე კლასიკური თხზულებისა, ლათინურის მასწავლებელს აქვს თვეში 12 თუმანი. ასწავლის ოთხ კლასში; მაშასადამე თითოს შეხვდება სამ-სამი თუმანი. მეორელებმა ამ 1880 წლის იანვარში გადავთარგმნეთ სალლიუსტიდან სამოცდაათი სტრიქონი. ეგ სამი თუმანი რომ გავყო 70 წრეზე, თითო წრე დაჯდება თითქმის ცხრა შაური – აბა ამაზედ რას იტყვით? პეტერბურღში სტუდენტი თავის ფორტუნას მაღლობას შესწირავს, თუ საათ ნახევრიან უროკში ცხრა შაურს მისცემენ. მაშა სადამე პეტერბურღის სტუდენტის საათ ნახევარი შრომა – ჩვენში ერთ კლასიკურ სტრიქონათ ღირს.

5 მარტი. გუშინდელ თბილისის მოამბეს ნომერში ეწერა ფ. ორბელიანის წერილი გ. ლ. მელიქოვთან⁷⁴. გოლოსიდან⁷⁵ გამომოქედლი წერილში ეწერა: «Иди твердо и смело защищая святое для всей России дело». ოჰ, საცოდავო გაზეთავ, რა ძრიელა სცდები თუ ფიქრობ, რომ იმ ბოროტებას (როგორც თქვენ ეძახით), რომელიც მოედო მთელს რუსეთს, აღმოფხვრის ძირეულათ ერთის, ან ორის კაცის სიმამაცე და ენერგია! (ეგება ენგრეც არ ფიქრობ, მაგრამ სხვანაირათ თქმის ნებას არ მოგცემენ). მაგ სიტყვების მოყვანის შემდეგ “გოლოსი” თავის მხრით უმატებს, ამ სიტყვებში რალაც ახოვანი “მამაცური” ხმა ისმისო. ეგება და ჩვენ შველა კავკაზიდან მოგველისო! ეს გასაკვირველიც არ არისო. იქ სულ სხვა ჯურის ხალხიაო, მაგრამ ჩვენ, კავკაზი იყო ჩვენთვის საუკეთესო სამხედრო შვილიო. ჩვენ ბევრი მივეციოთ კავკაზსო, ახლა მოვიდა დრო გადახდისაო. ერთის მხრით თითქოს სასიამოვნოა ეს სიტყვები, მაგრამ დაფიქრდები თუ არა სასიამოვნო აღარა დარჩება რა. პატარა კავკაზმა უნდა გადაუხადოს დიდ რუსეთს შრომა რითი? ლორის-მელიქოვებით და ორბელიანებით! ბრმა გაზეთავ! ეგენი გაავლებენ სინსილას თქვენ საუკეთესო ცხოვრების ყვავილს. ჯერ ხომ პირველმა ორი ინაცვლა და მერე ვინ იცის?!

13 მარტი. დუელი⁷⁶

ქართველების დუელზე მე არსად გამიგონია; ეგება ეს ჩემი უცოდინარობის ბრალია, მაგრამ კი ვიტყვი, რომ მაგათ დუელის შნო არც ექნებოდათ და არც აქვთ. აგერ კვირა ნახევარია, რაც ჩვენში დუელი მოხდა, მაგრამ დღიურში არაფერი ჩავწერე. ახლა კი, როცა დღეს ერთი ჩემს ყმანვილობის დროიდან შემთხვევა მომაგონდა, რომ არ ჩაურთო მაგ ამბავს სწორეთ საპატიებელი არ იქნება. აი საქმე რაში იყო: ამ ორის წლის წინათ გაზაფხულის ერთს კვირა დღეს ქ. გორში, მე და სანდრო ნათაძემ ერთი ივერიის ნომერი საიდლანაც ვიშოვნეთ, და გავწიეთ გორიჯვარზე. მაშინ ცხონებული ივერია გაზეთი იყო, ეხლანდელივით ჟურნალ-კრებულათ არ ყოფილა⁷⁷. გორისჯვრის მთა სიმაღლით თითქმის ერთი ვერსი იქნება და ამპარტავნულათ დასცქერის პატარა გორს. ამ მთის წვერზე ერთი ერთმანეთზე ახლოს მდებარეობს ორი ეკლესია: ერთი იმათგანი ძრიენ ძრიელი და მეორე კი უფრო ნაკლები. ორთავ ეკლესიებს აქვთ მშვენიერი წყაროები. მე და სანდრომ გავწიეთ უფრო ნაკლებ ცხოველ ეკლესიასთან, რომელიც იმ ჟამათ ტყემლის ფოთლით იყო მოფერფლილი. მეტი-მეტი მშვენიერი პოეტიკური მდებარეობა აქვს ამ ალაგს, სადაც ეს პატარა ეკლესიაა აშენებული. ეს პატარა მინდვრაკი შემოზღუდული ტყიანი მთით, საყვარლათ იყო შემოსილი მწვანე ბალახით, სურნელოვან ყვავილებით და მღელვარე ყანებით. აქედან კაცი თავისუფლათ ხედავს მშვენიერს ლიახვის ხეობას, მტკვარს.

აშენებულს გორს იმ დროს ამწვანებულს კვერნაკს და ხიდისთავს, წითლათ გაბიბინებულს ყვავილოვან ატმებისაგან. ამისთანა ალაგას თხუთმეტ თექვსმეტი წლის ყმანვილები კი არა, პაპა ჩემი ფილიპეც რომ აგეყვანათ იქ, დამტკბარი ბუნებით და გაზაფხულის სიმშვენიერებით მოყვებოდა ისეთ ნაირ ოცნებას (мечтать), რაგვარიც შეფერებს ისეთ ახალგაზრდებს, როგორიც ვიყავით ჩვენ.

ავედით თუ არა იმ მშვენიერ მინდვრაკზე მე და სანდრო, მაშინვე ძირს დავეყარენით, ძიენ დავიღალეთ იმ გვერდაზე სიარულით! შევიქაქანეთ თუ არა ცოტაოდენი, ამოვიღეთ ივერია და დაუნყეთ შინჯვა. ყველაზე წინათ ნავიკითხეთ მოწინავე სტატია

საქართველოს მატთანეს განყოფილებაში გამორეკილ სემინარიელ-ლებზე. ი დალოცვილი, ისეთი მარილიანათ იყო დაწერილი, რომ ისეთ ახტაცებაში და ოცნებაში მოგვიყვანა, რომ ჩვენს თავებს აღარ ვიცნობდით! ერთის მხრით ეს შეუდარებელი ბუნება, მეორეს მხრით ეს კარგი წიგნი და მესამეს მხრით ჩვენი ახალგაზრდობა – აბა ბატონებო, რაღა გვიშლიდა, რომ არ მივცემოდით ისეთს ოცნებებს, რომელთაც არა აქვთ არც საზღვარი და არც ბოლო! ჩვენ სწორეთ ანგრე მოვიქეცით. ჯერ ვიყბედეთ მასზე თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვთ „გამორეკილ სემინარიელს“ საქართველოსთვის და მერმე იმ მწერლებზე, რომლებიც ასე მშვენივრად სწერენ. მწერლებიდან და სემინარიელებიდან გადავედით საქართველოზე და გავმართეთ ბაასი მასზედ, თუ რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ საქართველო რესპუბლიკა ყოფილიყო. ერთმა ჩვენგანმა წამოიძახა: ეს რესპუბლიკა კარგიო, მაგრამ პრეზიდენტათ ვის დავსვამთო? შე ოხერო, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, მანდე ე ილია ჭავჭავაძე!! „სად ერეკლე, სად ჩემი ყ....!“ იტყვის ზოგიერთი. სად ჭავჭავაძის⁷⁸ და ნიკოლაძის⁷⁹ დუელი, სად თქვენი ოცნებები საქართველოს რესპუბლიკაზე და მის პრეზიდენტებზეო? აბა თუ მიხვდებით ვინმე, მაგრამ რას მიხვდებით? აბა ერთი რაც მე თავში მომივა! ერთი ღერი კაცი ვარ, თქვენი შენუხევა რათ მინდა, მჟავე სალათას ეხლავე მოგართმევთ. ვსთქვათ, რომ ახდენილიყო მე და სანდროს ნატვრა და საქართველო რესპუბლიკათ გადაქცეულიყო, მის პრეზიდენტათ ი. ჭავჭავაძე? მერმე მაგ დაუყენებელმა ნიკოლაძემ ჩვენი პრეზიდენტი რომ ანგრე შეაწუხა, იცოდა მერმე რას უზამდა! ვინ იცის სად გაგზავნიდა! მაგრამ სად გაგზავნიდა? რუსებივით ციმბირი ჩვენ არ გვექნებოდა, ფრანცუზებივით კაიენა და ბასტილია; არა ჩვენც გვაქვს – მეტეხი. არა მეტეხი არ ვარგა! ეგ ხომ ისევე აქ იქნება. მაგას ან პრომეტეისტან მიაკრავდა, რომ საუკუნოდ ის არწივებს ეგლიჯათ, ან კიდევ ტანტალთან ჩააბამდა, საიდანაც ვერც ჩვენი პრეზიდენტის ჯავრს ამოიყრიდა, და ვერც მოკვდებოდა, რომ საუკუნო ტანჯვას მოშორებოდა!

გამომელვიძა: თვალების ფშვნეგით პირის საბანთან მივდივარ ფხიზელ-მძინარა.

22 მარტი.

წუხანდელი სიზმარი.

ამ სათაურს რომ წაიკითხამს ჩემი ძმა, ჩუმ-ჩუმათ ულვაშებში ჩაიცინებს: ეს ჩაჩულია, აქაო და ჩერნიშევსკის რომანი წავიკითხეო, სულ ვერა პავლოვნასაებ⁸⁰ სიზმრები ელანდებაო. მართლაც რომ დღიურში ეს მესამეთა ვწერ ჩემს სიზმრებს; მაგრამ რა დასაძრახისია, რასაც დღისითა ვფიქრობ, ღამეც ის მელანდება – ნაბაძვაც რომ იყოს, არც მაშინ არის სათაკილო! ჩვენი ლიტერატურის კურსში აი რა სწერია: ყოველი ახალგაზრდა მწერალი ნაბაძვით დაიწყებს თავის მოქმედებას – (თუ კი მწერალი გამოვედი!) მოგიტევებ, ჩემო გოდორავ, მაგ ჩაცინებას. ვითარცა დიდ ცოდვილსა. აი სიზმარიც: “ვითომც კლასში ვარ მათემატიკის გაკვეთილზე, ხომ იცი, გიგო, რა ნაირათ მიყვარს მე მათემატიკა? ისე, როგორც შენ, როცა მესამეში იყავი. ხსნიდა სანყალი პროფესორი, და ისე ერთ გულათ, რომ ხმა გაუხრინიანდა. Между плоскостными углами, говорят, существует такое же отношение, какъ между линейными და ამასთან ისეთ ფიგურებს ხატამდა, რომ გორდიის ნასკვზე ძნელი გასაგები იყო. მე რაღა ბევრი გავაჭრელო, ძილმა დამძლია და თვლემა დავიწყე, ბოლოს კიდეც დავხუჭე. ეს რომ მასწავლებელმა შენიშნა, მოვიდა და გამომალვიდა: არა გრცხვენიან, რომ გძინამსო! მეც თავის გასამართლებლად უთხარი: თუ ღმერთი გწამთ, მითხარით უ. მასწავლებელო, როცა თქვენ გვიხსნით, რატომ მე მათემატიკაზე არა ვფიქრობ; თუ ვინ მოიგონა გეომეტრია, პირველათ ვინ დაწერა, ეს ამდენი ფიგურები და ხაზები რათ უნდოდა ევკლიდს⁸¹, ან არხიმედს⁸² ურდული? როდესაც შენ გაცხარებული ტეორემებს ამტკიცებ, მე მაშინ ვფიქრობ, თუ რა არის პოლიტიკური ეკონომია, თუ როგორ წარმოსდგა კაპიტალი, რომელიც მთელი ევროპის წარმოების ხელში ჩაგდებას აპირებს; დედამიწის და კაცის წარმოებაზე, ესტესტვენურ ისტორიაზე, სოციალიზმზე და სხვა იმისთანა ბევრზე, რასაც მუდამ ყურში არ ჩამოგვძახიან, როგორც გეომეტრიას.”

ეგ იმიტომ, რომ არ გიყვარსო, აბა ყური კარგათ დაუგდეო და დაიწყო ხელმეორედ ახსნა. მაგრამ მე ისევ ძილმა დამძლია

და ხვრინვა ამოუშვი. მოვიდა მერმე გაჯავრებული და ისეთი წამომკრა მუჯლუგუნი, რომ თვალები გამოვაჭყიტე და კინალამ კოიკიდან გადმოვარდი”.

22 მარტი. მცირედი შენიშვნა, თუ გინდ წინაკა!!!

ჩემი საყვარელი ბერნე⁸³ თავის შესანიშნავ პარიჟის წერილებს⁸⁴ სწერდა თავის მეგობარს ვოლს (თუ მეხსიერებამ არ მიმტყუნა) და მეც ჩემს უბრალო ყმანვილურ შენიშვნებს გიძღვნი, საყვარელო გოდორია⁸⁵! თუ გინდ გაიხარე, თუ გინდ გაიცინე, თუ გინდ დაინუნე ამ ძღვენზე, ეგ სრული შენი ნება იყოს. ერთხელ და ორჯერ არ გითხოვია, რომ წაკითხულ წიგნებზე ჩემი შეხედულება მენერა და აი შეძლებისდაგვარად ვასრულებ ამ შენს პატიოსნურ თხოვნას; რასაკვირველია აქ ჩემი სურვილიც არის, თორემ მარტო შენი რას გახდებოდა! მე ეხლა მინდა მოგახსენო მცირედი რამ უ.დ. პისარევზედ⁸⁶. მთელს იმის თხზულებებზე ხმასაც არ ამოვიღებ, ერთის მხრით მიტომ ჩემთვის ძრეელ ძნელი ზადაჩა იქნებოდა, და მეორეს მხრით მიტომ, რომ სულ არ წამიკითხამს. მე გეტყვი საზოგადოდ, თუ რა შთაბეჭდილობა მოახდინა ჩემზედ. „ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერება“ იმისი რომ წავიკითხე, ცოტა ხანს დავფიქრდი და ი. მაჩაბლის⁸⁷ სამეცნიერო საუბრიდან მომაგონდა შემდეგი: კაცის ტვინი შესდგებაო რამდენიმე განყოფილებისაგანო, სხვა და სხვა ენებისთვინ ცალკეო. თუ რომელი ამ განყოფილებადგანი ძრეინ დაანძრისო, ან იმ ალაგს დაარტყესო რამეო, მაშინ იქიდგან სწავლა სულ დაიფანტებაო. ამაზედ მაგალითებიც მოჰყავს. ერთი მემუსიკე ბალკონიდგან გადმოვარდა და მუსიკა დაავიწყდაო; ერთმა ბერძნულის მცოდნემ ისეთ ნაირათ გაიტეხა თავიო, რომ სულ ერთიანათ დაავიწყდაო ის ენაო. შორს რათ მიდიხართ, აი აქაც მაგალითი: ალექსანდრე ეპისკოპოსს კარგათ თურმე გურული სცოდნია; ვილაცას უღვია გოგრაში მის უწმინდესობისათვინ სულ დაუვიწყებინებიათ გურული. ამბობენ, ეხლა ინჩი-მინჩი აღარ იცისო. აბა ამაებს აქამდისინ რისთვის ვლაპარაკებდი? მისთვის, ჩემო ბატონო, რომ გაჩვენო, რომ პისარევის თხზულებებს რომ ვკითხულობ ხოლმე, კრიტიკის ტვინის განყოფილება თითქოს მეხურება, იმ მდგომარეობაში ჩა-

ვარდები ხოლმე, რომ სრულებით ველარ შევძლებ ხოლმე კრიტიკულათ მოვეკიდო იმის გამოთქმულ აზრებს. ამან იქნება შენ შეგანრწუნოს, მაგრამ რაც არის-არის. შენ რომ ჩუმათ მიცქირო ჭიჭიტანიდან, როცა პისარევს ვკითხულობ, სწორედ იფიქრებ, რომ უთუოთ ამ ბიჭისთვის კვინტილა ამოუცხიათო. ხმა, ხელები, სახე სულ ასე აღტაცებით ვკითხულობდი განსაკუთრებით „ჩვენ უნივერსიტეტულ მეცნიერებას“. რასაკვირველია, შენ ეხლავე მიხვდები, გიგოჯან, რისთვისაც. ეს სტატია წმინდათ შეგირდებს შეეხება და მე მგონი, ეს ყველაზე უფრო ადვილი გასაგები სტატია არის⁸⁸.

გახსოვს, გიგა, (თუ არ გახსოვს, მოიგონე, რა!) შენ ამ მწერალზე რას მეუბნებოდი ამ სამი ოთხი წლის წინათ? პისარევს დიდი გავლენა ქონდაო თანამედროვე ახალგაზრდობაზე. შენც მაშინ ჩემსებ გატაცებული იყა პისარევისაგან, და ნუ იტყუებ! როცა ჩახვედი ამ ალაგამდინ, თუ როგორ პოლიციამ დაახრჩეს, სახე შეგეცვალა. ჩემზე რაღა თქმა უნდა! ჩემთვის კი მაშინ სულ ერთი იყო, თუ სხვა, მაგრამ რომ თქვი კარგი მწერალი იყოვო, ახალგაზრდაო და დაახრჩესო, სულ ძირეულად აღმაშფოთა. არ დაიჯერებ, ამირანობა ვინატრე, რომ ერთის ლახტის შემოქნევით შემემუსრა რაღაც პოლიცია იყო. ჰო, ჩემო ბატონო, რაც ჩემთვის ყმანვილობაში გითქვამს, მუქათათ არ ჩაუვლია, თუმცა მაშინ დოღმატივით ვიღებდი, მაგრამ განხილვას რამდენიმე წლის შემდეგ შეუდექი. ჰო, იმას გეუბნებოდი, რომ პისარევს დიდი გავლენა ჰქონდაო, სრულებით მართალი, აქსიომა გითქვამს, ჩემო გოდორ! არა, თუ კი მე ამოდენა ქოქორს, თითქმის ოცი წლის შემდეგ მახტუნავენს, მაშინდელ “ზნელ სამეფოს” შვილებს რაღას უზამდა?!...

ბევრგან და ბევრჯელაც გამიგონია, რომ კარგი მწერალი ის არისო, როცა ვინმე რო კითხულებს მის თხზულებას ფიქრობს: ბიჭო, ეს ხომ თითქოს მეც ვიცოდითო. სწორედ მაგ კატეგორიის მწერლებს ეკუთვნის უ.პისარევი. ერთ ალაგს ეგ ამბობს: ბევრი იმისთანა სიმართლე არისო, რომლებთანაც, ცოტაც არის თუ კი დაფიქრდებიან, ყველანი მოახწვენო. ჯერ ეგ სტატია მე წაკითხული არა მქონდა, მაგრამ რა დასკვნასთანაც მე მივედი ჩვენს საგნებზე, ისიც იმასთან მისულიყო. გასახარი არ არის? რა

საკვირველია, არავითარი მნიშვნელობა ამ სტატიას არ ექნება სპეციალისტებისთვის, დიდ სწავლულებისთვის, მაგრამ ჩემთვის, შეგირდებისთვის, ბაჯალლო ოქროა?! როცა დავფიქრდები, თუ რა რუტინაში ხარ ჩავარდნილი ამ უაზრო საგნებისგან და იტყვი, რომ კიდევ არიან იმისთანანი, რომლებიც თანაგიგრძნობენ, სანყალო შეგირდო, სწერენ შენის გულისთვის, იბრძვიან და შრომობენ, მაშინ აღარ იცი, როგორ დაუმაძლო ამ პირებს! აი ერთი მაგ პირთაგანია პისარევი. ისე სწერს ეგ ოჯახქორი ძველს ენებზე, ისტორიაზე, მათემატიკაზე, ლიტერატურაზე, სიტყვიერებაზე, რომ ფიქრობ: აი, აი, მეც ეგ უნდა ჩამეწერა დღიურშიო.

1 აპრილი

ასწყევლა ღმერთმა, ე რა ჩვეულება ქონიათ ამ ჩვენ ქართულ მწერლებს, რომ თავიანთ სტატიებს თავზე სხვას აწერენ და შიგ სულ სხვას ლაპარაკობენ! სწორეთ ერთი ანდაზისა არ იყოს.... “მე დოს ვეუბნებოდი, ის მაწონს მოარბენინებდაო.” თავზე სწერენ მაწონს მოგართმევთო და ის კი არა თუ ცარიელი დომხალია. რამდენჯერ გვიცინია ამაზე, გიგა, როცა ზოგიერთს ფურცელადის⁸⁹ სტატიებს ვკითხულობდით; ახლაც სწორეთ ეგ სიცილი მომდის, როცა გორისელის⁹⁰ “გვართა ბრძოლას საქართველოში” ვკითხულობ. ბიჭო, გვართა ბრძოლაო და ის კი არა თუ საქართველოს გეორგაფიული აღწერაა! ეჰ, ეგ რა გასაკვირველია, ჩვენი ზღაპრებისა არ იყოს, საკვირველი ეხლანდელი ჩვენი სწავლულების მოქმედებაა! ბიჭო, რას არ იქმოდნენ ის ოჯახ დაქცეულები, რას იტყვიან, ყურებში ბამბა უნდა დაიცო, მე და ჩემმა ღმერთმა! აი რა ამოვიკითხე, უ.ფრონელო (თუმც ეგ ახალი სახელი კარგი სტატიით კი ვერ დაიმსახურე, უ.გოდორო!) ამ ბოლო კვირაში ერთი წიგნიდან, სახელათ «Первобытний миръ» Д-ча Чителя⁹¹. უ.გოდორო, ცოტა მომითმინეთ და ეხლავე მოისმენთ მაგ საუბარს. ამ ორი კვირის წინათ დროების ფელეტონში უ.მ-ის ჩვენი პლანეტა დედა-მინის მომავალზე იყო შემდეგი: დედამინას ეს ფერი, რომელიც ეხლა აქვსო, თავის დღეში არ შეეცვლებაო. თუმცა სხვადასხვა ბუნების სტიხიებს, როგორც წყალს, ქარს, სიცივეს და სიცხესო, მაინც ბევრს ცვლილებას ვერ მოახდენენო.

განსაკუთრებით დიდს ზიანს აძლევსო დედა-მინასო წყალიო, ის სულ გაასწორებდაო მაგას, თუ რომ ბუნებაში სხვა მოწინააღმდეგე ძალაც არ იყვეს, ეგ ძალა არის ცეცხლ-მფრქვეველი მთები, როგორც ეძახის ვულკანს ახალი ვახუშტი. აი ახლა გეტყვი, თუ რას ამბობს ი პატიოსანი მწერალი. ხომ შედარებით სჯობს ლაპარაკი, მაგის გარდა პირობა არ მოგეცე, რომ რასაც ნავიკითხამ მეთქი, სულ ატჩოტი გაძლიო, მაშ არ იცოდე რას კითხულობს შენი ძმა! სწორეთ პატიოსნობა არ იქნება! ... აი რას ამბობს: მალე თუ გვიანო, მიწა და წყალი უნდა შეერთდნენო, ის აირევაო, ნოგორც ნაცარ ტუტო. აი დასწყევლოს ღმერთმა, ჩვენ სადღა წავალთ! რალა თქმა უნდა – ქვეშ მოვყვებით! ყოჩაღ ბიჭო, შენს პირს შაქარი, თუ გინდ ფაფის ლუკმა. აი რისთვის, განაგრძობს ბ.ტიტტელი: ყოველ დღე თქვენი ბედნიერი თვალი ხედამს, თუ რამოდენა ქვიშა და მიწა ჩააქვთ წყლებს მაღლობი ადგილებიდან – დაბლობში, განსაკუთრებით წვიმების დროს. რადგანაც ამ პროცესს ერთხელაც არის ბოლო უნდა მოეღოსო, ამის გამო უნდა მოველოდეთ დროს, როდესაც მაღალი მთები ველებს გაუთანასწორდებაო, და მაშასადამე ზღვაც მაშინ ადვილათ მოეფინება მთელს ხმელეთსო. ეგ ანგრე, მაგრამ უ.მ-ს ვულკანები? ეგ ნი-პაჩომო, განაგრძობს ტიტტელი. ჩვენ ვიცითო, რომ პირველათ დედამიწა იყო გაზურ მდგომარეობაშიო, მერმე ნელ-ნელა დაიწყო გაცივებაო, შემდეგ გაუკეთდაო დედამიწას ქერქი, ჯერ თხელი და მერმე ეგეც გასქელდაო; ისიც ვიცითო, რომ პირველად უფრო ჩქარ-ჩქარა აფრქვევდნენ ცეცხლს ვულკანებიო, ახლა კი უფრო სუსტათო და ზოგი კიდევ ჩაქრაო. მაშასადამე, იმედიო, რომ თავის დროზე რაც ეხლა ვულკანებია, სულ ჩაქრებიანო, რადგანაც დედამიწის გული სულ ერთიანათ გაცივდებაო. თუ ვულკანები გაცივდებიანო, თუ დედამიწას ის ცხოველი ძალა გამოელევა, მაშასადამე წყლისგან გასწორებული სიმალლეები, ველარ ამოყობენ თავებს სხვა ალაგებზე. თუ რომელი მაგათში მართალია, ეგ შენ გასაჯე, უ.გოდორია.

მაგას რომ გვაჯერებდეს უ.ტიტტელი, კიდენ გადაუნყდეს, მაგრამ როგორც მკაცრი წინასწარმეტყველი, აი რას ქადაგებს: ნახშირ-მჟავი (УГЛЕКИСЛОТА) რომლითაც რასაკვირველია ცოცხლობს მთელი მცენარეობა, გამოილევაო. მომეტებულ ნაწი-

ლათ ნახშირმჟავი კეთდებაო ქვის ნახშირის მადნებისგანო და ვულკანის ამოსული ნივთიდანო. რადგანაც ქვის ნახშირი ეხლა აღარ კეთდებაო, მაშასადამე ნახშირის ზაპასი ერთხელვე იქნება გამოილევაო.

როგორც ზემოთ ვთქვითო, თავის დროზე დედამინაც სრულე-ბით გაცივდებაო, ვულკანებიც აღარ იქნებიანო. მაშასადამე ეგ მდიდარი წყაროც ნახშირბადს გამოელევა. ამას რასაკვირვე-ლია რამოდენიმე მილიონი წელიწადი მოუნდებაო. რაკილა ეგ ორთავ წყაროები ნახშირ-ბადისა შესუსტებას დაიწყებენ, თვით ნახშირ-მჟავაც დაცოტავდება; მაგის შესუსტებით დიდი ზიანი მოუვათ მცენარეებს და ბოლოს ზურგზე შემცირდება მჟავბადი (кислородъ), აბა უმჟავ-ბადოთ ჩვენ რალა გვაცხოვრებს. ეს ში-ნაარსი სამიოდე თავისა. დანარჩენს თავებში ის არის, თუ რო-გორ წინდანინ ღარიბი ფლორა და ფაუნა იყო და მერმე როგორ დილლუვიალურ ფორმაციაში ამ სისრულეში მოვიდა, როგორც ახლაა და ბოლოს, როგორ კაცი ნელ-ნელა გაჩნდა. ამტკიცებს (Теория происхождения видов) Дар.

3 მაისი.

მე კარგათ მახსოვს, ძმაო გოდორო, რომ შენ ჩემთვის ყმანვი-ლობაში ბევრი რამ გითხრობია, რისიც დაფასება მაშინ მე არ შემეძლო და მათს განხილვაში ნელ-ნელა ახლა შევდივარ. სხვათა შორის დამახსოვდა ერთხელ რომ მითხარი, რომ ახალგაზრდამ დაბალს და საშუალო სასწავლებლებში მოუმზადებლობისა გამო თავის მომავალ კარიერაზე არ უნდა იფიქროსო. “მას მეცნიერე-ბა (наука) თვითონ უჩვენებს გზასაო.” მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ აზრამდინ თავისი საკუთარის დაკვირვებით არ მი-სულა, სხვისდან, ან წიგნისგან ამოკითხულია, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია. მე სრულეებით აზრათაც არ მომსვლია მეფიქრებინა ჩემს მომავალ კარიერაზე. მაგრამ უნებლიეთ ამ სალამოს სეირ-ნობის დროს მარტოკა, საიდლანაც მომეფიქრა: რა ვარ და რა უნდა ვიყვე? პირველზე პასუხის მიცემა რა ჩემი საქმეა. მაგრამ რატომ შეიძლება შინაურულათ, ეს ხომ დღიურია, მხოლოდ ეს მერმე იყვეს. მეორეზე კი ცოტაოდენ სისულელეს მოგახსენებთ.

ჯერ სარამ პასუხს მოგცემდეთ, გეტყვით, რომ მე ვარ პატრიოტი. რა გვარიც უნდა იყვეს ჩემი მოქმედება მომავალში, საქართველოს კეთილდღეობისთვის იქნებიან ისინი. ბრუდეთ წავალ, თუ სწორ გზაზე, მართალ გეტყვით, თუ ტყუილს, კალამს ავიღებ, თუ ჩინოვნიკი ვიქნები სახეში მექნება ჩემი დაცემული სამშობლო. ძრიენ რომ გაგეცინოს ამ სიტყვებზე, გიგა, ეგ მე არ შემეხება. ერთხელ შენც ასე ფიქრობდი, მე დიდ სამწუხაროდ მაქვს, რომ შენ კოპიას ვგეგვარ, და თითქოს შენ ზედ მოქმედებას ქვეშე ვზრდილვარ. თუ ამაზე რათა ვწუხვარ, ამას შენ კარგათ გაიგებ, ამიტომ, რომ მე ძრიენ მემძიმება სხვის აზრების ჩემათ გამოთქმა. აბა ახლა კი დაუგდე ყური ჩემს ოცნებას: აბა რათ მინდა, რომ გამოვიდე დიდი ფილოსოფოსი? არაფრისთვის. ეგ ჩემთვის სრულებით არ არის საჭირო. დიდი ნატურალისტი, ვსთქვათ დარვინზე დიდიც გავხდე, დავამტკიცო, რომ ადამიანი წარმოსდგა მაიმუნისაგან კი არა, ქვისაგან და ამაში ყველა დავაჯერო, ამით კოკოზაანთ ბერს რას ვარგებ? ხომ იმას ვერც მატერიალურად, ვერც ჭკუა-გონებით წინ ვერ გავსწემ? ვერა.

ღვთის მეტყველებას მივყო ხელი და დავამტკიცო, რომ ჩვენ სარწმუნოება და დოგმატები – სულ მოტყუილება ან კუკლებია, ამით ვის რა სარგებლობას მოუტან. სალოლაშნელებს ღვთის შობელი სწამთ, ბრეთელებს წმ. გიორგი. მატემატიკოსი გამოვიდე? ან ეგ რაო ახლაო! ვთქვათ ნიუტონზე მეტი ვერ დავამტკიცე, რომ დედა მინა სდგას, ამით დემეტრეს კარგი ყანა მოუვა თუ სიმინდი? არცერთი. ფილოლოგი? ეს რაღა სისულელეა? ზუბაანთ ნიკასთვის რა საჭიროა თუ ღმერთი გნამთ, ქართული ენა ინდოევროპულის თუ ტურანელის ენებიდგან წამოსდგა? მედიკობა? გაჭრილ კანჭს მოვარჩენ, მაგრამ ტვინსა? არც ეს არის საზოგადო საქმე. ისტორიკოსობა? ეგ ცოტა მომწონს, მაგრამ მომეტებული სპეციალისტობა არც მაგამი მომწონს (სახეში იქონიე, რომ როცა ვამბობ არ მინდა ესა და ეს მეთქი, ნიშნამს მხოლოდ სპეციალისტობას, არამედ იმათ სრულებით არ შეუსწავლებლობას. ათასი ბევრი განმარტივება რომ უყო ჩემს აზრებს, მაინც ჩემი ძმა ბევრს ხრიკებს მომიდებს და კაი ნაკლულებსაც იპოვნის. მე სრულიად დავეთანხმები. განა დარწმუნებული არა ვარ, უბუნებისცოდნოთ, უმედიცინოთ, უფილოსოფიოთ და სხვა საგნებით, მე კაცი არ ვიქნები, მაგრამ ვიმეორებ სპეციალისტობა

ჩემი საქმე არ-არის. თითქმის ყველა უპირატესი საგნები გადავათვარიელე და არც ერთი არ გახდა ღირსი ჩემის ყურადღებისა; მაშ რას ველტვი? ჩემთვის გამოსადეგნი იქნება შესწავლა შემდეგის საგნებისა: იურისპრუდენცია, დიპლომატიის, პოლიტიკისა ძრიენ, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა მაგ გვარი. განსაკუთრებით კრიტიკა-პუბლიცისტისა. მაშ შენვე შენ თავს ენინააღმდეგებო, მკითხამს გაკვირვებით გიგა? თავში თქვაო, გიგას თქმულს აზრს არ ვეთანხმებო ან ახლა კი პროგრამმაც დაიხატეო? ეგ არც პროგრამმაა და არც იმისი კუდი! მე მხოლოდ გაკვირვებით ჩამოგივალე იმ საგნების სახელი, რასაც უფრო თანაუგრძნობ და ჯერჯერობით არც ერთს იმათგანს მე არაფერ უპირატესობას ვაძლევ. მე სრულიათ ვეთანხმები შენ გამოთქმულს აზრს, რომ ჩემთვის (და შენთვისაც!) სპეციალისტობა ადრეა. (ამასვე ამბობს პისარევი). შენიშნულია, რომ დიდ სწავლულებს იქვე ყმანვილობაში ეტყობოდათ იმისი ნიჭი, რითაც ბოლოს გაითქვეს სახელი. აი მაგ. შექსპირს, რომელმაც იქვე ყმანვილობაში შეყო თავი თეატრში, ბეტხოვენს და მოცარტს მუზიკისა, ბაირონს და პუშკინს პოეზიისა და სხ. მე დიდ სურვილს არ ვიჩენ არც ერთი საგნის შესწავლისათვის. უპირატესად, მაშ ეტყობა, არც არა გამოვალ რა!!

4 მაისი.

თიბათვე. 30.

“ოჰოჰ ეს ოხერი რა ძიელა
ცხელა? სიცხემ ტვინი ისე
გაახურა, როგორც თონე. წამონექ,
ძმავ, კა დაბურულ კაკალ ქვეშა,
გვერძე მოიდგი კახური
და იოცნებე რამდენიც გსურს!
საქართველო თუნდ ორი ფეხით
წინ დააყენე, ვინ არის პატრონი!”

უ. პისარევი სტატია, რეალისტებში მე მგონი ამბობს, რომ დასაჯერი არ არისო, რომ პოეტებს დიდს რასმეს შველოდეთ თხზულებების წერაში ნაიტიე და ვდოხნოვენე, ან კიდენ მუზები

და აპპოლონი. ეს დიდი შეცდომააო, იმათაც ანგრეთვე შრომა (თუ კიდევაც ბევრი არა) უნდათ, როგორც ყველა სწავლულებს, მაგალ. კრიტიკებს, პუბლიცისტებს და სხვა. თქვენ ნუ გგონიათ, რომ რაღაცა ზეციური ძალით პოეტი უცბათ შეგითხუზამთ კობტა ლექს! იმდენი ღმერთმა მე მიშველოსო, ამბობს პისარევი, რამდენი ოფლიც თქვენ საყვარელს პუშკინს დაუღვრია იმ ლექსების შედგენაზე, რომლების სილამაზით და განყოფილი რიფმებით თქვენ სტკბებით!

აი ჩემო ბატონო, ესრე ამბობს პატ. პისარევი და აბა მე რაღა მეთქმის! მაგრამ ძაან ცხელა და ოცნებაში წავედი, ველარ მოვითმინე, რომ არ მოგახსენოთ მცირედი რამე. წარმოვიდგინე ჩემი თავი რაღაც გიგანტათ, გმირათ, როდესაც პეტერბურღში წავალ; ვითომც იქ ქართველი ახალგაზრდებისგან შევადგენ კრუჟოკს და დაულავათ ვიქადაგებ იმათში, გავანათლებ ყველას და დავბრუნდები სამშობლოში მის დასაწინაურებლათ; ევროპას გავაღვიძებთ ჩქარის გაღვიძებით! ერთის სიტყვით!... და სხ... მაგგვარი ბევრი რამ. ბოლოს როცა ამ ილლიუზიებიდან გამოვერკვიე, ვთქვი: “ბიჭო, ისწავლე რამე ხეირიანათ, თორემ გნახამ როგორც წინ წასწევ შენ სამშობლოს!” დავჯექ მერმე და უნდა დამენერა ლექსი – სატირა-ირონია, პამფლეტ-ეპიგრამა (რომელიც გინდა) იმ ახალგაზრდების (რასაკვირველია მეც შიგ ურევივარ) წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრობენ ოცნებებით და არა ნამდვილი ცხოვრებით. არა გჯერათ, გეფიცებით, სარფის წმ.გიორგის და ულუმფი ხვთისმშობლის მადლმა ორი საათი ვენვალე, პუშკინზე ბევრი ოფლი გამომივიდა, მაგრამ ვერას გავხდი. ერთი კუპლეტი რა არის, ისიც ვერ მოვანყე რიფმებით! არ ვიცი თქვენმა მზემ! მაშ ეს ხუმრობათ ჩაითვალოს, სარამ კაი ქართულს ვისწავლი და მერმე ღვთის მოწყალებით სხვა იქნება.

„ღღიური“ ერთი სემენარიელისა.⁹²

1880 წელსა, 21 ენკენისთვესა.

1880 წელსა. 5 გიორგობისთვე. ოთხშაფათი.

ეს ოთხი-ხუთი თვეა, რაც დღიურში აღარაფერი მიწერია. მეც არ ვიცი რათა. თითქოს მომწყინდა, თითქოს მოუსვენრად ვიყავ. თითქოს დღიურის სახელიც კი შემძაგდა, ახლა კი აღარც ერთი მიზეზთაგანი აღარ მიშლის. ვგრძნობ ეხლა, რომ გულიანათ შემძლიან წერა და კიდევ მინდა. დავნერ გაურჩევლად, ე.ი. не пазноры, რაც თავში მომივა და რაც ენაზედ მომადგება. მკითხველთან კი უკაცრავათ. ანდაზაა: “ვინც რა უნდა თქვასო, საღვინემ კი ფქვასო.” მე კი ვწერ და ვინც რა უნდა სთქვას.

ღმერთმანი სწორეთ საკვირველია, თუ რაგვარ ათასნაირათ ახსნიან ერთსა და იგივე საქმესა. გიგოს სიტყვები მომაგონდა: “გოგებაშვილის სიტყვებს, ანუ მისგან მოყვანილ ფაქტს, მე შემძლიან სულ სხვაგვარი ხასიათი მივცე, ავხსნა სხვანაირათ და სხვა შედეგიც გამოვა.” სწორეთ ეს მოსაზრებები მომივიდა თავში ამ ერთი კვირის წინათ. წასულ კვირას ბაღში სახალხო დღეობა იყო. ამ დღეობამ ერთს კერძო ხალხს დიდი სარგებლობა მოუტანა, მეორეს კი ზარალი. აი როგორ: ერთის მხრით – ვისთანაც ფული იყო დანიშნული, იმათ ისარგებლეს, მეორეს მხრით თბილისელმა საზოგადოებამ ისიამოვნა ყურებით. განა ვის რა ზარალს მოუტანდა სახალხო დღეობა, მკითხამთ მე. დიდ არაფერს, რომ ყველანი ერთგვარად უცქეროდნენ საქმეს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ: არა, მაგ დღეობაში ერთი ჩვენი სემინარიელიც წავიდა. მართებლობისაგან ნება არ აელო. შეიტყეს ესა. შეგირდი როცა მოვიდა, უთხრეს, რომ შენ სახელმწიფო ხარჯიდან დათხოვნილი ხარო. აკი გითხარით, ერთი და იგივე საქმე ზოგს ზარალს მოუტანს, ზოგს კი სარგებლობას. სახალხო დღეობას რათ უცქირეო, აიღეს და დაითხოვეს საწყალი შეგირდი. თქვენმა მზემ, ყველა ისინიც, ვინც დღეობას უყურა, თუ ანგრე დაესაჯათ, ძრიელ დიდი სუმმა შესდგებოდა წყალში დახრჩობილების მშველელ საზოგადოებას. ასე უსწორ-მასწოროა ქვეყანა. გამოგდებული შეგირდი შეძლებულია. აქამდისინ სახელმწიფო ხარჯზედ

იყო, ახლა კი თავის ხარჯით იმავე ზავედენიეში. მაშ შევირდს რა დააკლდა? არა ფერი ... ზურგიც არ გაიბერტყა, მხოლოდ მაგის მამის ჯიბეს დააკლდა ცოტაოდენი. ასე ჩვენი მართებლობა საჯამს შევირდებს შტრაფებით. აი პედაგოგები! რა შვილები იქნებიან მაგათი განრთვნილი შევირდები? ამბობენ მეცხრამეტე საუკუნეაო! მაცხრამეტე კი, მეათე საუკუნის ღირსნიც არ არიან ეგენი!.....

გიორგობისთვე 12 დღესა. ოთხშაფათი.

კაცი რომ გაკვირვებით დააკვირდება თავის ცხოვრებას და თავის მოქმედებებს ანალიზს უზამს, ათას იმისთანა რასმეს ნახამს, რასაც სრულებით არ მოელოდა. მე ეხლა ჩემს თავს ვატყობ, რომ რაღაც ცვლილება მოხდა. ამ სამი დღის წინათ მეგონა, რომ დღიურის გაგრძელება შემეძლო, ეხლა ვხედავ, რომ ძრიენ კარგათ ვერ წავა საქმე. აი რათა. ჩემი მღელვარება და გულის თქმა, კმაყოფილება და უკმაყოფილება, აღარა მსურს რომ მარტო ჩემები იყვეს და ჩაინერონ დღიურში; მე მინდა, რომ ქვეყანამაც შეიტყოს ისინი და გამოცხადდენ გაზეთში. პირველი საგანი, რაზედაც მე ვილაპარაკებ ხოლმე, ან ვაქო, ან ვკიცხო, არის სემინარია თავის მცხოვრებლებით. აგერ რაც შინიდან ჩამოვედი ჯერ ორჯერ დამინერია დროებაში, ან კიდევაც მინდა, რომ სულ იქა ვწერო. მაგრამ უბედურება აი რაშია: ძრიენ მეშინიან გაზეთში წერისა, მართებლობამ (რომელსაც ვკიცხამ) რომ გამიგოს, დამითხომს და მერმე რაღა ვქნა! მე მგონი ხვალ გამოვა⁹³ და გულიც მიცქრიალებს. ვნახოთ, რა გამოვა!

გიორგობისთვე. 15 დღესა. შაფათი. მარხვა. 1880წ.

მე ჩემით ვიტყვი, რომ ქვეყანაზე შური არ იყვეს, კაცობრიობის წინმსვლელობას ისე არ დაუშლიდა რა წინ სვლელობას, როგორც ეს სენი უშლის მას. ამის გასამარტებლად მსურს მოვიყვანო ორი მაგალითი, ერთი დიდი და მეორე პატარა. ე.ი. ერთი ჩვენი, სემინარიის ცხოვრებიდან და მეორე გარეთიდან. ამ ხუთი დღის წინათ გამოვიდა გაზეთ დროებაში განცხადება, რომ გამოდისო

ახალი ჟურნალი “მიმოხილვა”. ყველა ქართველ ახალგაზრდობას ფინთსაც და კარგსაც გაგვეხარდა ახალი ჟურნალის გამოსვლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შევიტყუეთ, რომ ის იქნება ახალი მიმართულების და ისე კერპულად არ დაინყებს პატივისცემას წარსულს, ძველს, როგორც იქცევია ზოგიერთი ცრუ პატრიოტები. მოგეხსენებათ, ყოველი კეთილი საქმე ახალგაზრდობაში უფრო ძრიენ აღძრამს თანაგრძნობას, ვიდრე ბებრებში. ეხლაც ისრე მოხდა. განა ვით მოიფიქრებდა, რომ ახალი ჟურნალის გამოსვლა ეწყინებოდა ვისმეს? სულ არა იყვეს რა ჩვენ ღარიბ ლიტერატურაში ერთი ჟურნალით მაინც მეტი იქნებოდა?

არა, არიან კიდენ ისეთნი, რომლებსაც ეგეც ეწყინათ და შური ჩაიდეს გულში. ეგენი არიან “ივერისტები და დროებისტები⁹⁴”. თავიანთ უვარგისობით სხვასაც უნდა გზა მოუშალონ. ქვეყანამ დაინახა, რომ ივერისტებს წერა აღარ შეუძლიანთ. აიღეთ მაგ. მესამე ნომერი წლევანდერი წლისა⁹⁵. რას ნახამთ! ძველი შოთთა, ხუთი-ექვსი წლის დაწერილი კომედია პეპო⁹⁶, დრამმა მათიკო და ანტონ კათოლიკოზი. სულ ძველები! ახალი რაღა არის? არაფერი. ერთია, მათიკო, მაგრამ ეგეც ათასის ნაკლულევანებით. დიდად გაგრძელებული მონოლოგები ამტკიცებს ავტორის სინაკლეს და სცენისთვის უვარგისობას. რაც შეეხება აზრებს, მანდაც არის ნაკლულევანება. სამი თვე გვაცდევინეს და ეგ გვიძღვნეს! ადვილად წარმოსადგენი იყო, რომ ახალი ჟურნლის გამოსვლის შემდეგ ივერია მოისპობოდა, როგორც უვარგისი, მაგრამ არა, შურმა ნება არ მისცა ამის მოთმენა და თავის დამცირება, რის გამოც სამისთვის მაგივრად თვეში ერთხელ გამოვა ივერია, სახეში იქონიეთ “იმავე მიმართულებით და იმავე თანამშრომლებით”. ახლა ჩვენზე მოდგა რიგი.

სემინარიაში ეს ხუთი ექვსი წელიწადია, რაც დაუარსებიათ შეგირდებს კასსა, მაგრამ ამ დიდი ხნის განმავლობაში ექვსი შვიდი თუმნის მეტი ვერ შეუგროვებიათ. მიზეზი ამისი ის არის, რომ ვისაც ფული მართებს შეგირდებთაგანს, ზოგი ირიცხება და ზოგი თვითონ გამოდიან, და ფულს კასსას აღარ უბრუნებენ. წრეულს სხვათა შორის ახალის კასსირის ამორჩევის დრო იყო. კანდიდატი ორი იყო. ერთი მე, და მეორე მეოთხელი. ყველა კლასების წარმომადგენლებმა მე მომინდომეს, არ ისურვეს მხოლოდ მეოთხე-

ლებმა. ღმერთო, რამდენი ვაი-ვაგლახი მოხდა! გეგონებოდა კაცობრიობის ბედი ან უბედობა აქ გადაწყდებო! ჩემი მომხრეები (უმრავლესობა) მე არ მანებებდა თავს და მეოთხელები კიდენ თავისას! რამოდენა ინტრიგები დაიწყეს, წარმოსადგენი არ არის! ისეთები მლანძღამდნენ, რომ გავეშავებინეთ, ვისგანაც სულ არ წარმოვიდგენდი. უბრალო საქმეებზე ესეები ჩავიდინეთ, დიდებზე რაღა ვთქო! თქმა აღარ უნდა გვეტყობა, რომ საზოგადო ცხოვრების ნირი გვაქვს. გეტყვით, ეგება მეოთხელებს კარგი კანდიდატი ჰყავდათო. ეგ რომ ყოფილიყო, კიდენ გადაუწყდეს, მაგრამ ცეცხლი ის არის, რომ ამბობდნენ “მაგას როგორ დავიცამთ კასსირათაო.” ცარიელი შური და შური!.....

ორშაფათი. 17-სა დღესა. გიორგობისთვე. მარხვა.

ნამდვილი პედაგოგი!

ერთი ბათუმელი კორესპონდენტი ბეგისა არ იყვეს, როცა გაგიჭირვებენ, მაშ რასა იქ, რომ უნესობას არ მოახდენ? სწორეთ ჩვენც ისე მოგვივიდა დღესა. სამხვთო წერილის მასწავლებელმა დიდი უროკების ძლევით ისე გაგვიჭირვა, რომ დღეს ერთხმათ ყველამ უარი უთხარით. ცეცხლი მოიკიდა, როგორ თუ ჩემ ნებაზე არ მოდიხართო. ადგა და სულ ედინიცები დაგვისხა! პრავლენიეში რაპორტით წაგადგენტო და ნახამთ, რაც მოგივათო. აი ნამდვილი პედაგოგი, ღირსი ნაბაძვისა და პატივის-ცემისა! იმის მაგივრათ, რომ გამოეკვლია ის მიზეზი, რომელმაც აიძულათ შეგირდები ამ უკანონო საქმეზე, იმან ცეცხლის ყრით ედინიცები დაგვისხა. წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, ვისაც ცოტაოდენიც არის გესმით რამე პედაგოგიისა, რა რწმენა უნდა ჰქონდეს ამისთანა პედაგოგისადმი ახალგაზრდობას, რა გავლენა უნდა ჰქონდეს ახლა ჩვენზე იმის ნათქვამს აზრს? არაფერი. ჩვენ ის გვეჯავრება ჭირვით. საცა სიყვარული არ არის, იქ არაფერიც გაკეთდება. თუ პრავლენიე რას გვიზამს, ეგ ღმერთმა იცის.

გიორგობისთვე. 18 დღესა. სამშაფათი.

ოხ, რა ცუდია, როცა კაცი თავის თავს ძალას ატანს, გინდა თუ არა, ნურაფერს ნუ გააკეთებო. სწორეთ ეხლა მეც ისე მომდის. საქმე მინდა და ვზონზილაობ, თავს ძალას ვატან, რომ არა გააკეთო რა. ეს იმიტომ, რომ ეს მეორედ მომივა დღეს გულიდან ცოტაოდენი სისხლის ამოღება. არ ვიცი რა მიზეზია; ცუდი ჰაერის, ცუდი საჭმელის, გაცივების, თუ ბევრი წიგნის კითხვიდგან. ბევრნი მეუბნებიან, რომ უჯიათი კითხვა კაცს ხეირს არ დააყრისო. მართლაც და როცა ჩქარა კითხულობ, მაშინ საყოფს წმინდა პურს ვერა ყლაპავ, მაშასადამე ფილტვი ზარალშია, და თუ ისეთ ცუდ ჰაერშიცა ხარ, როგორც სემენარიისა, მაშინ ხომ უარესობაა... უბედურებაა, ღმერთმანი! მაშ რა ვქნა, რომ არ ვიკითხო ბევრი და მომეტებული! ეს ამოდენა გაკვეთილება, ლათინურმა და ბერძნულმა თავის ტვინი წაიღეს. ან კი რას ფიქრობენ ჩვენი უმფროსები; ეგ უღმერთოები სულელებს რაზე გვართმევენ!.. არ ვისწავლო, მაშ რა ვქნა; თავმოყვარეობა ნებას არ მაძლემს. ვსწავლობ მაგათ და ვჩქარობ, რომ საყვარელი წიგნის საკითხავათაც ცოტაოდენი დრო დამრჩეს, მათაც ვკითხულობ ჩქარა, რომ გაკვეთილებს დაუბრუნდე. სისხლის ამოღებამ ძრიენ დამაღონა. ვა, თუ რამე იყვეს. თავი ძრიენ მენანება, ახალგაზრდა ვარ, ფუშენ ნუთისოფელო!!!...

20 გიორგობისთვე. ხუთშაფათი. მარხვა.

არ ვიცი რომელღასაც თხზულებაში, დოკტორი ბოკი ამბობს: “რომელი ექიმიც თავის პაციენტს თავით ბოლომდინ არ გაშინჯავს, ძირის ძირეულათ არ გამოკითხამს პაციენტს სენზე, ის დოკტორი არ არის, არის მხოლოდ გაქნილი შარლატანი. შეაფურთხეთ მას და დაითხოვეთ.” აღარც ის ვიცი, რომელ თხზულებაში ამბობს: “დალუპეთ აფთიაკები” (Долой аптеки!). აი ოქროს სიტყვები, რომელიც ყოველმა ავათმყოფმა უნდა იქონიოს სახეში, როდესაც ექიმთან მიდის. სწორეთ ეს აზრები მომივიდა თავში, როდესაც ჩვენმა სემენარიის ექიმმა გამშინჯა. მოგეხსენებათ, თუ რა ძნელია გულის ავათმყოფობა. გამარჯვებულმა არც კი შე-

მომხედა სწორეთა! გულზე ხელი დამიკაკუნა და დაავიღვივინა: “სრულებით არა გტკივა რა!” რა ქნან სანყალმა ავით მყოფებმა გულით ამისთანა ექიმების ხელში და როგორ ერთი ორათ არ შეიყვარონ დ.ბოკი, რომელიც ანგრე მკაცრათ ჰკიცხამს მაგისთანა შარლატანებს: ეგვე დოკტორი ამბობს, ბუნებით ირჩინეთ თავებო. ფრიად კარგი, მაგრამ ბუნებამ, რომ მოგარჩინოს, სხვანაირი დიეტა უნდა იქონიო. მხოლოდ ეგ მოიპოვება სწავლით და სიმდიდრით, ორთავე ეგენი შეუძლიან მდიდარს. მაშ გამრავლდით მდიდრებო, და განყდით ღარიბებო!

22 გიორგობისთვე. შაფათი. ლოცვის შემდეგ.

ღმერთმა დასწყევლოს ცუდი იმერელის ხასიათი. ისე მოუნდებათ ხოლმე ერთი-ერთმანეთში ასტეხონ აყალ-მაყალი და ყოველგვარი ინტრიგები, როგორც მამკალს თიბათვეში ღვინო მოსწყურდება ხოლმე გახურებულ გულზე. საკვირველი მოუსვენარი ხასიათის პატრონნი არიან და ძრინ თავმოყვარენი. აი თუნ რამდენიმე მაგალითი ჩვენი სემინარიის იმერლების ცხოვრებიდან. ღიმნაზიელებს ქართული გალობის სწავლა მოენდომათ და სემინარიელებს სთხოვეს, ვინმე გამოგვიგზავნეთ გალობის სასწავლებლად. მოუვიდათ ერთი აყალ-მაყალი ქართლებს და იმერლებს, არა იმერელი გავგზავნოთ, არა ქართლები. სასაცილოც იყო და სამწუხაროც ეს ჩხუბი. სასაცილოა ის, რომ რა აქვთ საჩხუბარი, და სამწუხარო ის რომ ორი მუჭა ხალხი ერთს ჩაღბანაში ვერ მოვთავსებულვართ. ჩვენ რომ საკუთარი სახელმწიფო გვექონდეს, მაშინ ხომ ერთი-ერთმანეთს თავ პირს დაამტვრევენ. ჩვენ გაუბედურებულს ქვეყანას სწორეთ ესლა ეჭირვება. იმის მაგივრათ, რომ ერთათ შეიქუჩნენ ერთის მტრის საბრძოლველად, ერთის ერთმანეთის ჩხუბში ირთმევენ სულს. თუ ახალგაზრდები, რომლებიც უფრო ძიენ მიელტვიან ყოველ კეთილ საქმეს, ამას ვჩადივართ, ბებრები რასას ვიქთ!...

აი ის მეორე ალაგი, სადაც იმერელმა შეგირდებმა გამოიჩინეს თავიანთი სისაძაგლე. ამ ორი თვის წინეთ მე და ჩემმა ამხანაგმა მოვინდომეთ ჩვენს კლასში ჟურნალის დაარსება. ჟურნალი შესდგებოდა ორი ნაწილისგან: რუსული და ქართული. ჩვენის